# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 4 მარტი 1999 №38 (811) ფასი 1 ლარი


## მაინც ჩამოვალ!



სულ რომ ცალფეხა ვიყო თავს ძალას დავატან, როგორც შემეძლება ვითამაშებ — შოთა არველაძემ ნაკრებში გოლების გატანა მოშენატრაო

## ოთხი ქალი ერთი კაცის ლოგინში

ბორდოში მსაჯების მოქრთამვის ერთობ თავისებური ხერხი სცოდნიათ

## მთავარი თემა

ქართველები საბჭოთა ნაკრებში



## გიორგი სიჭინავა

მისთვის ფეხბურთი სამუშაოდ არასოდეს ქცეულა. გიორგი სიჭინავა თამაშობდა მანამ, სანამ ფეხბურთი სიამოვნებას ანიჭებდა. მერე კი წავიდა.





REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ინტერი. მანჩესტერელთა ტრინიდადელმა ფორვარდმა დუაიტ იორკმა „ინტერს“ მოხდენილად გაუტანა პირველი გოლი

თუკი ტრინიდადის საფეხბურთო სკოლას ჰყავს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში წარმომადგენელი, მანჩესტერელი დუაიტ იორკი, ქართულს ორი რომ ჰყოლოდა, რა გასაკვირია — წუხელ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ კიეველი კახი კალაძე დაქროდა, „დელე ალპიზე“ კი ათენელი ანდრეას ნინიადისი, ჩვენებურად ანდრო კიურჯიევი, რომლის დარტყმულმა პენალტმაც „ოლიმპიაკოსს“ „იუვენტუსის“ წინააღმდეგ შანსი შეუნარჩუნა

UEFA CHAMPIONS LEAGUE


ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩების შედეგები და მონაწილეთა შემადგენლობები იხილეთ მეთექვსმეტე გვერდზე


# აზოტი პირველად დამარცხდა

## მისი მჯობნი ისევ საქართველოს ექვსგზის ჩემპიონი „ვითა“ იყო

საქართველოს ჩემპიონატი

**16 ტური**

**სდასუ 82:61 კოლხა**
**აზოტი 71:82 ვითა**
**ასკ — მაკაბი**
*გადაიდო*


იხილეთ მეთორმეტე გვერდი




აზოტი — ვითა. ვითელ გულივერ ახალკაცს ბურთს რუსთაველები ზვიად ბაბიაშვილი (მარცხნივ) და ლევან ჭიმშელეიშვილი ეცილებიან

## სამპრასს პირველობა შერჩა, კაფელნიკოვს ბევრი ფული





## შოთა არველაძე:
# მაინც ჩამოვალ!



თითქოს მუხლის ტკივილი არ კმაროდაო — საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი შოთა არველაძე ისევ სამკურნალო შეიქნა.

ამსტერდამის „აიაქსის" მრისხანე ფორვარდმა ჰოლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში როტერდამის „სპარტ-ას" ორი გოლი რომ შეუგდო, სპარტ-ელმა მცველმა ჩვენებურს თავისებურად უპასუხა, დიდოსტატისა არ იყოს, კარგისთვის „დასაჯა". შოთა არველაძემ ბურთი მიიღო და...

— მეტოქის კარისკენ ზურგით მდგომმა ბურთი მკერდზე გავიჩერე — გვითხრა შოთამ — ის იყო, ფეხზე უნდა გამესწორებინა, რომ ცხოველური სუნთქვა მომესმა. თავზე და მხარზე თითქოს მძიმე საგანი დამეცაო. გონს მოსულს მითხრეს, ლავიწის ძვალი სერიოზულად დაგიზიანდაო. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ თავიც გატეხილი მქონია.

**— ასე განზრახ მოიქცა?**

— აბა, რა გითხრა? არ ვიცი. ისე კი, ჩემი ცოდვით სავსეს, თავის შეკავება ხომ შეეძლო. მით უმეტეს, ზურგით ვიდექი.

**— ექიმებმა რაო?**

— ექვსი კვირა ტკივილები მექნება, სრული დატვირთვით ვარჯიშ-თამაში გაგიჭირდებაო. თუმცა, მგონი, აჭარბებენ. უფრო ადრე მოვმჯობინდები. ახლა გაცილებით უკეთ ვარ.

**— რაც უნდა თქვა, ეროვნული ნაკრების თამაშებს, ალბათ, გამოტოვებ.**

— რას ამბობ, რადაც უნდა დამიჯდეს, თბილისში ჩამოვალ, უკრაინელებზე და სლოვენიელებზე ჯავრს ვიყრი. მათთან საკუთარი ანგარიშები მაქვს. სულ რომ ცალფეხა ვიყო, ძალას დავატან, როგორც შემეძლება, ვითამაშებ. მომენატრა ნაკრებში გოლების გატანა.

**— ეგ ძალიან კარგი, მაგრამ ფეხი კიდევ გაწუხებს?**

— საბოლოოდ მოვიშუშე. აღარ მაწუხებს. ახლა თავი და მხარი მაღარდებს.

**კობა ინასარიძე**

# ქებაძე შენ, დიდავა მე

## ტორპედოსა და დინამოს გარიგება



ლევან ქებაძე



გივი დიდავა

ამას წინათ „სარბიელის" მკითხველს ვაუწყებდით გივი დიდავას ქუთაისის „ტორპედოში" შესაძლო გადაბარგების შესახებ. როგორც იცით, ბელგიის მესამე ლიგის ბინადარ „რასინგ მეხელენიდან" შინ მობრუნებულმა დიდავამ მშობლიური ქალაქის გუნდში თამაში ირჩია. ეს საქმე ოდნავ გაჭიანურდა. მიზეზი?

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მეხელენიდან გამოძევებულმა ქართველებმა თავის გამართლების მიზნით იქაურ ინსტანციებს მიმართეს და ვექილიც დაიქირავეს. ჩვენებურნი დარღვეული უფლებების აღდგენას ითხოვენ და დარწმუნებულნი არიან, ყველაფერი დადებითად გადაწყდება. პარალელურად მოგვარდება თითოეული ფეხბურთელის „რასინგ მეხელენთან" დამაკავშირებელი დოკუმენტაცია, რაც მათ საშუალებას მისცემს, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გააგრძელოს თამაში სასურველ კლუბში. ყველაფერ ამას კიდევ 2-3 დღე დასჭირდება. აი, მერე კი დიდავას უფლებას მისცემენ ქუთაისის „ტორპედოს" ღირსება დაიცვას. „დინამოს" ხელმძღვანელობა გაგებით მოეკიდა ფეხბურთელის თხოვნას, ანგარიში გაუწია მის სურვილს და მოლაპარაკებების პროცესში იმერული კლუბის მესვეურთათვის ზედმეტი სირთულეები არ შეუქმნია. თუმც ჩემპიონების მესვეურებთან არც ქუთათურები მისულან ხელცარიელნი. არა, აქ თანხაზე არაა საუბარი. როგორც მოგეხსენებათ, ტორპედოელმა ლევან ქებაძემ ზედ თურქეთში შეკრებაზე გამგზავრების წინ გადაწყვიტა, თავისი მომავალი „დინამოსთვის" დაეკავშირებინა. თბილისელებმაც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიიღეს ქებაძე გუნდში და „ტორპედოს" მისი განათხოვრების შესახებ მიმართეს. ეს საქმე „დინამოს" ბელგიური ტურნეს შემდეგ დადგა დღის წესრიგში. ჰოდა, ზუსტად ამ დროს დაემთხვა დიდავას ქუთაისში გამოჩენაც და ორმხრივი გარიგებისთვის მოლაპარაკება დაიწყო. ქებაძესთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას დიდი მოგვარება არ სჭირდებოდა და ფეხბურთელმა უკვე მოასწრო კიდეც მეორე წრის მეთექვსმეტე ტურში „დინამოს" შემადგენლობაში თამაში. რაც შეეხება გივი დიდავას გატორპედოელებას, როგორც ზემოთ გითხარით, კიდევ 2-3 დღე დაჭირდება. თავად ფეხბურთელი კი ერთი კვირაა, გუნდთან ერთად ვარჯიშობს საღორიის საწვრთნელ ბაზაზე. რა ვადით დარჩება დიდავა „ტორპედოში", ესეც უახლოეს დღეებში გაირკვევა. ალბათ, იმდენი ხნით, რამდენ ხანსაც ქებაძე დაჰყოფს „დინამოში".

ასეა თუ ისე, მეათე ეროვნულის პირველ-მეორე ადგილოსნებმა ფეხბურთელთა ბარტერი განახორციელეს ყოველგვარი გართულებების გარეშე. რაც მთავარია, ანგარიში გაუწიეს თავად ფეხბურთელების ნება-სურვილს.

ეს ამბავი უთუოდ ქართულ მხატვრულ ფილმ „გარიგებას" მოგაგონებთ. მისი ფინალი კი, კარგად მოგეხსენებათ, ტრაგიკომიკურია. უკეთესი ცხოვრების მიზნით მარო თავის მეუღლე მიტოს დედაქალაქში მცხოვრებ შეძლებულ მანდილოსანს გაურიგებს და... ფილმი გაწბილებული მაროს სიტყვებით მთავრდება — ახია ჩემზეო...

საჩემპიონო ბრძოლაში დაპირისპირებული „დინამოც" და „ტორპედოც" გაძლიერების მიზნით ახორციელებენ ამ გარიგებას. ვნახოთ, ვის გაუმართლებს და ვინ დარჩება მაროს როლში...

**ხვიჩა სანიკიძე**

# კახა გოგიჩაიშვილი დინამოში დაბრუნდა

კახა გოგიჩაიშვილი მესამედ დაუბრუნდა თბილისის „დინამოს". ეს ამბავი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია — ორიოდე დღის წინ „სარბიელის" მკითხველს ფეხბურთელის აზრი გავაცანით, ახლა კი „დინამოს" მესვეურთაგანაც მოვისმინეთ, რომ მათაც სურთ გოგიჩაიშვილის „დინამოში" ხილვა. იმედია, მეათე ეროვნულ ჩემპიონატს და მის მარად ჩემპიონს კახას რეიდებიც შეჰმატებს ელფერს.

ისე, რა ჯობია ამგვარ სიამტკბილობას — გუნდიც თანახმაა, ფეხბურთელიც, არც დაობს ვინმე, არც ვალს ითხოვს. ერთი სიტყვით, კოხტა საქმე გაჩარხეს გოგიჩაიშვილმა და „დინამომ".

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# სილაგაძე მაგრად დგას

„სარბიელის" მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ თუ ადრე, ნეტარსახსოვარ საბჭოურ დროში, „მოძმე რესპუბლიკების" გუნდები ძირითადად შავიზღვისპირეთს ეტანებოდნენ ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად, ახლა მეტი წილი ამ გუნდებისა საქართველოსავით თბილ და მზიან ისრაელს შეეჩვია.

ბევრმა კლუბმა უკვე მოიარა ისრაელი. ზოგი ჯერაც იქ არის, მაგრამ ასეა თუ ისე, წამოსულებიც და დარჩენილებიც ვერაფერზე დაიწუწუნებენ — მოსამზადებელი პირობებიც ნორმალური ჰქონდათ და სპარინგ-პარტნიორების მოძებნაც არ გასჭირვებიათ.

სხვათაგან ნეთანიის „ვინგეიტის" სტადიონზე გამართულ მატჩს გამოვარჩევთ. საქმე იმაშია, რომ ერთმანეთს ქართველ ლეგიონერთა კლუბები — კიევის ცსკა და რიგის „სკონტო" შეხვდნენ.

უკრაინულ გუნდში, როგორც ცნობილია, უკვე დიდი ხანია ვიტალი დარასელია-უმცროსი გამოდის. რიგის „სკონტო" კი რევაზ ძოძუაშვილისა და ქართული ფეხბურთის ჯერაც ვერშერყეული ავტორიტეტის წყალობით, ქართველებით არის სავსე.

დარასელიას ეს მატჩი არ უთამაშია, ლატვიელთა შორის კი ძირითადი მცველების — ლევან სილაგაძის და ალექსანდრე რეხვიაშვილის გარდა, შეცვლაზე შესული არმაზ ჯელაძე და ლევან კორღალიძეც ვიხილეთ.

შეხვედრა „სკონტომ" მოიგო 2:1. ქართველ ლეგიონერებს ბურთი არ გაუტანიათ, მაგრამ მშვენივრად გაისარჯნენ და საკუთარი გუნდის გამარჯვებაშიც ლომის წილი დაიდეს.

უკრაინულმა პრესამ განსაკუთრებით ლევან სილაგაძისა და ალექსანდრე რეხვიაშვილის კარგი თამაში გამოყო — ლევან სილაგაძე „სკონტოს" დაცვას ადუღაბებდაო — დაახლოებით ამგვარი კომენტარი გაუკეთეს საქართველოს ეროვნული ნაკრების ცენტრალური მცველის თამაშს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# კოლხური ცის ქვეშ

ჩეხეთის უმაღლესი ლიგაში ერთადერთი ქართველი ფეხბურთელი თავის კლუბს ნაადრევად დაემშვიდობა. „კარვინაში" გოჩა ტრაპაიძე სეზონის დაწყებამდე ჩაირიცხა, თუმცა გუნდის შემადგენლობაში დროდადრო შეცვლებზე უწევდა თამაში. მისი ყოფილი კლუბი იქაური ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი იყო და მწვრთნელთა შეცვლაც რამდენჯერმე მოასწრო.

„კარვინაში" მორიგი ახალი თავკაცის მისვლას გოჩასთვის გარკვეული პრობლემები შეუქმნია. როგორც ფეხბურთელმა განაცხადა, მწვრთნელს მისთვის დაცვაში თამაში შეუთავაზებია, რაზეც ქართველ თავდამსხმელს კატეგორიული უარი განუცხადებია. ყოველივეს კი, შედეგად ტრაპაიძის საქართველოში დაბრუნება მოჰყვა.

გუშინ გაირკვა, რომ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის მეორე წრეში ტრაპაიძე ფოთის „კოლხეთის" ღირსებას დაიცავს. ეს ინფორმაცია კოლხთა თავკაცმა გია ტყებუჩავამაც დაადასტურა და სავარაუდოდ, ფოთელთა ახალწვეულიც სადებიუტო მატჩს ქუთაისის „ტორპედოს" წინააღმდეგ ჩაატარებს.

ასე რომ, ჩეხეთმოვლილი ფეხბურთელის სამომავლო გეგმა ნაწილობრივ შესრულდა — საქართველოში დაბრუნებულმა ტრაპაიძემ განაცხადა: დიდი სურვილი მაქვს, უახლოესი სამი თვე რომელიმე სოლიდურ ქართულ კლუბში გავატარო, შემდეგ კი უცხოეთში თამაშის შესაძლო ვარიანტებსაც გადავხედავ.

**პაატა კვანტალიანი**

# ლოკომოტივი შეტევას აძლიერებს

შარშანდელი მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ თბილისის „დინამოდან" ბევრი ფეხბურთელი წავიდა და, ბუნებრივია, გუნდმა ახალი მოთამაშეები შეიმატა. მათ შორის იყო ბესიკ შენგელია, რომელიც საქართველოს ჩემპიონებმა რუსთავის „გორდადან" გადაიბირეს, მანამდე კი შენგელია გერმანიაში თამაშობდა.



ბესიკ შენგელია

იგი „დინამოში" კი ირიცხებოდა, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა აშკარად აკლდა — „დინამოს" ძირითადში პირველ წრეში სულ ორადორჯერ ითამაშა, ისიც შეცვლებზე შედიოდა, მურთაზ ხურცილავასაც კალენდარული მატჩისწინა თვრამეტკაციან ოქმში იშვიათად შეჰყავდა. ყოველივე ამას თავად ბესო შენგელიას პირადი პრობლემებიც დაერთო. იგი თვალზე მკურნალობდა.

შენგელიამ მკურნალობის პროცესი წარმატებით გაიარა და „დინამოს" ხელმძღვანელებს გუნდიდან წასვლა სთხოვა. „დინამომ" ფეხბურთელს გათავისუფლების ფურცელი არ დაუკავა.

„სარბიელისთვის" ცნობილი გახდა, ბესიკ შენგელია თემურ მახარაძის „ლოკომოტივში" ვარჯიშობსო. სულ ახლახან „ლოკომოტივში" არსებულ კრიზისზე იყო საუბრები, რკინიგზელთა ხელმძღვანელობა უკმაყოფილო იყო გუნდის თამაშით.

ყოველივე ამის გასარკვევად თავად „ლოკომოტივის" მწვრთნელ თემურ მახარაძეს შევეხმიანეთ, ბატონმა თემურმაც ეს გვითხრა:

— შენგელია უკვე სამი-ოთხი დღეა, ჩვენთან ვარჯიშობს. ახლა ყველაფერი ფედერაციაზეა დამოკიდებული. მოგეხსენებათ, სატრანსფერო სეზონი 20 თებერვალს დაიხურა. იგი ავად იყო, თვალზე მკურნალობდა და ფაქტობრივად სეზონი გაუცდა. ალბათ, გამონაკლისის სახით მოგვცემენ უფლებას, რომ იგი განაცხადში შევიყვანოთ. თუ ასე მოხდა, მაშინ შენგელიასთან ერთწლიან კონტრაქტს გავაფორმებთ. რაც შეეხება გუნდში არსებულ კრიზისს, გეტყვით, რომ ყველაფერი მოგვარდა, ჩვენი მიზანი არ შეცვლილა — ევროპაში უნდა გავიდეთ, პრიზიორთა სამეულში მოხვედრა და თასის აღება გვსურს.

როგორც ჩანს, „ლოკომოტივში" საბოლოოდ მოგვარდა ყველაფერი, გუნდიც ჩვეულად ემზადება „ბათუმთან" პრინციპულ-საპასუხო სათასო მატჩისათვის, რომელიც, როგორც ცნობილია, 9 მარტს გაიმართება.

**გიორგი ვაშაკიძე**

საქართველოს ჩემპიონატი

17 ტური

ასეულები

# ჭექა-ქუხილი კოლხეთის დაბლობში

ზედიზედ ორი წელი ეჭიშპებოდნენ ერთმანეთს ფოთელები და ქუთაისელები. ორი ქართული ქალაქიც კინალამ გადაემტერა ერთმანეთს. შუაში კი ფეხბურთი იდგა.

რა ჰქონდათ ზღვისპირელებს გასაყოფი რიონისპირელებთან? რა და ევროსარბიელზე გამსვლელი ადგილი.

მერვე ეროვნულში „ტორპედო“ მშრალზე დარჩა. მომდევნო წელს ქუთაისურმა კლუბმა ინტერტოტოს საგზური კი დაიბევა, მაგრამ უეფას თასზე თამაშის უფლება ისევ „კოლხეთს“ გადაულოცა.

გამწარდნენ ტორპედოელები და კოლხებს შარშანვე აზღვევინეს წინა წლების წყენა. პირველ წრეში 5:1 მოუგეს და ფოთში თავჩაქინდრულები გაამგზავრეს, ხოლო მერე თასის მერვედფინალში 3:1 წაგება შეუტრიალეს და საპასუხო თამაშში 4:1 გამარჯვება იზეიმეს.

„კოლხეთი“ მას შემდეგ შეიცვალა. ახლა სულ სხვა გუნდია, მწვრთნელადაც სხვა კაცი ჰყავთ. ქუთაისში გია ტყებუჩავას აუგად არავინ იხსენიებს.

„ტორპედო“ ადრინდელზე უფრო ძლიერია. ქუთაისელები ახლა მარტო საპრიზო ადგილისთვის როდი იბრძვიან, უფრო მაღალი, საჩემპიონო ამბიციები აწუხებთ.

დაპირისპირება ისევ გრძელდება. გათამაშების ცხრილში „ტორპედო“ მეორეა, „კოლხეთი“ — მესამე. მე-17 ტურში ფოთელები ქუთაისელებს მასპინძლობენ. სწორედ ეს მატჩია ტურის ცენტრალური თამაში. დანარჩენები ვერც ინტერესით გაუტოლდებიან და ვერც დაძაბულობით.

კოლხები შელახული თავმოყვარეობის აღდგენას შეეცდებიან. ბოლომდე იბრძოლებენ, რათა საკუთარი გულშემატკივრები თავიანთ სიძლიერეში დაარწმუნონ.

ტორპედოელებს უკანდასახევი გზა აღარ დარჩენიათ. ან ახლა, ანაც არასდროს, ასეთი დევიზით ჩავლენ ფოთში და ნავსის გატეხვასაც შეეცდებიან. „ტორპედოს“ ხომ ფოთში არასდროს მოუგია.

ახლა ორივე გუნდის ჭირ-ვარამზეც ვთქვათ. „კოლხეთს“ რკინიგზელებთან მატჩში გაძევებული გოროზია დააკლდებათ. საეჭვოა შალამბერიძის საკითხიც, „ლოკომოტივი“ — „კოლხეთის“ მატჩის არბიტრმა ავთანდილ შალამბერიძემ, თამაშის შემდეგ თავისი მოგვარის სათამაშო ბარათი გააყოლა ხელს. ჯონიმ შემაგინა და პასუხი ფედერაციაში აგოსო. კი მაგრამ, თუ ფეხბურთელი აგინებდა, წითელი ბარათი იქ არ ჰქონდა იმ დალოცვილს?! წყენა რაღა მერე გაახსენდა. კოლხები მაინც იმედოვნებენ, რომ პრობლემას მოევლება და შალამბერიძე ითამაშებს. გოროზიას მაგივრობას კი, ალბათ, ებრალიძე გასწევს, რაც კოლხთა დაცვაში გარკვეულ ცვლილებებს გამოიწვევს.

„ტორპედოსაც“ შეეხება ცვლილებები. სავარაუდოდ კახა კვეტენაძეს ვიხილავთ ძირითად შემადგენლობაში. სხვა მხრივ ყველაფერი ძველებურად უნდა იყოს. ქუთაისელთა წარმატებული თამაში ბევრად იქნება დამოკიდებული დავით ჯანაშიას ნაყოფიერ გარჯაზე. დათო ტრავმის შემდეგ ძველებურად ვერ თამაშობს, მაგრამ მისი ფეთქებადი ხასიათი და ბევრისთვის სანატრელი სისწრაფე ფოთელებს მრავალ საფიქრალს გაუჩენს.

ბევრიც რომ არ გავაგრძელოთ, პარასკევს კოლხეთის დაბლობში ჭექა-ქუხილია მოსალოდნელი და ვინც ამ მატჩის სანახავად „ფაზისის“ სტადიონს მიაკითხავს, წაგებული არ დარჩება.

მცხეთაში „მეზობლები“ გაეჯიბრებიან ერთმანეთს. თსუ „გურიას“ წინაალმდეგ. უპირატესობა, რა თქმა უნდა, სტუდენტების მხარესაა. ოთარ გაბელიას უფრო მომზადებული გუნდი ჰყავს და სავარაუდოდ პირველ გამარჯვებასაც იზეიმებს მეორე წრეში.



დავით ჯანაშია (მარცხნივ) ფოთში აუცილებლად ითამაშებს, ალბათ ჯონი შალამბერიძეც, ასე რომ, შესაძლოა „ფაზისზე“ ამათი დუელი ვიხილოთ

გურულებზე რა ვთქვათ. ღმერთი იყოს მათი მფარველი. მოუმზადებელი და დასუსტებული გუნდით რომ ბევრს ვერაფერს გამორჩებიან, ეს მათზე უკეთ არავინ უწყის.

გორის „დილა“ ბოლნისს ამაღლებული განწყობით ეწვევა. გასულ ტურში დიდი ანგარიშით გამარჯვებული გუნდი „სიონთან“ ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ითამაშებს. „დილას“ საფრთხე არ ემუქრება. ბოლნისელებთან ლიბერო ხაჭაპურიძეც დაემატებათ. სურდომოხდილი მცველი თავის თავდადებას სხვებსაც გადასდებს და სტუმართა დაცვაც უფრო შეიკვრება.

„სიონს“ შეცდომის უფლება აღარ დარჩენია. ბოლნისელებს ერთი წაფორხილებაც კი შეიძლება ძვირად დაუჯდეთ. თავდასხმაშიც ვერ არის საქმეები რიგზე და გაუჭირდებათ ქვემო ქართლელებს შიდა ქართლელთა ძლევა, თუმცა ბოლნისელებს თავიანთი გულშემატკივრებისა ეიმედებათ. „სიონის“ მეთორმეტე მოთამაშედ შერაცხული ალა და მისი რაზმი გორელთა შეშინებას შეეცდება.

„გორდა“ ძალიან ცუდ დღეშია. ახალგაზრდული გუნდის ახალგაზრდა ლიდერი ვალერი ზირაქაძე მართალია, ბევრს და სასარგებლოდ ირჯება, მაგრამ გამოცდილ და ჩინებულ ფორმაში მყოფ გია კილასონიას წინაალმდეგ თამაში გაუჭირდება. რუსთაველები რუსთაველთა ძლევას შეეცდებიან და ორთაბრძოლაში უპირატესობა აშკარად გაიოზ დარსაძის შეგირდთა მხარესაა.

დარსაძესაც ორმაგი სტიმული ეძლევა. იგი რუსთავში ნამუშევარი და იქიდან წამოსული გულდაწყვეტილი მწვრთნელია. თანაც წყალტუბოელები თავდასხმის ხაზს აძლიერებენ. რუსთაველებს გიორგი შენგელიას შეკავება გაუძნელდებათ. „დინამოდან“ ნათხოვარი ფორვარდი „სამგურალში“ სასახელო დებიუტის გაკეთებას შეეცდება.

ავჭალაშიც საინტერესო თამაში გველის. „მერანი“ „დინამოს“ წინაალმდეგ. ჩემპიონი ჩინებულ ფორმაშია. კი დააკლდებათ „არსენალთან“ მატჩში გაძევებული ტუღუში, მაგრამ „დინამოს“ სათადარიგოთა სკამი იმდენად დიდია, რომ ორ „მერანსაც“ თავისუფლად დაიტევს. მიუხედავად ამისა, ჩემპიონებს „სინათლეზე“ ბურთაობა მუდამ უჭირდათ, წყალტუბოში გამარჯვებული „მერანი“ კი მადაზეა მოსული და იმუქრება, თქვენი ჩემპინი უნდა წავაქციოო.

ზუგდიდში თამაში და მასპინძელთა დამარცხება ადრე საძნელო საქმედ ითვლებოდა. ახლა „ოდიში“ ვერაა ჯანზე, მაგრამ ბრძოლისუნარიანობა გამოარჩევს. სოსო ჭედიას ბიჭები დაურაზმავს, „ლოკომოტივს“ ჭია შესჩენია და დრო ახლა უნდა ვიხელთოთო.

თემურ მახარაძე, ალბათ, ვერ გაბედავს, ჰამლეტ წივწივაძე ძირითადში ათამაშოს. თავდამსხმელს კლუბის ხელმძღვანელობა აუმხედრდა. თვალში არ მოსდით ეგ ბიჭი. ბევრს ვერ გაუგია, რას ემართლებიან. ორივე ფეხის მოსულია და რკინიგზელებს ჩემპიონად როგორ აქცევდაო. არის მაგ ნათქვამში სიმართლის მარცვალი.

„ლოკომოტივი“ ვარლამ კილასონიასაც მოისაკლისებს. ნახევარმცველს საზარდული აწუხებს. კოტორაშვილს კი სიცხემ დაუკლო და ოდიშარებს ჯანზე შეხვდება. ძნელია ამ მატჩის შედეგის გამოცნობა, თუმცა, სპეციალისტების ნავარაუდევს თუ ვერწმუნებით, ზუგდიდში მორიგი საყაიმო პარტია უნდა გათამაშდეს, რკინიგზელთა შესრულებით, რა თქმა უნდა.

სამტრედიის „იბერიამ“, შინიდან „ოდიში“ რომ გაუშვა გახარებული, პარასკევს ჩოლოქი უნდა გადალახოს. იმერლებს გაბრაზებული შოთა ჭეიშვილი და „ბათუმი“ დაუხვდებათ. პირველ წრეში „იბერიამ“ გვემა სტუმარი. ახლა გაზღვევინებთო, იმუქრებიან ბათუმელები.

სამტრედიელთა მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება, თუ შეტევის ლიდერმა ვასო გიგიაძემ ვერ ითამაშა. „ოდიშთან“ მიღებული ტრავმა სახუმარო სულაც არ იყო.

ბათუმელთა კლუბის პრეზიდენტი თემურ ბეჟანიძე „ვიტ ჯორჯიასთან“ არასასურველი ყაიმით გახარებული ნამდვილად არ ყოფილა. თავკაცმა ქვეშერდომებს დაუცაცხანა, მათ, თავის მხრივ, ფეხბურთელები შეახურეს და არ დაადგება კარგი დღე „იბერიას“.

დაბოლოს, „ვიტ ჯორჯია“ — „არსენალი“. თუ ვეტერინარებმა ვერც ამჯერად იმარჯვეს, მერე ჭაობიდან თავის დაღწევა გაუჭირდებათ. მახარაშვილის გუნდს თითქოს ყველა წინაპირობა გააჩნია წარმატებისთვის, მაგრამ რატომღაც ვერ ვარგობს. იქნებ შაბათს გატეხონ ნავსი.

„არსენალი“ კი მცხეთას გუნებაწამხდარი ეწვევა. ავლაბრელები ჩემპიონებს შემოემსხვრნენ. 1:7 სამარცხვინო შედეგი იყო, თუმცა „დინამოსთან“ ვის არ წაუგია. „არსენალიც“ ამით იმშვიდებს თავს და „ვიტ ჯორჯიასთან“ საომრად ემზადება.

**მამუკა ძვანტალიანი**

თბილისი. „შევარდენი“. 4 მარტი. 15 საათი

## თსუ — გურია

მსაჯები: ვ. ელოევი (ცხინვალი); ა. ორდინიძე (ონი), ვ. ჩოჩიშვილი; ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი)
ინსპექტორი: მ. ჭელიძე

ფოთი. „ფაზისი“. 5 მარტი. 15 საათი

## კოლხეთი — ტორპედო

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. მეშკოვი, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); თ. გიორგაძე (სამტრედია)
ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

ბოლნისი. „თემურ სტეფანია“. 5 მარტი. 15 საათი

## სიონი — დილა

მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); ი. გოგოლაძე (ბორჯომი)
ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

რუსთავი. „ფოლადი“. 5 მარტი. 15 საათი

## გორდა — სამგურალი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), კ. მესხი (ზუგდიდი); თ. ზანდარაშვილი (თბილისი)
ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

თბილისი. „სინათლე“. 5 მარტი. 15 საათი

## მერანი — დინამო

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; მ. მაისურაძე, ლ. სილაგავა ; ზ. ჯვარიძე (ყველა თბილისი)
ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ზუგდიდი. „ცენტრალური“. 5 მარტი. 15 საათი

## ოდიში — ლოკომოტივი

მსაჯები: გ. ასკაროღლი (ქარელი); დ. სანაია (სოხუმი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ვ. ელოევი (ცხინვალი)
ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ბათუმი. „დინამო“. 5 მარტი. 15 საათი

## ბათუმი — იბერია

მსაჯები: ს. შალამბერიძე (თბილისი); კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
ინსპექტორი: მ. მიმინოშვილი

მცხეთა. „არმაზი“. 6 მარტი. 15 საათი

## ვიტ ჯორჯია — არსენალი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ა. ქარქაშაძე, ე. სულთანიშვილი (ორივე თბილისი)
ინსპექტორი: შ. ხანიაშვილი

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | # | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დინამო (1) | 1 | 16 | 13 | 3 | 0 | 57:9 | +48 | 42 | 8 | 7 | 1 | 0 | 37:7 | +30 | 22 | 8 | 6 | 2 | 0 | 20:2 | +18 | 20 |
| 2 ტორპედო (4) | 2 | 16 | 12 | 2 | 2 | 43:14 | +29 | 38 | 8 | 7 | 1 | 0 | 25:5 | +20 | 22 | 8 | 5 | 1 | 2 | 18:9 | +9 | 16 |
| 3 კოლხეთი (3) | 3 | 16 | 8 | 4 | 4 | 35:26 | +9 | 28 | 8 | 7 | 1 | 0 | 24:6 | +18 | 22 | 8 | 1 | 3 | 4 | 11:20 | -9 | 6 |
| 4 ლოკომოტივი (6) | 4 | 16 | 6 | 10 | 0 | 19:7 | +12 | 28 | 8 | 3 | 5 | 0 | 9:3 | +6 | 14 | 8 | 3 | 5 | 0 | 10:4 | +6 | 14 |
| 5 დილა (9) | 6 | 16 | 7 | 4 | 5 | 24:21 | +3 | 25 | 8 | 5 | 1 | 2 | 15:7 | +8 | 16 | 8 | 2 | 3 | 3 | 9:14 | -5 | 9 |
| 6 ბათუმი (2) | 5 | 16 | 6 | 7 | 3 | 23:14 | +9 | 25 | 8 | 4 | 3 | 1 | 15:5 | +10 | 15 | 8 | 2 | 4 | 2 | 8:9 | -1 | 10 |
| 7 მერანი (7) | 9 | 16 | 4 | 8 | 4 | 15:17 | -2 | 20 | 8 | 2 | 5 | 1 | 5:2 | +3 | 11 | 8 | 2 | 3 | 3 | 10:15 | -5 | 9 |
| 8 იბერია (დ) | 7 | 16 | 5 | 4 | 7 | 26:31 | -5 | 19 | 8 | 3 | 3 | 2 | 15:10 | +5 | 12 | 8 | 2 | 1 | 5 | 11:21 | -10 | 7 |
| 9 არსენალი (დ) | 8 | 16 | 4 | 6 | 6 | 20:32 | -12 | 18 | 8 | 1 | 4 | 3 | 11:18 | -7 | 7 | 8 | 3 | 2 | 3 | 9:14 | -5 | 11 |
| 10 ოდიში (5) | 10 | 16 | 5 | 2 | 9 | 12:25 | -13 | 17 | 8 | 3 | 1 | 4 | 8:13 | -5 | 10 | 8 | 2 | 1 | 5 | 4:12 | -8 | 7 |
| 11 სიონი (13) | 11 | 16 | 4 | 4 | 8 | 16:33 | -17 | 16 | 8 | 3 | 3 | 2 | 11:9 | +2 | 12 | 8 | 1 | 1 | 6 | 5:24 | -19 | 4 |
| 12 გორდა (11) | 12 | 16 | 3 | 7 | 6 | 12:21 | -9 | 16 | 8 | 2 | 4 | 2 | 6:10 | -4 | 10 | 8 | 1 | 3 | 4 | 6:11 | -5 | 6 |
| 13 ვიტ ჯორჯია (10) | 13 | 16 | 5 | 3 | 8 | 15:17 | -2 | 15 | 8 | 3 | 1 | 4 | 9:9 | 0 | 10 | 8 | 2 | 2 | 4 | 6:8 | -2 | 8 |
| 14 სამგურალი (12) | 14 | 16 | 4 | 2 | 10 | 14:33 | -19 | 14 | 8 | 3 | 0 | 5 | 7:12 | -5 | 9 | 8 | 1 | 2 | 5 | 7:21 | -14 | 5 |
| 15 თსუ (8) | 15 | 16 | 3 | 4 | 9 | 14:23 | -9 | 13 | 8 | 1 | 2 | 5 | 9:14 | -5 | 5 | 8 | 2 | 2 | 4 | 5:9 | -4 | 8 |
| 16 გურია (14) | 16 | 16 | 3 | 2 | 11 | 18:40 | -22 | 11 | 8 | 3 | 1 | 4 | 13:14 | -1 | 10 | 8 | 0 | 1 | 7 | 5:26 | -21 | 1 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში ! — ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

XVII ტური

4 მარტი, ხუთშაბათი

თსუ — გურია

5 მარტი, პარასკევი

კოლხეთი — ტორპედო

სიონი — დილა

გორდა — სამგურალი

მერანი — დინამო

ოდიში — ლოკომოტივი

ბათუმი — იბერია

6 მარტი, შაბათი

ვიტ ჯორჯია — არსენალი

# ქართველები აზერბაიჯანიდან ისლანდიამდე

მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში 27 ევროპული ქვეყნის 103 კლუბში 118 ქართველს უთამაშია. თქმა არ უნდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უცხოელი ფეხს ვერც ერთ ლიგაში მოიკიდებს, ადგილობრივებს თუ არ აჯობა.

118 ქართველი ხუმრობა არაა, სულ ცოტა, 10 ტოლძალოვანი გუნდის შემადგენელი ნაწილია. ცხადია, ახლა ყველა მათგანი უცხოეთში არაა. ზოგმა თამაში მიატოვა, ზოგი საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ ამის ნახევარი მაინც ბოლო ხუთწლეულში ყოველთვის თამაშობდა ერთდროულად ევროპაში და ახლაც თამაშობს.

საქართველოს ჩემპიონატი, ასე ძალიან, სწორედ ბოლო ხუთწლედში წახდა. ამჯერად ჩვენ მხოლოდ ევროპის უმაღლეს ლიგებში მოთამაშენი მოვიძიეთ, თორემ დაბალ ლიგებში რამდენი ყოფილა და ახლაც არის? სულ 400-ზე მეტი ფეხბურთელი — რიცხობრივად 20 სრული გუნდის მოთამაშე და ძალითაც ბევრით არავისზე ნაკლები.

მიგრაცია, თუნდაც საფეხბურთო, ცხადია, არამხოლოდ ქართული, ზოგადსაკაცობრიო მოვლენაა. ზოგან ებრძვიან ამას, ზოგან პირიქით, ხელს უწყობენ. გააჩნია, ვის რა შეხედულება აქვს მიგრაციაზე, სად რა სიმწვავით დგას ეს პრობლემა.

ზოგისთვის კი სულაც არ წარმოადგენს მიგრაცია პრობლემას. ევროპელები „ვეფხისტყაოსანზე“ არ იზრდებიან, მაგრამ რუსთველისეული სიბრძნე — იგი წავა და სხვა მოვა — გასიგრძეგანებული აქვთ. იციან, კაცნი ვართ, ჭირია, ლხინია — თაობები ერთმანეთს ცვლიან და უშუალოდ თაობაშიც ბევრი რამ გადასხვაფერდება-ხოლმე.

კლინსმანი პრემიერლიგაში წავიდა? ამას გერმანელები ძალიან არ განიცდიან. ის მაინც წამავალიაო. სამაგიეროდ, ბუნდესლიგაში ჭაბუკი ბალკანელები, ალმოსავლეთევროპელები თუ შავი კონტინენტის პირმშონი ავსებენ. მაგრამ ეს ჩვენთან რა მოსატანია, ჩვენ მიქცევა გვშრეტს (გვაჩაჩანაკებს), მოქცევა კი არა.

ერთი-ორი ბარი სალამი ყოველთვის ჩამოეხეტება საქართველოში, ჯერ არც უჩ უკაკვესი ვიცით რა, მაგრამ აღარ ჩამოდიან ფრიდრიკასები და მაჟეიკისები, სობოლები და არაქელიანები.

არადა, დრო იყო, საქართველოს თასის მფლობელ „გურიის“ შემდეგ რიმას მაჟეიკისი ჩვენებურ მესამე ჯგუფში, მოასპარეზე „ანცში“ თამაშობდა. ამით მისი საქმე არ წამხდარა, საფეხბურთო ცხოვრება ავსტრიულ მაქს-ბუნდესლიგაში განაგრძო. დღევანდელის კვალობაზე მაშინდელი „ანციც“ დონე იყო და იმიტომ.

ახლა კი მესამე ჯგუფი აღარც არსებობს — ვილა დარჩა საქართველოში, ხუთ წელიწადში 40 გუნდი რომ წავიდა.

ზრდასრულ ადამიანს 5-6 ლიტრი სისხლი უჩქეფს ძარღვებში. დამოუკიდებლობის გზაზე 10 წლის შემდგარ ქართულ ფეხბურთს კი ზრდასრულს ვერ ვუწოდებთ. ბავშვმა რომ 400 გრამი სისხლი დაკარგოს, სიკვდილს ხელიდან სასწაულით თუ გამოვგლეჯთ და ასეთ დღეში მყოფ ქართულ ფეხბურთს საშველი საიდან მოელის?

ამ წერილს, უფრო კი ვრცელ მასალას, მაქსიმალურად დაზუსტებული სტატისტიკის თანხლებით, ცხადია, მიზანი გააჩნია. მაგრამ არა მომაკვდავი ქართული ფეხბურთის დატირება, თუნდაც შეცხადება. ვაი-ვიში არას გვარგებს — უბრალოდ, ჩავეძიოთ, ჩავუკირკიტდეთ იმ ჩვენს პრობლემას, რაც სხვათაგან ბევრად განსხვავებულია და სათავეს მხოლოდ უფულობიდან კი არა, ქართული მენტალიტეტის თავისებურებიდანაც იღებს.

ერთზე აქედანვე შევთანხმდეთ, ნორმალურ ქვეყანას ლეგიონერი უნდა ჰყავდეს. უამათოდ აღარც იტალია-ესპანეთი დარჩა. ლეგიონერი ზიარჭურჭლის პრინციპია — შენგან მიაქვს, მაგრამ შენთანაც მოაქვს.

ლეგიონერები ნურც ჩვენ დაგვლეოდეს, ოღონდ ძლიერ საფეხბურთო ლიგებში, თორემ რუსეთის ზონებსა თუ გერმანიის რეგიონალებში ქართველების ფასი „კონა აბაზია“.

დაუჯერებელია, რომ დასავლეთ აზერბაიჯანში, იქ, სადაც უწყლობით მინდვრებს ვერ რწყავენ, საცხოვრებლად, ანაც სათამაშოდ, ჩვენზე ბევრად უკეთესი პირობები აქვთ. ნუ გამოვრიცხავთ, ასეც იყოს, მაგრამ სხვაობა თუ არსებობს, ისეთი მაინც არ იქნება, სამშობლოდან აყრად ღირდეს.

და თუ ასე არაა, მაშინ რამ გადახვეწა 7 ქართველი ფეხბურთელი ჩვენს მეზობელ ქვეყანაში? გაუგებარია.

წარმოიდგინეთ, დანიელები რომ გერმანიის ნაცვლად ნორვეგიას, ანაც შვედეთს შესეოდნენ, ნორვეგიელები ბრიტანეთის ნაცვლად — ფინეთს, განა ამათგან რამე გამოვიდოდა?

დღეს ჩვენი ნაკრების მეტოქე ნორვეგიაზე ნურას ვიტყვით, დანიისა კი გავიხსენოთ — იგი ევროპის ბოლო ექსჩემპიონია.

ქართველებს წამხედურობაც გვახასიათებს, მაგრამ თავნებობა — უფრო. უფრო იოლად ცუდს წავბაძავთ და დღესაც მიტომ გვიჭირს ასე ძალიან. მაგრამ რატომ ვაკეთებთ ფეხბურთში იმას, რასაც არავინ ეშურება?

რა გვინდოდა ქართველებს ისლანდიაში?

ვინ დაგვპატიჟა გეიზერების კუნძულზე?

ან თუ დაგვპატიჟეს, თავი რატომ გავუყადრეთ?

გერმანელი, ალბათ, არასდროს ჩამოვა საქართველოში სათამაშოდ. ბრაზილიელი ჩამოვა, მაგრამ გერმანელი — არა. ჩვენც გერმანელებს მივბაძოთ აზროვნებაში, საკუთარი ღირსების მოფრთხილებაში — მათ ამით რა წაუგიათ.

შეპეტოვკა უკრაინული ქალაქია. საბჭოურ ხანაში მის მცხოვრებლებზე ანეკდოტებს თხზავდნენ. ჩვენებური, „ხალხური ფოლკლორით“ რომ იტყოდნენ, „მადე ინ ბანოჯაო“, ასევე იხსენიებდნენ შეპეტოვკასაც. ამ ქალაქს სამი წლის წინ გუნდი ჰყავდა. ჰყავდა და აღარ ჰყავს. შეპეტოვკის „ტემპმა“, რომელმაც 15 ქართველი ფეხბურთელი შეიძინა, თქვენი ჭირი წაიღო. ჯერ უკრაინის უმაღლესი ლიგიდან გავარდა, მერე პირველლიგელ ხმელნიცკის გუნდს შეეხიზნა და ახლა უკრაინულ ფეხბურთში „ტემპის“ და შეპეტოვკის სახსენებელიც არაა.

მწარე სიმართლეა, მაგრამ კარგი მაგალითია იმისა, რომ ყველა ქართველი ფეხბურთის დონის ასამაღლებლად არ მიდის უცხოეთში. თუმცა, საბედნიეროდ, საპირისპირო და თავმოსაწონი ამბებიც გადაგვხდენია.

კახი ცხადაძე ბუნდესლიგის ბრინჯაოს პრიზიორია, შოთა არველაძე ჰოლანდიის ყველა ტიტულის, და კიდევ თურქეთის ბომბარდირი თუ თას-სუპერთასის მფლობელი.

თემურ ქეცბაია გადამწყვეტი გოლით ინგლისური „ნიუკასლ იუნაიტედის“ ჩემპიონთა ლიგაში შემყვანი და აეკ-ის შემადგენლობაში საბერძნეთის თასის მფლობელია.

ერთ დროს სიტელი გიორგი ქინქლაძეც კარგად ირჯებოდა პრემიერლიგაში, ბუნდესლიგას კი ახალი კვალი ალექსანდრე იაშვილმა დააჩნია.

შელია, რევიშვილი და ყაველაშვილი დიდრუსეთის ჩემპიონები გახდნენ „ალანიაში“, ისევე როგორც ყაველაშვილი შვეიცარიისა — „გრასჰოპერში“, ნემსაძესთან ერთად.

ეს კი კარგია, მაგრამ წვეთია ზღვაში. ევროპა ქართველებს მანამ არ გვცნობს, სანამ ამდენი თავმოსაწონი ყოველწლიურად არ გვექნება. ეს კი, რაც ჩვენ ჩამოვთვალეთ, ბოლო შვიდი წლის არასრული მონაგარია.

ჩვენი ამჟამინდელი ამოცანა ქართველ ლეგიონერთა ტიტულატურის ჩამოთვლა არ ყოფილა. ჩვენ ევროპის უმაღლეს ლიგებში მოთამაშე ქართველთა ნუსხის დაზუსტება ვცადეთ, ვისაც შეხება ჰქონია საქართველოს ჩემპიონატთან, არის საქართველოს მოქალაქე, ან არადა, ის, ვინც ქართველობაზე დებს თავს. ეგებ გაგიკვირდეთ, მაგრამ ასეთთა შორის გაგრელი ვალერი იაკოვლევიცაა...

**ვახტანგ ბზიკაძე**




ინგლისური „ნიუკასლ იუნაიტედის“ ჩემპიონთა ლიგაში გამყვანი თემურ ქეცბაია ბალკანელ პარტიზანთა ალყაში




ბუნდესლიგაში 6 გოლის გამტანი ალექსანდრე იაშვილის შეჩერება თვით დიდ გერმანელ შტეფან ეფენბერგს უცდია

| ქვეყანა | მოთამაშე | კლუბი |
|---|---|---|
| რუსეთი | 36 | 14 |
| უკრაინა | 25 | 12 |
| ისრაელი | 11 | 12 |
| კვიპროსი | 11 | 13 |
| ლატვია | 11 | 4 |
| პოლონეთი | 8 | 5 |
| აზერბაიჯანი | 7 | 4 |
| ბელარუსი | 6 | 4 |
| თურქეთი | 6 | 1 |
| გერმანია | 5 | 3 |
| ჰოლანდია | 5 | 4 |
| ბელგია | 3 | 3 |
| ესტონეთი | 3 | 6 |
| ინგლისი | 3 | 2 |
| მოლდოვა | 2 | 1 |
| პორტუგალია | 2 | 2 |
| საბერძნეთი | 2 | 2 |
| შვედეთი | 2 | 1 |
| შვეიცარია | 2 | 1 |
| ავსტრია | 1 | 2 |
| ბულგარეთი | 1 | 1 |
| დანია | 1 | 1 |
| ისლანდია | 1 | 1 |
| მაკედონია | 1 | 1 |
| საფრანგეთი | 1 | 1 |
| ფინეთი | 1 | 1 |
| ჩეხეთი | 1 | 1 |
| 27 ქვეყანა | 118 | 103 |

## ფეხბურთი

| | | 90-91 | 91-92 | 92-93 | 93-94 | 94-95 | 95-96 | 96-97 | 97-98 | 98-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | კახა ალადაშვილი | | | | | ტემპი, უკრაინა | | | | |
| | ბესიკ ამაშუკელი | | | | | | ლადა, რუსეთი | | | |
| | ბახვა ამბიძე | | | | | | | | ჰაპოელი, ქ-ს, ისრაელი | |
| | გიორგი ანჩაბაძე | | | | | | | | აშქელონი, ისრაელი | ჰაპოელი, ქ-ს, ისრაელი |
| | არჩილ არველაძე | | | | ტრაბზონსპორი, თურქეთი | | | | ნაკ ბრედა, ჰოლანდია | |
| | შოთა არველაძე | | | | ტრაბზონსპორი, თურქეთი | | | | აიაქსი, ჰოლანდია | |
| | რევაზ არველაძე | | | | კიოლნი, გერმანია | | | მეხელენი, ბელგია | | |
| | მიხეილ აშვეთია | | | | | | | ალანია, რუსეთი | | |
| ბ | გიორგი ბაბუაძე | | | | | ტემპი, უკრაინა | | | | |
| | ლევან ბარათაშვილი | | ვესტმანაეიარი, ისლანდია | | | | | | | |
| | ბესიკ ბერაძე | | | | | ტრაბზონსპორი, თურქეთი | ჩერნომორეცი, რუსეთი | | | |
| | ლევან ბერიშვილი | | | | | | | მპკც მოზირი, ბელარუსი | | |
| | კოტე ბოჭორიშვილი | | მერკური, ესტონეთი | | | | | | | |
| | გოჩა ბრეგვაძე | | | | | ნისტრუ, ოტაჩი, მოლდოვა | | | | |
| | ზვიად ბურძენიძე | | | | | ობუეშნიკი, ლიდა, ბელარუსი | | | | |
| გ | ვლადიმერ გაბედავა | | | | | | | | გროცლინი, პოლონეთი | |
| | იური გაბისკირია | | | | ტემპი, უკრაინა | შახტიორი/კრივბასი, უკრაინა | კამაზი, რუსეთი | | | |
| | თეიმურაზ გადელია | | | | | ვერესი, უკრაინა | | | | |
| | პაატა გამცემლიძე | | | | | ტემპი, უკრაინა | | | | |
| | გიორგი გახოკიძე | | | | | | | ალანია, რუსეთი | | პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია |
| | ალექსანდრე გელაძე | | | | | | | | ჟემჩუჟინა, რუსეთი | |
| | დავით გვარამაძე | | | | | | | | სკონტო, ლატვია | |
| | გიორგი გოგიაშვილი | | | | | | | ჟემჩუჟინა, რუსეთი | | |
| | კახი გოგიჩაიშვილი | | | | | | | | აშქელონი, ისრაელი | |
| | გოჩა გოგრიჭიანი | | | ჟემჩუჟინა, რუსეთი | ომონია, ნიქოზია, კვიპროსი | | ევაგორასი, პ, კვიპროსი | ჟემჩუჟინა, რუსეთი | | |
| | სოსო გრიშიკაშვილი | | | | | ალანია, რუსეთი | | ვენტსპილსი, ლატვია | | |
| | გია გურული | გკს, კატოვიცე, პოლონეთი | | ლე ავრი, საფრანგეთი | | | | | | |
| | გოჩა გუჯაბიძე | | | | | როსტსელმაში, რუსეთი | | | ოსტროვიეცი, პოლონეთი | |
| დ | გიორგი დანიბეგაშვილი | | | | | | ქიაფაზი, აზერბაიჯანი | | | |
| | ვიტალი დარასელია | | | | | | | | ცსკა კიევი, უკრაინა | |
| | გიორგი დარასელია | | | | | | | | ჰაპოელი, თ-ა, ისრაელი | ცაფრირიმი, ისრაელი |
| | კახაბერ დგებუაძე | | | | | | | ტრანსმაში, ბელარუსი | | |
| | აკაკი დევაძე | | | | | როსტსელმაში, რუსეთი | | ჰაპოელი, ტაიბი, ისრაელი | ირონი, აშდოდი, ისრაელი | |
| | გიორგი დემეტრაძე | | | | | | | | ფეიენოორდი, ჰოლანდია | ალანია, რუსეთი |
| | თემურ დიმიტრიშვილი | | | | | | ზარია მალსი, უკრაინა | | | თურანი, აზერბაიჯანი |
| ე | კახა ესაიაშვილი | | | | | | | მპკც მოზირი, ბელარუსი | | |
| ვ | მალხაზ ვოსკანოვი | | | | | | | მპკც მოზირი, ბელარუსი | | |
| ზ | ზაზა ზირაქიშვილი | | | | | | | ფარენსე, პორტუგალია | | |
| | ირაკლი ზოიძე | | | | | | | | | მაკაბი, იაფა, ისრაელი |
| თ | გიორგი თათარაშვილი | | | | | | | კომუნალნიკი, სლონიმი, ბელარუსი | | |
| | მერაბ თევზაძე | | | | | ტემპი, უკრაინა | | | | |
| ი | ვალერი იაკოვლევი | | ვიგრი, ესტონეთი | | | ტევალტე, ესტონეთი | ნორმა, ესტონეთი | ტევალტე, ესტონეთი | | |
| | ალექსანდრე იაშვილი | | | | | | | | | ფრაიბურგი, გერმანია |
| | გელა ინალიშვილი | | | | | | | კრილია სოვეტოვ, რუსეთი | | |
| | ზურაბ იონანიძე | | | | | | ჟემჩუჟინა, რუსეთი | ლოკომოტივი, ნ-ნ, რუსეთი | | |
| კ | კახა კალაძე | | | | | | | | დინამო, კიევი, უკრაინა | |
| | ანზორ კავთელაძე | | | | | კრემენი, უკრაინა | | | | |
| | ავთანდილ კაპანაძე | | | | ტემპი, უკრაინა | | ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა | | | |
| | ტარიელ კაპანაძე | | | | ტემპი, უკრაინა | | ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა | | | |
| | კახი კაჭარავა | | | ოლიმპიაკოსი, ნიქოზია, კვიპროსი | | ტრაბზონსპორი, თურქეთი | | | | |
| | როინ კერძევაძე | | | | | ომონია, არადიპუ, კვიპროსი | | | ქიაფაზი, აზერბაიჯანი | |
| | ბადრი კვარაცხელია | | | | | | | | ქიაფაზი, აზერბაიჯანი | შამქირი, აზერბაიჯანი |
| | გელა კვიტატიანი | | | | | | ზარია მალსი, უკრაინა | | | |
| | გიორგი კილასონია | | | | | | | დნეპრი, უკრაინა | | |
| | ვალერი კილასონია | | | | | | | დნეპრი, უკრაინა | | |
| | ლევან კობიაშვილი | | | | | | | ალანია, რუსეთი | | ფრაიბურგი, გერმანია |
| | ოთარ კორღალიძე | | | | ვურ შპორტი/კაზინო, ავსტრია | | ფლორა, ესტონეთი | ნეფთჩი, აზერბაიჯანი | | |
| | დიმიტრი კუდინოვი | | | | აპოლი, ნიქოზია, კვიპროსი | არისი, კვიპროსი | ოლიმპიაკოსი, კვიპროსი | ჟემჩუჟინა, რუსეთი | | |
| ლ | ნუგზარ ლობჯანიძე | | | | | | | ცსკა მოსკოვი, რუსეთი | | ქსანტი, საბერძნეთი |
| მ | მამუკა მანაგაძე | | | | | ნისტრუ, ოტაჩი, მოლდოვა | | | | |
| | დავით მახარაძე | | ალკი, კვიპროსი | | | | | | | |
| | მამუკა მინაშვილი | | | | | კრილია სოვეტოვი, რუსეთი | | | | |
| | ლევან მიძაძე | | | | | | | | პოგონი, პოლონეთი | |
| | ლაშა მონასელიძე | | | | | | | | ტორპედო მოსკოვი, რუსეთი | |
| | ამირან მუჯირი | | | | | | | | მაკაბი, ფეთაჰ თიქვა, ისრაელი | ჰაპოელი იერუსალიმი, ისრაელი |
| ნ | გოდერძი ნატროშვილი | | | | | | | აპეპ, კიპერუნტა კვიპროსი | ანაგენისისი, კვიპროსი | |
| | გიორგი ნემსაძე | | | | | | | ტრაბზონსპორი, თურქეთი | გრასჰოპერი, შვეიცარია | |
| პ | ნოდარ პაპიძე | | | | | | ქიაფაზი, აზერბაიჯანი | | | |
| | თამაზ პერტია | | | | | ტემპი, უკრაინა | | ვენტსპილსი, ლატვია | | |
| ჟ | მალხაზ ჟვანია | | | | | | | ვარდარი, მაკედონია | | |
| | გოჩა ჟორჟოლიანი | | | | ტემპი, უკრაინა | | | | | |
| რ | გიორგი რევაზიშვილი | | | | | | | | კრილია სოვეტოვი, რუსეთი | |
| | ზაზა რევიშვილი | | | გკს კატოვიცე, პოლონეთი | | ალანია, რუსეთი | | | | |
| | ალეკო რეხვიაშვილი | | | | | ტემპი, უკრაინა | | სკონტო, რიგა, ლატვია | | |
| | მამუკა რუსია | | | | | ტემპი, უკრაინა | | | | |
| ს | ვასილ სეფაშვილი | | | | | | ლადა, რუსეთი | | | |
| | ლევან სილაგაძე | | | | | | | სკონტო, რიგა, ლატვია | | |
| | ავთანდილ სიხარულიძე | | | | | | | | ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა | |
| | ბადრი სპანდერაშვილი | | დინამო, მოსკოვი, რუსეთი | დინამო, სტავროპოლი/როსტსელმაში, რუსეთი | | | ჩერნომორეცი, ნოვოროსიისკი, რუსეთი | | | |
| ტ | გოჩა ტრაპაიძე | | | | | | | | | კარვინა, ჩეხეთი |
| | თემურ ტულუში | | | | | | | | ბნეი იეჰუდა, ისრაელი | |
| | გოჩა ტყებუჩავა | | ილვესი, ფინეთი | | | | | | | |
| უ | დავით უჯმაჯურიძე | | | | | | | | პარალიმნი, კვიპროსი | |
| ფ | გელა ფანჩულიძე | | | | | | | | ჰაპოელი, ბეით შანი, ისრაელი | |
| | ზურაბ ფოფხაძე | | | | | | | კრილია სოვეტოვი, რუსეთი | | |
| | მიხეილ ფოცხვერია | | | | ზარია მალსი, უკრაინა | მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა | შახტიორი, უკრაინა | | | |
| ქ | თემურ ქეცბაია | | ანორთოსისი, კვიპროსი | | | | აეკ ათენი, საბერძნეთი | | ნიუკასლ იუნაიტედი, ინგლისი | |
| | გიორგი ქინქლაძე | | | | | | მანჩესტერ სიტი, ინგლისი | | | აიაქსი, ჰოლანდია |
| | გოჩა ქოქოშვილი | | | | | | ნესტვედი, დანია | | ბელენენსეში, პორტუგალია | |
| ღ | გიორგი ღუდუშაური | | | | | | | | ტორპედო მოსკოვი, რუსეთი | |
| ყ | მიხეილ ყაველაშვილი | | | | | ალანია, რუსეთი | სიტი, ინგლისი | გრასჰოპერი, შვეიცარია | | |
| | დავით ყიზილაშვილი | | | | ომონია, ნიქოზია, კვიპროსი | | | | აშქელონი, ისრაელი | |
| შ | მურთაზ შელია | | | | | ალანია, რუსეთი | | | | |
| | გელა შეყილაძე | | | | | | | | | ლიერსი, ბელგია |
| ჩ | დავით ჩალაძე | | | | | ტემპი, უკრაინა | | სკონტო, რიგა, ლატვია | ალანია, რუსეთი | |
| | გიორგი ჩიხრაძე | | | | | ტემპი, უკრაინა | შახტიორი, უკრაინა | | | |
| ც | კახი ცხადაძე | გიფ სუნდსვალი, შვედეთი | სპარტაკი/დინამო, რუსეთი | აინტრახტი, ფრანკფურტი, გერმანია | | | | | ალანია, რუსეთი | |
| | ლევან ცქიტიშვილი | | | | | | | | | |
| ძ | გენადი ძნელაძე | | კრილია სოვეტოვი, რუსეთი | | | | | | | |
| წ | მამუკა წერეთელი | | | | | | | ვენტსპილსი, ლატვია | ალანია, რუსეთი | |
| | ჯაბა წიკლაური | | | | | | | | | თურანი, აზერბაიჯანი |
| ჭ | ვლადიმერ ჭოლოკავა | | | | | ვერესი, უკრაინა | | | | |
| | სოსო ჭედია | გიფ სუნდსვალი, შვედეთი | | ოლიმპიაკოსი, ნიქოზია, კვიპროსი | | | კამაზი, რუსეთი | | გროცლინი, პოლონეთი | |
| | სერგო ჭურაძე | | | | | | ლოკომოტივი ს, ბულგარეთი | | | |
| ხ | ვახტანგ ხვადაგიანი | | | | | ვერესი, უკრაინა | | | | ფრაიბურგი, გერმანია |
| | ლევან ხომერიკი | | | | | | | | | მაკაბი, ჰაიფა, ისრაელი |
| | ცეზარ ხუროძე | | | | | | | ვენტსპილსი/დაუგავა, ლატვია | ტალინა სადამი, ესტონეთი | |
| | შალვა ხუჯაძე | | | | | | | | | ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა |
| ჯ | ლაშა ჯაკობია | | | | | | | | | სტანდარდი, ბელგია |
| | გოჩა ჯამარაული | | | | | | ალანია, რუსეთი | ტრაბზონსპორი, თურქეთი | | |
| | დავით ჯანაშია | | | | | | ჟემჩუჟინა, რუსეთი | ჩერნომორეცი, რუსეთი | | |
| | ზაზა ჯანაშია | | | | | | ლოკომოტივი, მოსკოვი, რუსეთი | | | |
| | არმაზ ჯელაძე | | | | | | | ვენტსპილსი, ლატვია | | |
| | პაატა ჯინჭარაძე | | | | | | | აპეპ, კიპერუნტა კვიპროსი | ეთნიკოსი, აშა, კვიპროსი | |
| | მამია ჯიქია | | | | | | | | რუხ ხოჟუვი, პოლონეთი | |
| | გია ჯიშკარიანი | | გკს კ პოლონეთი | | | | | | | |
| | მიხეილ ჯიშკარიანი | | | | დინამო, კიევი, უკრაინა | | კამაზ ჩალი, ნაბერეჟნიე ჩელნი, რუსეთი | | | |
| | ივანე ჯუღელი | | | | | ტემპი, უკრაინა | ზარია მალსი, უკრაინა | ტავრია, უკრაინა | მეტალურგსი/დაუგავა, ლატვია | ტავრია, უკრაინა |

UEFA CUP

# იტალიელთა საიმედო მარცხები

## უეფას თასის მეოთხედფინალის პირველი მატჩების მიმოხილვა

### მარსელი 2:1 სელტა

1:0 მორისი (33), 1:1 მოსტოვოი (64), 2:1 მორისი (68)

მარსელი: პორატო, ბლონდო (ბრანდო 78), ბლანი, დომორო, გალა, როი, ლუჩინი, პირესი, დიუგარი, მორისი (ედსონი 86), რავანელი (კამარა 73)

სელტა: დუტრუელი, მიჩელ სალგადო, კასერესი, ჯოროვიჩი, ხოსემა ლოპესი (ეგენი 69), კარპინი, ოსკარ ვალესი, მაზინიო, მოსტოვოი (ტომასი 86), პენევი (ხუან სანჩესი 55), რევივო

მარსელელთა მწვრთნელმა როლან კურბისმა შეხვედრის შემდეგ განაცხადა, ჩემპიონატის მატჩი რომ ყოფილიყო, ეს სასურველი შედეგი იქნებოდა. ჩვენ ხომ სამ ქულას მოვიპოვებდით, მაგრამ რადგან უეფას თასის გათამაშებაა, უკმაყოფილო ვარო.

ეს მართლაც ასეა. ქვეყნის ჩემპიონატი სხვაა, იქ მთავარია, მოიგო და სამი ქულაც მიითვალო. ევროტურნირზე კი გამარჯვებასთან ერთად უნდა ეცადო, რაც შეიძლება დიდი უპირატესობით დაამარცხო მეტოქე.

„მარსელი“ ცდილობდა მეტოქის ძლევას, მაგრამ ვერ შეძლო. დამარცხებით ფრანგებმა „სელტა“ კი დაამარცხეს, მაგრამ ნამდვილად ვერ მოიგეს იმ ანგარიშით, სასურველად რომ მიიჩნევდნენ. არადა, შანსი იყო.

64-ე წუთზე მასპინძელთა მეკარე პორატო შეცდა და „ველოდრომიც“ გაისუსა — მარსელელთა კარის დარაჯმა ვიგოელთა ებრაელი ლეგიონერის ჰაიმ რევივოს დარტყმული ბურთი ვერ შეაჩერა და ესპანელთა რუსმა გამთამაშებელმა ალექსანდრ მოსტოვოიმ გააყაიმა. ტყუილად კი არ უხაროდა „სელტას“ მწვრთნელ ვიქტორ ფერნანდესს მოსტოვოის გამოჯანმრთელება — მან კარგად იცოდა ფეხბურთელის შესაძლებლობანი.

მანამდე იმავ მორისმა მოასწრო გოლის შეგდება, ოღონდ ეს პირველ ტაიმში მოხდა. ჯერ კიდევ მანამ, სანამ ანგარიში გაიხსნებოდა, მასპინძელთა იტალიელმა თავდამსხმელმა ფაბრიციო რავანელიმ და მსოფლიოს ჩემპიონმა, ლორან ბლანმა ვერ გაიტანეს. ორივე შემთხვევაში იყოჩაღა „სელტას“ ფრანგმა მეკარე დუტრუელმა.

„სელტას“ კარის დარაჯი რიშარ დუტრუელი: „მარსელს“ უამრავი საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ ჩვენდა გასახარად, მხოლოდ ორი გამოიყენა. „სელტამ“ ნამდვილად ვერ ითამაშა კარგად, თუმცა საპასუხო მატჩის წინ მიღწეულით მაინც კმაყოფილი ვარ. ნახევარფინალში გასვლის შანსი ნამდვილად გვაქვს“.

თუ ესპანელებმა კარგად ვერ ითამაშეს, სამაგიეროდ, შესანიშნავად ირჯებოდა კრისტოფ დიუგარი, რომელიც „ბორდოს“ შემადგენლობაში 1996 წელს უეფას თასის ფინალში დამარცხდა. მისმა აქტიურმა მოქმედებამ განაპირობა მორისის მეორე გოლი და საერთოდ, „მარსელის“ გამარჯვება.

**კოტე ვაიტაძე**

### ბორდო 2:1 პარმა

1:0 მიკუ (40), 2:0 ვილტორდი (45), 2:1 კრესპო (85)

ბორდო: რამე, გრენე, საველიჩი, ალიკარტე, ფერიერი (ჯემალი 76), ბენარბია, დიაბატე, პავონი, მიკუ, ლასლანდი, ვილტორდი

პარმა: ბუფონი, ტურამი, კანავარო, სენსინი, სტანიჩი (ვანოლი 88), ფუზერი, ლონგო, ვერონი, ბენარივო, ბალბო (კრესპო 73), ასპრილია (კიეზა 63)

— მგონია, რომ ნახევარფინალში „პარმა“ გავა და არა „ბორდო“. მე მინდა შემდეგ წრეში ფრანგებმა გააღწიონ, მაგრამ ვგონებ, ამის ნაკლები შანსია. ჩემი აზრით, იტალიელთა მწვრთნელმა ალბერტო მალესანიმ კრესპო და კიეზა შეგნებულად არ ათამაშა ძირითად შემადგენლობაში. ჩაერთვნენ თუ არა ისინი მატჩში, სიტუაციაც შეიცვალა. განა კრესპომ არ შეაგდო ძალიან მნიშვნელოვანი გოლი? — „პარკ ლესიურზე“ მატჩს მსოფლიოს ჩემპიონი, საფრანგეთის ყოფილი მწვრთნელი ემე ჟაკეც ესწრებოდა. ჟურნალისტებს მისი აზრი არანაკლებ აინტერესებდათ, ვიდრე მეტოქეთა თავკაცებისა.

ჟაკე მართალია — ჩაერთნენ თუ არა ერნან კრესპო და ენრიკო კიეზა თამაშში, შეხვედრამ გარკვეულწილად სახე იცვალა. „პარმა“, მანამდე „ბორდოს“ გავლენის ქვეშ რომ მოქცეულიყო, შედარებით გამოცოცხლდა და აუცილებელი გოლიც სწორედ შეხვედრის მიწურულს გაიტანა. ეგ კი არა, სტუმრებს გაყაიმებაც შეეძლოთ, იმავე კიეზას ტურამის პასით რომ გაეტანა.

„ბორდომ“ მოიგო და, ალბათ, სამართლიანადაც. მთელი შეხვედრის მანძილზე მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო. ფრანგებმა იტალიელებს აჯობეს, თუმცა საპასუხო შეხვედრის წინ საჭირო უპირატესობა ვერ მოიპოვეს. გადაჭრით იმის თქმა, ნახევარფინალში „პარმა“ გააღწევსო, უაზრობაა, მაგრამ ბორდოელებს იტალიური ბარიერის გადალახვა, თუნდაც ერთბურთიანი უპირატესობით, ძალიან რომ გაუჭირდებათ, ნათელია.

გასაკვირია, იტალიელებმა კაცნაკლულებმა უფრო უკეთ ითამაშეს ვიდრე მთელი შემადგენლობით — იტყვის შეხვედრის შემდეგ ანგარიშის გამხსნელი იოან მიკუ. მართლაც საოცარია — სანამ ანტონიო ბენარივოს გააძევებდნენ (82-ე წუთზე), „პარმა“ სათანადოდ ვერ ირჯებოდა და მასპინძლები დომინირებდნენ. მოისაკლისეს თუ არა ფეხბურთელი, სტუმრები მთელი ძალით ამოქმედდნენ და გოლიც გაიტანეს.

გოლი კი ლამაზი და უცნაური იყო — „ბორდოს“ კაპიტანმა მიშელ პავონმა საჯარიმოში ჩააწოდა ბურთი, იქ კი მიკუმ თავი დაჰკრა და გოლიც გავიდა. პარმელთა მეკარე ბუფონი დაიბნა და მხოლოდ გოლის შემდეგ დაიჭირა ბურთი, რომელიც მანამდე ხარიხას მოხვდა.

მალე 2:0 გახდა. სარანგეთის ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერმა სილვიან ვილტორდმა უეფას თასზეც იყოჩაღა.

ბოლოს კრესპოს გოლი იყო.

— ანგარიში სასურველი ვერაა, მაგრამ რა გაეწყობა. როგორც ვითამაშეთ, ის შედეგი დავიმსახურეთ. შანსი, ცხადია, გვაქვს. ჩვენ ვერ შევეგუებით იმას, რომ გათამაშებას გამოვეთიშოთ — ალბერტო მალესანი პარმაში დიდ ბრძოლას დაპირდა მეტოქეს.

საპასუხო შეხვედრა ორ კვირაში შედგება. რა იქნება, ძნელი სათქმელია, მაგრამ „ბორდოს“ მეტოქეთა სტადიონებზე თამაში რომ უჭირს, ფაქტია — საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერს საგარეო მატჩი აგერ უკვე ხუთი ტურია, არ მოუგია.

**ირაკლი ილაშვილი**

### ატლეტიკო 2:1 რომა

1:0 ხოსე მარი (13), 2:0 ფრესნედოსო (46), 2:1 დი ბიაჯო (74)

ატლეტიკო: მოლინა, აგილერა, სანტი, შამოტი, ტონი (ხელი 87), ფრესნედოსო, იუგოვიჩი, ბარახა, სერენა, ჟუნინიო, ხოსე მარი (ლარდინი 72)

რომა: კიმენტი, კაფუ, ძაგო, ალდაირი, კანდელა (ვომე 80), ტომაზი (ალეინიჩევი 67), დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო, პაულუ სერჟიო, დელვეკიო (ჟუნიორი 67), ტოტი

ერთ ქართველ გულშემატკივარს, ნამდვილად ვიცი, რომ „დინამო“ გაახსენდა. მერე ცდილობდა ლოგიკით აეხსნა, რატომ მოაგონდა თბილისის ოდესღაც ლამაზი გუნდი, მაგრამ მაინცდამაინც ცხადად ვერ დაუსაბუთა საკუთარ თავს ის, რისი დასაბუთებაც უნდოდა. მას სურდა, მეორე დღეს, ნაცნობების წინაშე თავი მოეწონებინა, აღმოჩენით ყველა გაეკვირვებინა, ეთქვა, რომ მადრიდის „ატლეტიკო“ ნამდვილი „დინამო“ იყო და ამ ერთი შეხედვით კატეგორიული განცხადებისთვის ისეთი დასაბუთებები მოეყოლებინა, რომ ყველა დათანხმებოდა. მაგრამ არ გამოუვიდა. მეტიც, ნაცნობებს რომ შეხვდა, ხმა არ ამოუღია, უსმენდა, იმიტომ რომ მიხვდა, მისი შთაბეჭდილება სხვისთვის არაფერს ნიშნავდა.

კაცმა შეიძლება არგუმენტირებულად ილაპარაკოს იმაზე, სწორედ იდგა თუ არა მადრიდელების მეკარე მოლინა, როდესაც დი ბიაჯომ ჯარიმა დაარტყა. სხვა ცოცხალი კედლის აუცილებლობაზე იტყოდა ორიოდ სიტყვას. შეიძლება ამას კედლის შესახებ მთელი თეორიაც მოყოლოდა და მავანს იქნებ 1994 წელს სტოიჩკოვის მიერ გერმანიის ნაკრების კარში გატანილი გოლიც გახსენებოდა, მაგრამ ის, რომ „ატლეტიკო“ თბილისის „დინამოს“ ჰგავს, საქმიანი საუბარი არ არის. შენთვის რომ „დინამოა“, სხვისთვის „ნეფთჩია“.

კი, შეიძლებოდა იმის თქმა, რომ „ატლეტიკო“ „დინამოს“ მსგავსად თითქმის ყოველთვის ლამაზი გუნდია, ქვეყნის (საბჭოთა კავშირი იგულისხმება) ბევრგზის ჩემპიონი კი სხვაა, მაგრამ ასეთი კიდევ მრავალი იქნება. ხოლო სტილზე მოგახსენეთ, ერთს შეიძლება ეს გაახსენოს, მეორეს ის.

მოკლედ, ჩვენმა ნაცნობმა ერთადერთი რაც საჯაროდ თქვა, ის იყო, რომ მადრიდის „ვისენტე კალდერონზე“ გამართული შეხვედრა „ატლეტიკო“ — „რომა“ ძალიან ლამაზი სანახავი იყო. ამ ნათქვამში ორიგინალური არაფერი ყოფილა.

როდესაც მადრიდელთა გამოწკეპილმა, მელოტმა და შინაგანად მოცახცახე მწვრთნელმა, კარლოს აგუიარმა, თამაშის დამთავრებამდე 18 წუთით ადრე ხოსე მარი ლარდინით შეცვალა, ჩვენს ნაცნობ გულშემატკივარს გულმა ავი უთხრა, მაგრამ თავი ასე დაიმშვიდა: მწვრთნელია, რას აკეთებს უკეთ ეცოდინება, ახლოსაა და ალბათ ხედავს ბიჭს ღონე აღარ ჰყოფნისო. სამწუხაროდ, მისი ავი წინათგრძნობა მართალი გამოდგა. ხოსე მარი რომაელებს საკუთარ კართან ფხიზლად ყოფნაზე მეტად აფიქრებდა, ვიდრე ეს ლარდინმა შეძლო. თანაც, შეხვედრის დრო ილეოდა და ყველაფერმა ერთად სტუმრებს, რომლებიც 0:2-ს აგებდნენ მეტი აქტიურობისკენ და თამაშის ცენტრში გადაწევისკენ უბიძგა.

მაგრამ გოლი, რომელიც იტალიელებმა გაიტანეს, უშორესი მანძილიდან, საჯარიმო დარტყმით გავიდა. მოლინამ რომ დაინახა სად იდო ბურთი, მხოლოდ ორკაციანი კედელი დააყენა, ლუიჯი დი ბიაჯომ კი საწაული მანქანებით უძლიერესი, გარეთ მოჭრილი დარტყმა შეასრულა და მოლინასგან მარცხენა, ხოლო თავისგან მარჯვენა ცხრიანში ენითაუწერელი სილამაზის გოლი შეაგდო.

„2:0-ზე თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი, „რომას“ გოლმა კი თავსატეხი გაგვიჩინა“ — უთქვამს მერე აგუიარს, მაგრამ დაუმატებია — „მაგრამ არა უშავს, პირში ცუდი გემო მაინც არ დაგვრჩა, რადგან საკუთარი თამაშით ძალიან ვისიამოვნეთ“.

რომაელების ჩეხ თავკაცს, ზდენეკ ზემანს კი განუცხადებია:

„მე თუ მკითხავთ, რაც „ატლეტიკომ“ ითამაშა, ის ვითამაშეთ ჩვენც. მადრიდელებს სულაც არ მოუხდენიათ იმაზე მეტი შთაბეჭდილება, ვიდრე ველოდი, უბრალოდ „რომა“ ვერ იყო მთლად ისეთი, როგორიც არის ხოლმე. შინ, „ოლიმპიურ სტადიონზე“ მოვიგებთ“.

ამასვე ფიქრობდა ის ქართველი გულშემატკივარიც. მან იმთავითვე იცოდა, რომ იტალიურ გუნდებზე უკეთ შედეგის მიღწევა, გნებავთ გამოლლეტვა თუ მონადირება არავის ეხერხება და ვინაიდან „ატლეტიკო“ თბილისის „დინამო“ მაინც არ არის, ცოტა ხანში ამაზე ფიქრს სულაც დაანება თავი.

**მიხეილ სურგულაძე**

### ბოლონია 3:0 ლიონი

1:0, 2:0 სინიორი (5, 49), 3:0 ბინოტო (54)

ბოლონია: ანტონიოლი, პარამატი, ტარანტინო, მანგონე, ბია, ფონტოლანი (კაპიოლი 80), მაროკი, ინგესონი, ბინოტო (რინალდი 70), სინიორი (კოლივანოვი 87), ანდერსონი

ლიონი: კუპე, ბრეშე, ფურნიე, ლავილი, კარტერონი, ლინარესი, ვიოლო (კოკარი 55), ჟობი, ბაკი, დორასო, კავეგლია

გაიქცეოდნენ იქით, გამოიქცეოდნენ აქეთ...

გაიქცეოდნენ იქით, გამოიქცეოდნენ აქეთ...

ტემპი და სურათი ფაქტობრივად მთელი შეხვედრის განმავლობაში არ შეცვლილა. ერთი პირობა კაცს შეიძლება გაეფიქრა ახლა, ამათ, ფორმები რომ გაუცვალო ვერავინ მიხვდება რომელი რომელიაო.

მაგრამ კაცი მთლად მართალი არ იქნებოდა, რადგან მასპინძლების გუნდში თამაშობდა ერთი ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც აღფრთოვანების გარეშე ვერ მოიხსენიებ. ჯუზეპე სინიორიზე ვამბობთ. სინიორის არც თავით უკენწლავს ბურთი და არც მინდორი მოუხნავს, როგორც ხანდახან ამბობენ ხოლმე ჩვენებური გულშემატკივრები. მოსეირე თვალს იგი შესაძლოა არც გამორჩია 89 წუთისა და 57 წამის განმავლობაში (პირობითად, თორემ სინამდვილეში მსაჯმა შეხვედრას გვარიანად წაამატა). მაგრამ თამაშის განმავლობაში იყო სამი ისეთი წამი, რომ როგორც მოსეირესთვის, ასევე ტაქტიკა-ტექნიკაში გაწაფულისთვის ნათელი გახდა: ორი კვირის შემდეგ ლიონში ბოლონიელები სრულიად ფორმალურად, ოქმის გასაფორმებლად ჩავლენ.

პირველი წამი მატჩის მეხუთე წუთზე იყო, როდესაც სინიორიმ მეტოქის საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს აკრობატულად მისცხო ფეხი და ბადეში შეაგდო.

მეორე წამი მეორე ტაიმის მეოთხე წუთს გამოეყო. სინიორიმ პასი გადააწოდა, მცირე დაყოვნებით ისევ მიიღო და დაახლოებით საჯარიმოს კიდიდან მეორე გოლი გაიტანა.

მესამე წამი კი 54-ე წუთმა მოიტანა. სინიორიმ უეცრად მწვავე გადაცემა შეასრულა და ჯონათან ბინოტო საგოლე პოზიციაზე გაიყვანა. ბინოტომ ოსტატი არ გააწბილა.

„დღეს სულ სხვა, ერთსულოვანი „ბოლონია“ ვიხილეთ“ — თქვა სინიორიმ და თვალწინ, ეტყობა, ოთხი დღის წინანდელი, პიაჩენცური 0:5 დაუდგა — „ზუსტად ის სულისკვეთება გვქონდა, უეფას თასის შეხვედრებს რომ სჭირდება“.

**ბაკუნა ბედია**



REUTERS ბორდოდან

ბორდო — პარმა 2:1. პარმელი ანტონიო ბენარივო (ძირს) ძალიან უხეშად თამაშობდა. გააგდეს კიდეც

Cup Winners' Cup

# რექვიემი

## თასთა თასის მეოთხედფინალის პირველი მატჩები

დნება, ქრება და კვდება თასების მფლობელთა თასის ერთ დროს ძალიან ლამაზი გათამაშება. შეჯიბრებას ბოლო გაზაფხული დაუდგა, დღეს მის უკანასკნელი მეოთხედფინალის პირევლ შეხვედრებს ჭირისუფალნი: ინგლისური გუნდი „ჩელსი“, ნორვეგიული „ვალერენგა“, იტალიური „ლაციო“, ბერძნული „პანიონიოსი“, რუსული „ლოკომოტივი“, ისრაელის „მაკაბი ჰაიფა“, ესპანური „მალიორკა“ და ხორვატიული „ვარტექსი“ მართავენ.

მაგრამ, ვინაიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ჯერ რამდენიმე თვეა, ჩვენც ჩვეულებრივ შეჯიბრებად უნდა მივიჩნიოთ თასთა საბრალო თასი და ნაძალადევი ინტერესით გავუსწოროთ მის დასუსტებულ მზერას თვალი.

წინა გათამაშების გამარჯვებული ანუ თასის მფლობელი, „ჩელსი“, დღეს „ვალერენგას“ ეთამაშება. რა შეიძლება ითქვას ამ შეხვედრაზე? ფავორიტი უდავოა — „ჩელსი“, მაგრამ უდავოა ისიც, რომ ნორვეგიელებს სურპრიზები ხელეწიფებათ. ევროპის ჩრდილოეთ მხარის ამ ქვეყანაში ოდითგანვე თხილამურებით ამაყობდნენ. ბუნებრივიცაა, იქ ხომ წლის უდიდესი ნაწილის განმავლობაში თოვს და თხილამურები გართობის კი არა, ყოფის საგანია. გახსოვთ ქალაქი ლილეჰამერი, სადაც 1994 წელს ზამთრის ოლიმპიადა გაიმართა? თუ გახსოვთ, ისიც გეხსომებათ, რომ იგი ერთადერთი დასახლებული პუნქტია დედამიწის ზურგზე, რომლის ღერბზე მოთხილამურეა გამოსახული. და აი, ასეთი ქვეყნის შვილებმა ბოლო დროს ფეხბურთის ღონივრად თამაშიც ისწავლეს. რაც შეეხება საკუთრივ „ვალენრენგას“, მისი მწვრთნელი ეგილ ოლსენია, მეტსახელად დრილო, კომუნისტური მრწამსის კაცი, რომლის სახელთანაც დიდადაა დაკავშირებული ნორვეგიული ფეხბურთის ბოლოდროინდელი წარმატებები. ის გახლდათ ქვეყნის ეროვნული გუნდის ხელმძღვანელი და ზედიზედ ორჯერ შეაგრილა მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპთა ხვატი ჩრდილოური ჩარევით. ეგილ ოლსენი ის ადამიანია ბრაზილიის ამპარტავან ნაკრებს ჯერ ამხანაგურ შეხვედრაში რომ მოუგო, მერე კი საფრანგეთი 98-ზეც იგივეს დაპირდა და აუსრულა. მოკლედ, „ჩელსი“ ფრთხილად უნდა იყოს.

„ლაციოს“ კი შეუძლია ფრთხილადაც არ იყოს. ეს ისე, ყასიდად, თორემ იტალიელები რის იტალიელები არიან, საქმე დაჟინებით არ გააკეთონ. მართლაც, რომ უპერსპექტივოა ბერძნული „პანაონიოსი“ დიდი რომაელი მეტოქის წიანშე. სააგენტო „როიტერის“ მოკლე და მოწყენილ მიმოხილვაში ამ წყვილს დავითისა და გოლიათის წყვილი ეწოდა.

მოსკოვის „ლოკომოტივი“ ებრაულ „მაკაბის“ თავის ყინვიან ქალაქში მასპინძლობს. ალბათ მოუგებს, თუ ისევე არ გაიაფდა, როგორც ცხოვრება სსრკ-ის ყოფილ ცენტრში.

„რეალ მალიორკა“ ხორვატიას ჩავა და „ვარტექსს“ დაეჭიდება. ამბობენ, ნახევარფინალში „მალიორკა“ გავაო.

**პაპუნა ძედია**



სარბიელის არქივიდან

აი, ამისთვის ემზადება „ლაციო“ და მისი ფორვარდი მარსელო სალასი




თასების მფლობელთა თასი

Cup Winners' Cup

პირველიდან უკანასკნელ გათამაშებამდე

13 მარტიდან

ოთხშაბათის, ხუთშაბათის, პარასკევისა და შაბათის სარბიელ-ში

სრული ისტორია


## EURO 2000
## ჩვენი ჯგუფი

ალბანეთის პირველი დივიზიონის კლუბი „ბილიში“ 100 ათასი ლეკით დააჯარიმეს. 100 ათასი ლეკი იგივეა, რაც 700 დოლარი.

გარდა იმისა, რომ ფულს გადაიხდის, დასჯილი გუნდი უახლოეს საშინაო შეხვედრას უმაყურებლოდ გამართავს. მიზეზი: მისი და „ვლაჟნიას“ შეხვედრის დროს დიდი ამბავი ატყდა.

ამბავი ისეთი იყო, რომ მავანმა პოლიციელმა ჰაერში პისტოლეტიც კი დააქუხა ხალხის გასაშველებლად. „ბილიშის“ ქომაგები თურმე ქვებს ისროდნენ მოედანზე და „ვლაჟნიას“ თავდამსხმელს გაარტყეს კიდეც — ვილაც მიზნიანი ყოფილა. შეხვედრა 2:2 დასრულდა.

### ამხანაგური მატჩები

**ბულგარეთი 2:0 სლოვაკეთი**

1:0 ილიევი (22), 2:0 იოვოვი (41)

**პოლონეთი 1:0 სომხეთი**

1:0 ტრჟეჩიაკი (3)

**რუმინეთი 2:0 ესტონეთი**

1:0, 2:0 განეა (15, 78)



REUTERS ბუქარესტიდან

რუმინელი დენის სერბანი ცრუმოძრაობით ადვილად გასცდა ორ ესტონელ მეტოქეს მარეკ ლემსალუს (მარჯვნივ) და ერკო სავიუკს. შეგახსენებთ რომ ამ მატჩში ფლორინ რადუჩოუს ნაკრებში დარუნება უნდა შემდგარიყო, მაგრამ თავდამსხმელი ტრავმის გამო გამოაკლდა ნაკრებს

### ფეხბურთის რუპასთან



**ინგლისური** „ჩელსის“ ფიცხი მცველი, გრემ ლე სო ტელეკამერებმა გამოიჭირეს, თუ როგორ დაანარცხა მინდორზე „ლივერპულის“ მოთამაშე, ეროვნულ გუნდში თანაგუნდელი, რობი ფაულერი. იმ შეხვედრაში, რომელიც „ჩელსიმ“ 2:1 მოიგო, მსაჯს, პოლ დარკინს, აღწერილი ეპიზოდი არ შეუნიშნავს. „მრცხვენია, რომ ვერ შევნიშნე, როგორ დასცა ლონდონელმა ლივერპულელი. რომ დამენახა, ლე სოს გაძევება არ ასცდებოდა“ — განაცხადა დარკინმა. ახლა, ვერდიქტის გამოტანა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაზეა. მის ჩინოვნიკებს შეუძლიათ უამრავჯერ დაატრიალონ ვიდეოფირი და ნახონ ის, რასაც ტელემაყურებლებმაც უხვად უქცირა: ლე სომ ფაულერი ბეჭებზე რომ გააკრა, ბურთი სულ სხვაგან იყო. ფაულერი მართალია წაიქცა, მაგრამ ერთობ კერკეტი კაკალი გამოდგა, წამოხტა და თამაში განაგრძო. „ტელეგამეორებებმა შემზარა“ — დააგვირგვინა დარკინმა. „ჩელსიმ“ კი განაცხადა, რომ ფაულერი ლე სოს მთელი მატჩის განმავლობაში უცენზურო ჟესტებით აბრაზებდა.

**ხორვატი ნახევარმცველი, 23 წლის სილვიო მარიჩი მაინც ითამაშებს ინგლისურ პრემიერლიგაში. მართალია, მას „მანჩესტერ იუნაიტედმა“ უარით გული გაუტეხა, მაგრამ „ნიუკასლმა“ გული და ფული გადაუშალა. მარიჩი უკვე ვარჯიშობს ახალ გუნდში, რომელმაც ძველს, ზაგრების „კროაციას“ მასში 3,5 მილიონი გირვანქა გადაუხადა. „ალექს ფერგიუსონმა მანჩესტერში იმიტომ არ მიმიღო, რომ „კროაციამ“ არ გამიშვა“ — ყვება კაცი, რომელსაც ალბიონზე ბურთის გაგორება ლამის ახირებად ქცეოდა — „ნიუკასლი მეორე შანსს მაძლევდა, რომლის ხელიდან გაშვებაც არაფრით იქნებოდა. ამიტომაც განვუცხადე „კროაციას“ ხელმძღვანელობას კატეგორიულად, რომ მივდიოდი. მესმის ზაგრებელთა გულისწყრომა, მე ხომ იქაური ვარ, მათი აღზრდილი, მაგრამ რა გაეწყობა, შეგუება მოუწევთ. მსოფლიოს ბევრი უდიდესი ვარსკვლავი თამაშობს პრემიერლიგაში და უეჭველია, რომ მე მათგან ბევრს ვისწავლი“. აღსანიშნავია, რომ მარიჩის გადაწყვეტილება მნიშვნელოვანწილად „ნიუკასლის“ მწვრთნელის, რუუდ გულიტის ფაქტორმა განაპირობა.**

**ესპანურმა** გაზეთებმა დაწერეს, რომ მადრიდის „ატლეტიკოს“, რომელმაც ცოტა ხნის წინ თანამდებობიდან ცნობილი იტალიელი სპეციალისტი, არიგო საკი დაითხოვა, ახლა ინგლისური „ასტონ ვილას“ თავკაცის, ჯონ გრეგორის გადაბირება სურს. ასეთმა ინფორმაციამ გრეგორის გეგმა შეაცვლევინა. იგი ესპანეთში გადაფრენას და ორ თამაშზე დასწრებას აპირებდა. პირველი მატჩი, რომელიც გრეგორის უნდა ენახა, გახლდათ უეფას თასის შეხვედრა „ატლეტიკოსა“ და „რომას“ შორის, ხოლო მეორე, ჩემპიონთა ლიგის თამაში „რეალი“ — „დინამო“. როდესაც შეიტყო, რა კუდი შეიძლება გამოაბან მის ვიზიტს ესპანეთის დედაქალაქში, გრეგორიმ ბილეთები ჩააბარა და განაცხადა: „არავისთან არანაირი მოლაპარაკება არ მქონია. გარდა ამისა, ჩემი ფიქრი მხოლოდ და მხოლოდ „ასტონ ვილას“ უტრიალებს. აქ, ბირმინგემში აურაცხელი საქმე მაქვს და დამატებითი პრობლემებისთვის ნამდვილად არ მცხელა“.

**შოტლანდიური „სელტიკის“ მცველი, ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი ალან სტაბსი, „ასტონ ვილას“ ნადირობის ობიექტად იქცა. ცოტა ხნის წინ „ვილას“ მწვრთნელი, ჯონ გრეგორი, თავად დაუკავშირდა სქოთებს და 3,5 მილიონი გირვანქა შესთავაზა, მაგრამ „სელტიკმა“ უარი შემოუთვალა. ბირმინგემელები ამან არ დააცხრო. რომ ნახეს, „ქოვენთრი სიტისთან“ შინ 1:4 წააგეთო, კვლავ დაუკავშირდნენ გლაზგოს და ფასი გაზარდეს, ამჯერად 4,5 მილიონით დაიწყეს ვაჭრობა. როგორც ამბობენ, თავად სტაბსს ძალიანაც სურს სამშობლოში დაბრუნება, თანაც მისი მეუღლე შოტლანდიაში ცხოვრებას ვერ შეგუებია და ლივერპულში გადასახლებულა.**

**ჰოლანდიელმა** იოჰან კრუიფმა, რომლის აზრიც მსოფლიო ფეხბურთში ძალიან ფასობს, ლონდონური „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ფრანგ გარემარბს, დავიდ ჟინოლას „ალბათ, დედამიწის ყველაზე მწვავე ფეხბურთელი“ უწოდა. „ახალგაზრდა არ არის, მაგრამ დღეს მისებრ კარგად მოთამაშე არავინაა“ — უთხრა ლეგენდარულმა ადამიანმა გაზეთ „მირორს“ — „ჟინოლა თვითნაბადი ვარსკვლავია და გასაგებიცაა, რატომ არ ემეტებათ ინგლისელებს სხვაგან გასაშვებად“. 31 წლის დავიდ ჟინოლა პრემიერლიგაში, მართლაც, იანვრის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. იგი, მოგეხსენებათ, 1995 წლის მერე ინგლისშია. ფრანგის თამაშით აღფრთოვანებულმა კრუიფმა ის, კიდევ შვიდ პრემიერლიგელთან ერთად, 24-კაციან სიაში შეიყვანა, რომლის წევრებიც 10 მარტს მისადმი მიძღვნილ შეხვედრაში ითამაშებენ.

**ფრანგი მწვრთნელი ჟერარ ულიე, რომელიც ადრე სამშობლოს ნაკრებს ედგა სათავეში, დღეს კი ინგლისურ „ლივერპულს“ ხელმძღვანელობს, შესაძლოა დასაჯონ. მას „ლივერპულისა“ და „ჩარლტონის“ შეხვედრის დროს მსაჯი გაულანძღავს. ულიე არ დაიბნა, ფეხბურთის ასოციაციას სთხოვა, მსაჯთან შემახვედრეთ და პირადად ავუხსნი, რატომ გავფიცხდიო. რას ეტყვის ულიე ინგლისელ მსაჯს, მაიკ რიდს, აბა, ჩვენ საიდან უნდა ვიცოდეთ, მაგრამ თამაშის დროს ყველამ დაინახა, რომ ფრანგი ჯეიმი კარაგერის მოედნიდან გაძევებამ გააცოფა. მაშინ ულიე ასე ამბობდა: „მსაჯს, ეტყობა, „ჩარლტონის“ გამარჯვება სურდა, რადგან გასაძევებელი იქ არაფერი მომხდარა“. კარაგერი მატჩის დამთავრებამდე 22 წუთით ადრე მეტოქის, მარტინ პრინგლის წინააღმდეგ უხეშობისთვის გააძევეს მოედნიდან. ულიემ განაცხადა: „სამწუხაროა, რომ ფეხბურთის ასოციაცია ორი კვირის წინანდელი ამბისთვის დღეს მსჯის. იმედი მაქვს, რომ რიდთან შეხვედრის საშუალება მაინც მომეცემა“.**

**რუმინეთის** ფეხბურთის ფედერაციამ ხუთწლიანი კამათის შემდეგ პირჯვარი გადაიწერა და გადაწყვიტა, ეროვნულ ჩემპიონატში გუნდების რაოდენობა 18-დან 16-მდე შეამციროს. ამრიგად, 1999-2000 წლების ჩემპიონატში რუმინეთში ისევ 18 მონაწილე იქნება, მაგრამ მათ ეცოდინებათ, რომ სეზონის ბოლოს ორი, შეუცვლელად დატოვებს ლიგას. ფედერაცია აქამდეც ცდილობდა ლიგაში გუნდების რაოდენობის შემცირებას, მაგრამ კლუბების პრეზიდენტებს ვერ ერეოდა.


სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს

უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი

☎ 99 67 67, 98 30 20

# ინგლისი

## გადადებული მატჩი

**ტოტენჰემი 3:0 საუთჰემპტონი**

1:0 არმსტრონგი (19), 2:0 ივერსენი (68), 3:0 დომინგუში (90)

ტოტენჰემი: უოქერი, კარი, კემპბელი, იანგი (ვეგა 89), ტარიკო, ნილსენი, შერვუდი, ფროინდი, ჟინოლა (დომინგუში 89), არმსტრონგი, ივერსენი

საუთჰემპტონი: ჯონსი, ჰილი, ბენალი, ლუნდეკვამი, კოლეტერი, ოუკლი, მადსენი, დ. ჰიუზი (ლე ტისიე 76), ბრიჯი (კაჩლული 56), მ. ჰიუზი, ბიტი (ოსტენსტადი 79)

გაფრთხილება: ლე ტისიე, იანგი

მსაჯი: უილკი

დადგა დრო და „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ პრემიერლიგის ცხრილის ზედა ნახევარში აინაცვლა. ლონდონელთათვის ეს გამარჯვება პრემიერლიგაში შინ წლეულს პირველი გახლდათ — აქამდე გუნდმა კლუბის ისტორიაში სარეკორდო, ზედიზედ ექვსი ფრე ითამაშა.

რაც „ტოტენჰემს“ ჯორჯ გრემი ჩაუდგა სათავეში, კლუბის პროგრესი აშკარაა. „მამლები“ ინგლისის ასოციაციის თასის და ლიგის თასისთვის ბრძოლასაც აგრძელებენ და ჩინებულადაც თამაშობენ, ასეთი რამ კი კარგა ხანია, არ მომხდარა. პრემიერლიგაში წლეულს „ტოტენჰემი“ თვალსაჩინოს, ალბათ, ვერაფერს მიაღწევს, მაგრამ მომავალ სეზონში უკვე შეიძლება საკმაოდ საფუძვლიანი პრეტენზიაც ჰქონდეს პირველობაზე.

მომავალზე საუბარი ნაადრევია. ჯერ აწმყოზე ვთქვათ.

„ტოტენჰემმა“ „უაით ჰართ ლეინზე“ „საუთჰემპტონს“ უმასპინძლა, კლუბს, რომელსაც ამ სტადიონზე ბოლოს ხუთი წლის წინ მოეგო. სტუმრებმა ვერც ამჯერად იმარჯვეს. იმარჯვეს კი არა, საერთოდაც განადგურდნენ — ლონდონელთა ფრანგმა ლიდერმა დავიდ ჟინოლამ შესანიშნავად ითამაშა და მიუხედავად იმისა, რომ გოლი ვერ გაიტანა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მასპინძლებმა უპირველეს ყოვლისა სწორედ მისი ძალისხმევით დალახვრეს სტუმრები.

გაუგებარია, რატომ ამჯობინა სტუმართა მწვრთნელმა თამაშის დაწყება თავდამსხმელების გარეშე — მან „საუთჰემპტონის“ ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელები — ეგილ ოსტენსტადი, მეტ ლე ტისიე და ჰასან კაჩლული სათადარიგოთა შორის გაამწესა, რითაც ფაქტობრივად დანა დაირტყა მკერდში. ამიტომაც იყო, „საუთჰემპტონი“ მოედნის შუა ხაზს იშვიათად რომ კვეთდა. ამიტომაც ფლობდა „ტოტენჰემი“ უდიდეს უპირატესობას შუა ხაზში.

ანგარიში არმსტრონგმა გახსნა — საუთჰემპტონელთა ახალწვეულმა კრის მადსენმა ჯონსის კარის მისადგომებთან სოლ კემპბელი დასცა და არმსტრონგმაც ულამაზესი გოლი გაიტანა. ერთ რამედ ღირდა მისი ნახვა

სხვაობა თითქმის ერთ საათში გაიზარდა — შერვუდის კუთხურის შემდეგ ბურთი ჟინოლას მიუვიდა, ფრანგმა კი თავის მხრივ სტუმართა საჯარიმოში ჩაჰკიდა ბურთი. სტეფან ივერსენმა მეტოქეთ აჯობა და მეორე გოლი გაიტანა.

„საუთჰემპტონი“ საბოლოოდ შეცვლაზე შესულმა პორტუგალიელმა ჟოზე დომინგუშმა დაანგრია — შეცვალა თუ არა სამხრეთელმა ჟინოლა, რამდენიმე წამში არმსტრონგის ჩინებული პასიც მიიღო და ანგარიში 3:0 გახადა.

არ უთამაშია ლეს ფერდინანდს, რომელსაც თავის ქალის ტრავმა დღესაც აწუხებს.

ცნობისთვის: „ტოტენჰემი“ სწორედ ის გუნდია, რომელმაც 1973-74 წლების უეფას თასის გათამაშების მერვედფინალში თბილისის „დინამო“ გამოთიშა ასპარეზობას. მაშინ ინგლისელებმა თბილისში პირველ მატჩში ფრედ 1:1 ითამაშეს, შინ კი 5:1 მოიგეს.

**ბოტე ვაიტაძე**

REUTERS ლონდონიდან




შავკანიანმა არმსტრონგმა ანგარიში გახსნა

# პირველი დივიზიონი

## XXXIV ტური

**ბირმინგემი 0:0 ნორვიჩი**

**ჰადერსფილდი 3:2 ბოლტონი**

0:1 ჰოლდსუორსი (19), 1:1 სტიუარტი (36), 2:1 იონსონი (41), 3:1 არმსტრონგი (46), 3:2 იოჰანსენსი (50)

**იფსვიჩი 3:2 უოტფორდი**

1:0 დაიერი (17), 2:0 ვენუსი (27), 3:0 ჯონსონი (74), 3:1 სმიტი (82), 3:2 მუნი (84)

**შეფილდ იუნ. 1:1 კრ. პალასი**

1:0 პეტრიჩი (9), 1:1 მორისი (90)

**სანდერლენდი 2:0 პორტსმუთი**

1:0 დიკიო (9), 2:0 ფილიპსი (60)

**ვესტ ბრომვიჩი 3:1 სტოკპორტი**

1:0 კილბენი (18), 2:0 დე ფრეიტასი (52), 3:0 ჰიუზი (60), 3:1 მაკინტოში (75)

**პორტ ვეილი — გრიმსბი**

გადაიდო

**ბერი — ვულვერჰემპტონი**

გადაიდო

**ქრიუ — ბრისტოლი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 34 | 21 | 10 | 3 | 67:22 | 73 |
| იფსვიჩი | 34 | 19 | 7 | 8 | 47:22 | 64 |
| ბრედფორდი | 33 | 18 | 7 | 8 | 58:34 | 61 |
| ბოლტონი | 33 | 16 | 11 | 6 | 59:40 | 59 |
| ბირმინგემი | 34 | 16 | 10 | 8 | 49:29 | 58 |
| უოტფორდი | 35 | 14 | 11 | 10 | 51:47 | 53 |
| ვესტ ბრომვიჩი | 35 | 14 | 8 | 13 | 59:54 | 50 |
| ჰადერსფილდი | 34 | 13 | 10 | 11 | 48:54 | 49 |
| ვულვზი | 33 | 13 | 10 | 10 | 46:35 | 49 |
| გრიმსბი | 32 | 14 | 7 | 11 | 34:34 | 49 |
| ნორვიჩი | 33 | 12 | 12 | 9 | 46:42 | 48 |
| შეფილდ იუნ. | 34 | 12 | 12 | 10 | 51:51 | 47 |
| ტრანმერი | 33 | 9 | 15 | 9 | 45:44 | 42 |
| კრ. პალასი | 34 | 10 | 11 | 13 | 45:55 | 41 |
| სტოკპორტი | 34 | 9 | 13 | 12 | 40:42 | 40 |
| ბარნსლი | 33 | 9 | 13 | 11 | 39:39 | 40 |
| სვინდონი | 33 | 10 | 9 | 14 | 44:53 | 39 |
| პორტსმუთი | 34 | 9 | 11 | 14 | 46:52 | 38 |
| ქუინზ პარკი | 33 | 8 | 10 | 15 | 35:44 | 34 |
| ოქსფორდი | 33 | 8 | 9 | 16 | 34:54 | 33 |
| პორტ ვეილი | 33 | 9 | 4 | 20 | 33:60 | 31 |
| ბერი | 33 | 7 | 10 | 16 | 28:50 | 31 |
| ბრისტოლი | 33 | 5 | 13 | 15 | 42:61 | 28 |
| ქრიუ | 33 | 6 | 8 | 19 | 38:66 | 26 |

# ვისი თამაში ვის ლიგაშია

სამხრეთ ამერიკაში ჩილე გახლდათ ერთადერთი ქვეყანა, რომელიც პირველობას ევროპელთათვის ნაცნობი, ლიგური პრინციპით ატარებდა. ამიერიდან ასე აღარ იქნება, იქაური ფეხბურთის ბოსებმა ახალი ფორმულა შემოიღეს: სეზონის განმავლობაში თითოეული გუნდი 14 დამატებით მატჩს გამართავს.

ჩილეს ჩემპიონატში ძველებურად 16 გუნდი მონაწილეობს, მაგრამ ამიერიდან, ერთმანეთში ორ-ორი შეხვედრის შემდეგ პირველ-მერვე ადგილებზე გასულნი ახალ, მინი ლიგას შექმნიან.

საერთოდ, ლათინური ამერიკის ქვეყნებში ეროვნული ჩემპიონატები ფრიად არეულად მიმდინარეობს. ზოგ ქვეყანაში ისეთ რთულ სისტემას მისდევენ, რომ აღწერა შეუძლებელიც კია. აქა-იქ ორი ჩემპიონატი იმართება.

ასეთი ქვეყანა გახლავთ არგენტინა. მისი სისტემა ევროპულია, ლიგური, მაგრამ პირველობაა ორი, რაც იმას ნიშნავს, რომ სეზონს ერთი ჩემპიონი არ ჰყავს. არგენტინული კლუბები თითოჯერ ხვდებიან ერთმანეთს, გავარდნილებს კი ბოლო სამი სეზონის განმავლობაში დაგროვილ ქულათა საშუალო მაჩვენებლით არჩევენ.

პერუ, პარაგვაი, ბოლივია და ურუგვაი ერთნაირ პრინციპს მისდევენ. მათი პირველობა ორადაა გაყოფილი, ორი ჯგუფი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად თამაშობს, ბოლოს კი თითოეულის გამარჯვებული საყოველთაო ფინალში არკვევს ქვეყნის ჩემპიონის ვინაობას.

მექსიკაში დიდი ბასტი-ბუბუა. აქ ოთხი რვაგუნდიანი ჯგუფია. გუნდები თითოჯერ ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ მეოთხედფინალში თითოეული ჯგუფის პირველი და მეორე როდი გადის.

ბრაზილიაში, სეზონის პირველ ნახევარში შტატების დამოუკიდებელი ჩემპიონატები იმართება, მეორე ნახევარში კი საერთო პირველობა ეწყობა. კიდევ არსებობს ეგრეთწოდებული საერთო ეროვნული შეჯიბრება, რომელსაც „კოპა ბრაზილ“ ეწოდება. მას იმ დროს ნიშნავენ, პირველ სემესტრს რომ უწოდებენ და მონაწილეებს რიო დე ჟანიეროსა და სან პაულუს შტატებიდან არჩევენ.

საბოლოოდ, თითოეულ გუნდს თამაშების აურაცხელი რაოდენობა უგროვდება. მაგალითად, „კრუზეირომ“ 1998 წელს, ჯამში, 80 შეხვედრა გამართა.

კოლუმბიაში კიდევ უარესადაა საქმე. ამ ქვეყანაში თითოეული გუნდი 100-ზე მეტ მატჩს თამაშობს.

ეკვადორში კი... ამას ვერ აღწერ! „ემელეკი“ გასავარდნ-დასარჩენ პლეიოფშიც მონაწილეობდა და იმავდროულად, ფინალშიც იყო გასული.

# საუცხოო მატყუარა



დიეგო სიმეონე

დაუვიწყარი ეპიზოდი ისევ თვალწინ უდგას მთელ ინგლისს. ამ ეპიზოდის გამო მათმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი დატოვა. სწორედ მაშინ ისულელა დევიდ ბექემმა, რისთვისაც მოედნიდან გააძევეს (მარჯვენა ფოტოზე)...

და აი, მილანურმა გაზეთმა „გაძეტა დელო სპორტმა“ ბნელი გაანათა. მან არგენტინელი ფეხბურთელის, დიეგო სიმეონეს ინტერვიუ გამოაქვეყნა.

ეს იყო სენტ ეტიენში, 1998 წლის 30 ივნისს. ინგლისისა და არგენტინის ნაკრებთა მეოთხედფინალური მატჩის მეორე ტაიმის მეორე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც...

„ცხადია, ძალიან ჭკვიანურად მოვიქეცი“ — ამბობს ინტერვიუში სიმეონე — „გავწექი და შედეგად მოწინააღმდეგის გაძევება მოვინადირე. არადა სინამდვილეში, დიდი არაფერი მომხდარა, ბექემმა უბრალოდ ფეხი წამკრა, ყოველგვარი მიზნის გარეშე, ეტყობა ინსტინქტურად. მას ძალაც არ დაუტანებია. რაც შეეხება მსაჯს, ის ცხადია, ცამდე მართალი იყო, რადგან ინგლისელი ფეხბურთელის საპასუხო რეაქციას დაუსჯელად ვერ დატოვებდა“.

სიმეონე განაგრძობს: „მსაჯი ერთგვარად მოტყუვდა, მაგრამ იმ ეპიზოდში სწორი დასკვნის გამოტანა ძალიან ძნელი იყო. საქმე ის გახლავთ, რომ მე ფრიად ოსტატურად წავიქეცი. ამ ნაქცევით ყვითელი ბარათი წითელში გადავზარდე, თუმცა ვითარება თავიდან მხოლოდ და მხოლოდ ყვითელ ბარათს მოასწავებდა“.




# დროა ძვლები გაითბოს

გერმანელი მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი ამბობს, რომ „ბაიერნის“ სათავეში დიდხანს არ დარჩება. მას თურმე საზღვარგარეთ მუშაობა აინტერესებს. ამასობაში „ბაიერნის“ ერთ-ერთ ბოსს, კარლ ჰაინც რუმენიგეს მასთან ახალი ოთხწლიანი კონტრაქტის გაფორმება აქვს გადაწყვეტილი. „დღეს ჩემთვის ახალი კონტრაქტის დადება წარმოუდგენელია. ჩემს ასაკში კაცს თბილ ქვეყანაში ცხოვრება სჭირდება. ინგლისში გადასვლაც გამორიცხულია. იქ ცუდი კლიმატია და ეს ქვეყანა მენტალურადაც ძალიან შორსაა ჩემგან“ — განაცხადა 50 წლის ჰიცფელდმა, რომელმაც 1997 წელს დორტმუნდის „ბორუსიას“ ჩემპიონთა თასი მოაგებინა, „ბაიერნთან“ კი 2000 წლის შუაში ეწურება ხელშეკრულების ვადა.

ქირავდება
1-ოთახიანი
კეთილმოწყობილი ბინა
ქავთარაძის ქუჩაზე
☎ 93 15 72

# თომასი ჩვენს გულებში




თომას რაველი

თომას რაველი ფეხბურთიდან წავიდა. შვედი მეკარე დღეიდან ტელეკომენტატორი იქნება.

ამერიკიდან სამშობლოში დაბრუნებულმა რამდენიმე დღე გიოტებორგში, შინ დაჰყო, ორიოდ დღე იფიქრა და გადაწყვეტილებაც მიიღო — იგი გამოეთხოვა საყვარელ საქმეს, რომელსაც მთელი ცხოვრება ემსახურებოდა და რომლის წყალობითაც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოთამაშე გახდა.

ბოლო ერთი წელიწადი ამერიკაში თამაშობდა. ოკეანის გაღმა, მეიჯორ სოკერ ლიგაში რომ მიდის ფეხბურთელი, ეს მისი კარიერის დასასრულს მოასწავებს. ასე მომხდარა ბევრ სხვა შემთხვევაში და ასე მოხდა ახლაც — „ტამპა ბეი მუტინის" ღირსებას რაველი თითქმის ერთი წელი იცავდა და შემდეგ მიატოვა ფეხბურთი.

— მივხვდი, რომ მეტი აღარ შემეძლო. ფეხბურთისთვის დავბერდი. დროა, ქვეყნის ნაკრებში ადგილი სხვას დავუთმო. მე ჩემი გზა გავიარე, ჩემს უკან ახალგაზრდები დგანან — განუცხადა რაველიმ შვედეთის ტელევიზიას.

თავის დროზე რაველიმ სხვა შეცვალა. ახლა იგი შეცვალეს. ასე იყო, ასეა და მომავალშიც ასე იქნება, მაგრამ რა დროც არ უნდა გავიდეს, მისი რეკორდი, რომელსაც კარიერის მანძილზე ქმნიდა, კარგა ხანს ხელუხლებელი დარჩება — შვედეთის ნაკრების ღირსება თომას რაველის 143 მატჩში დაუცავს. ასეთი შედეგისთვის დედამიწის ზურგზე ჯერ არავის მიუღწევია.

შვედეთში დაბრუნებულს რამდენიმე კლუბი შეეხმიანა, გადასვლა სთხოვეს, მაგრამ მეკარემ ყველა წინადადება იუარა. განა იმიტომ, რომ სათამაშო დონე იყო დაბალი, უბრალოდ, კარის დასაცავად გული აღარ მიუწევს, ძალით თამაშს კი...

10 წლისა იყო, „ოსტერსის" საფეხბურთო სკოლაში რომ მიიყვანეს. 17 წლისამ ამ კლუბის შემადგენლობაში პირველად ითამაშა შვედეთის ჩემპიონატში, 1980 და 1981 წლებში კი „ოსტერსში" ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. მერე ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი „გიოტებორგი" იყო — ბევრი ჯილდო, ბევრი ტიტული და პოპულარობა.

სხვა საქმეა ნაკრები — თავისი 143 მატჩიდან პირველი თომას რაველიმ 1981 წელს ითამაშა, ბოლო კი — 1997 წლის ოქტომბერში, ესტონელებთან 1:0 მოგებული თამაში იყო. ქვეყნის პირველ გუნდში დებიუტი 19 წლისას ჰქონდა. 18 წლის შემდეგ კი შვედეთის ღირსება 143-ედ დაიცვა. ვერაფერს იტყვი, შესანიშნავი მიღწევაა.

1994 წელს შვედეთი მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა — უდიდესი იყო თომას რაველის წვლილი ამ წარმატებაში. მანამდე ორი წლით ადრე რაველი ევროპის ჩემპიონატის მესამეადგილოსანი გახდა.

— თომასი შესანიშნავი პიროვნებაა. იგი მუდამ შვედეთის ნაკრების განუყრელი ნაწილი იქნება. შვედეთს ბევრი დიდი ფეხბურთელი ჰყოლია, რომელთაც მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უკავიათ. თომას რაველი, უეჭველია, მათ შორის არის. თომას ბროლინმა, შვედეთში, ალბათ, ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა მოთამაშემ რაველისთან ერთად ისაუბრა ტელევიზიით გამოსვლისას მეკარის გეგმებზე.

დასრულდა ისტორია გამორჩეული შვედი მეკარისა, თუმცა ცხოვრება გრძელდება.

არა, ნაკრებში 143 მატჩი რომ ითამაშო, მართლაც უნდა დაიმსახურო.

ირაკლი ილაშვილი

# ოთხი ქალი ერთ ლოგინში

აი, ასე — საფეხბურთო აგენტმა ლიუბომირ ბარინმა ფრანგული სასამართლოს წინაშე აღიარა, რომ 80-იან წლებში ის „ბორდოს" ეხმარებოდა ევროპის ჩემპიონთა თასის შეხვედრათა მსაჯების მოქრთამვაში. მან ქრთამის ნაირსახეობებზეც ილაპარაკა, თუმცა ძირითადად ორი ვარიანტი ყოფილა: საჩუქრები და ქალები.

ბარინი ხორვატია, იგი გახლავთ ერთი იმ ოთხთაგან, რომლებიც 80-იანი წლების „ბორდოს" მაქინაციებში გახლავან მხილებული და სასამართლოში პასუხს იძლევიან. ბარინთან ერთად განსასჯელთა სკამზე სხედან კლუბის ყოფილი გენერალური მენეჯერი დიდიე კუკუ, ყოფილი გენერალური მდივანი ჰერვ ბიზო და კიდევ ერთი აგენტი პორტუგალიელი ლისიო დონოფრიო.

„ევროპაში უკლებლივ ყველა მსაჯს უყვარდა ბორდოში ჩამოსვლა" — განუცხადა ბარინმა სასამართლოს. მან გაიხსენა, როგორ შესთავაზა დახმარება ბორდოელთა ყოფილ პრეზიდენტს, აწ გარდაცვლილ კლოდ ბეზს. ბეზი დათანხმებულა, რადგან გამწარებული ყოფილა 1981 წელს „ჰამბურგთან" თამაშის დროს მსაჯის მიერ დაშვებული მნიშვნელოვანი შეცდომის გამო.

ბარინისა და ბეზის გარიგებას საქმე მოჰყვა. ბეზმა ხორვატ აგენტს 100 ათასი დოლარი მისცა და უთხრა, აბა შენ იცი, რაც „ჰამბურგთან" შეგვემთხვა, აღარასოდეს უნდა განმეორდესო.

თუმცა სასამართლოს 100 ათასის ამბავი იმდენად არ აღელვებს, რამდენადაც 800 ათასი დოლარის ბედი. ეს ის თანხაა, 1983-88 წლებში „ბორდომ" სადღაც რომ გააქრო.

ბარინმა თქვა: „მსაჯებს საჩუქრებს ვუძღვნიდით ხოლმე. ხშირად მიგვიცია ქურთუკები, პერანგები, ნაირ-ნაირი რამ ბავშვებისთვის. არ უარვყოფ, ხანდახან გოგოებსაც ჩავუგორებდით ხოლმე ლოგინში. ყოფილა შემთხვევა, სამიოთხი ქალი ერთდროულად რომ მიგვირთმევია".

„ბორდოს" ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ჰერვ ბიზომ ცოტა სხვანაირად ილაპარაკა. მან აღნიშნა, რომ ფულის ხარჯვა ყოველთვის ქრთამის მიცემას არ ნიშნავს. საქმე, თურმე, მსაჯებისთვის სასიამოვნო გარემოს შექმნა ყოფილა.

ფრანგთა ქვეყნის ორმა, ყველაზე ცნობილმა არბიტრმა, მიშელ ვოტრომ და ჟოელ კინიუმ, რომლებიც თემიდამ მოწმეებად გამოიძახა, ფიცის ქვეშ დაადასტურეს, რომ ჩემპიონთა თასის მატჩების შემდეგ მსაჯებისთვის გოგოების შეთავაზება ერთობ გავრცელებული წესი ყოფილა.

„მაგრამ ეს მატჩების შემდეგ ხდებოდა. უეფას დელეგატის თვალწინ" — ბრძანა ვოტრომ.

ბარინმა განაცხადა, რომ დღეს ევროპაში ასეთი შავი საქმე აღარ ტრიალებს.

ბოლოს ბრალმდებელმა საფრანგეთის სასამართლოს ხორვატი აგენტის, ლიუბომირ ბარინის ორი წლით დაპატიმრება და 350 ათასი დოლარით დაჯარიმება სთხოვა.

ორი წლით პატიმრობა ელის დიდიე კუკუსაც.

ბოზოს ციხეში ოთხი თვით ჩასვამენ, გადახდა კი 10 ათასი დოლარისა მოუწევს და ლისიდიო დონოფრიოც ალბათ ოთხი თვით ვერ იხილავს მზიან ცას. მისი ჯარიმა კი 175 ათასი დოლარი იქნება.

# არ მიბაძოთ ჩელსის და ბარსელონას!




დინო ძოფი

დინო ძოფი შეშფოთებულია. ზუსტად იმავე პრობლემებით, რაც სხვებს აღელვებთ.

დინო ძოფი, კარგად მოგეხსენებათ, იტალიის ნაკრების მწვრთნელია. ლეგენდარულ მეკარეს, რომელსაც „სკუადრა აძურაში" თამაშისას ევროპის 1968 წლის ჩემპიონატი მოუგია, სწორედ ქვეყნის პირველი გუნდის ბედი და მომავალი ანაღვლებს.

— რაღაც უნდა ვიღონოთ. ასე აღარ შეიძლება. იტალია გაივსო უცხოელი ფეხბურთელებით. სხვა ქვეყნის წამყვანი მოთამაშეების იტალიურ კლუბებში მოდინებით გუნდები, ცხადია, გაძლიერდნენ, ისევე, როგორც ჩემპიონატი, რაც თავისთავად მისასალმებელია, მაგრამ ამას უარყოფითი მხარეც აქვს — უცხოელი ვარსკვლავები ახალგაზრდა იტალიელ მოთამაშეებს გაზრდაში უშლიან ხელს. ეს კი ქვეყნის პირველ გუნდზე აისახება — განაცხადა დინო ძოფმა. მანვე დასძინა, ლეგიონერების წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ მხოლოდ გარკვეული რაოდენობითო.

დრო იყო, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ კლუბებს უცხოელი მოთამაშეების შეძენა აუკრძალა და იტალიის ჩემპიონატი სწორედ რომ იტალიელთა ჩემპიონატი გახლდათ. შემდეგ ფედერაცია დათმობაზე წავიდა და გუნდებს ორი, შემდეგ სამი, მერე ხუთი ლეგიონერის მიწვევის უფლება მისცა. შესაძლოა, იტალიელები ხუთზეც შეჩერებულიყვნენ, მაგრამ 90-იანი წლების მეორე ნახევარში „ბოსმანის ბომბი" აფეთქდა — ევროპის საფეხბურთო სამყაროს სატრანსფერო პოლიტიკა ქაოსმა მოიცვა. უეფა გაოგნდა, მდიდარ კლუბებს კი ხელ-ფეხი გაეხსნათ. ნაკრებებს საფრთხე დაემუქრა. ამ ყველაფერმა განაპირობა ის, რომ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი" დღეს ვარსკვლავებით გადაჭედილნი არიან.

იტალიაში „ბოსმანის ეფექტმა" ალბათ, ყველაზე დიდი „ნგრევა" გამოიწვია. ამიტომაცაა, კლუბებში შვიდირვა ლეგიონერი რომაა. კლუბებისთვის ძლიერება კარგია, მაგრამ რაც მათ ნაბიჯს მოსდევს, ეს აღარ ანაღვლებთ.

„სკუადრა აძურა" ზარალდება. იმავე დინო ძოფის თქმით, თავის დროზე, სანამ სერია A ლეგიონერებით გადაივსებოდა, იტალიის მწვრთნელებს ქვეყნის პირველი გუნდის დასაკომპლექტებლად დიდი არჩევანი ჰქონდათ — საშუალოდ 60-70 იტალიელი ფეხბურთელი ნაკრების მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. დღეს კი ეს რიცხვი თითქმის განახევრდა — 35-მდე დავიდა.

— ყოვლად დაუშვებელია, იტალიურმა კლუბმა 8-9 ლეგიონერით ითამაშოს. „ჩელსის", ანაც „ბარსელონას" მაგალითი ავიღოთ — ამ გუნდებს ინგლისური და ესპანური ჰქვიათ, მაგრამ განა კარგია, როცა ინგლისის და ესპანეთის ჩემპიონატის მატჩებში რვა-ცხრა უცხოელით თამაშობენ? ეს ხომ საშინელებაა. იტალიურმა გუნდებმა მათ არ უნდა მიბაძონ — ესეც ძოფის სიტყვებია.

დღესდღეობით სერია A-ში 163 უცხოელი თამაშობს, თუმცა ლეგიონერად მხოლოდ 60-მდე ფეხბურთელი ითვლება. ისინი, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნების წევრები არ არიან. ესეც ბოსმანის ბომბის კიდევ ერთი „გამოსხივება".

— რაც დრო გადის, უმაღლეს დონეზე მოთამაშე იტალიელ ფეხბურთელთა რაოდენობა მცირდება. დროა, გონს მოვეგოთ. დღევანდელი არასწორი მოქმედება მომავალში უეჭველად იმოქმედებს ნაკრებზე. მე არ მსურს, იტალია რიგით გუნდად იქცეს — თქვა ძოფმა.

სტატისტიკას თუ დავხედავთ, ძოფს რაც აწუხებს, თითქოს არც ისე დიდი პრობლემაა — იტალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფს ლიდერობს ქულათა მაქსიმუმით, მაგრამ როდემდე გაგრძელდება ასე? მწვრთნელს სწორედ ეს აინტერესებს.

ძოტე მაიტაძე

# სპონსორები, სპონსორები — ჭრელი, ათასფერადი

*მასტერქარდმა და ფიფამ ხელშეკრულება გააფორმეს. სრულიად ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ მსოფლიოს ჩემპიონატის სპონსორობა ისევ გამოცდილ პარტნიორს უძღვნა.*

*როგორც ფიფას, ასევე მასტერკარდის წარმომადგენლებმა საკითხის ფინანსურ მხარეზე საუბარი იუარეს, თუმცა ზოგიერთი წყაროდან გაჟონა ინფორმაციამ, რომ სპონსორმა 40 მილიონი დოლარი გაიღო. შეადარეთ ახლა ეს თანხა იმ 23 მილიონს მასტერკარდმა წინა ჯერზე რომ გადაიხადა.*

*იმავე წყაროს თანახმად, 2002 წლამდე კომპანიას 135 მილიონი დოლარი ექნება დასახარჯი.*

*ხელშეკრულების გაფორმებას მოჰყვა პრესკონფერენცია, სადაც ფიფას პრეზიდენტმა, იოზეფ ბლატერმა აღნიშნა, რომ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის 12 სპონსორიდან ორმა, „ჯენერალ მოტორსმა" და „მარსმა" ახალ კონტრაქტზე უარი განაცხადა, თუმცა გამოჩნდა ექვსი ახალი მფარველი. ასე რომ, 2002 წლის პირველობას სულ 14 სპონსორი ეყოლება.*




იოზეფ ბლატერი და პელე მასტერკარდის სიმბოლური საკრედიტო ბარათით

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### თასების თასი. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჩელსი — ვალერენგა | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ლოკომოტივი — მაკაბი | (1,35-2,5) | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ვარტექსი — მალიორკა | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| პანიონიოსი — ლაციო | (10,0-1,02) | 5,3 | 3,1 | 1,6 |

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **5 მარტი** | | | |
| დუისბურგი — ჰანზა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ნიურნბერგი — შალკე | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| **6 მარტი** | | | |
| ბოხუმი — დორტმუნდი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| შტუტგარტი — აინტრახტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ვოლფსბურგი — ჰამბურგი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ჰერტა — კაიზერსლაუტერნი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ბაიერნი — ფრაიბურგი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| მიონხენგლადბახი — მიუნხენი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| **7 მარტი** | | | |
| ლევერკუზენი — ვერდერი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **4 მარტი** | | | |
| ბერლინი — ზტ. პაული (გადადებული მატჩი) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| **5 მარტი** | | | |
| ობერჰაუზენი — ფიურტი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| კოტბუსი — ვატენშაიდი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ჰანოვერი — უნტერჰახინგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| **7 მარტი** | | | |
| ზტ. პაული — კარლსრუე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ულმი — კიოლნი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ფორტუნა — ბერლინი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| დიუსელდორფი — კიკერსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| გიუტერსლო — ურდინგენი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| **8 მარტი** | | | |
| მაინცი — არმინია | 2,6 | 2,8 | 2,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **6 მარტი** | | | |
| ქოვენთრი — ჩარლტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| საუთჰემპტონი — ვესტ ჰემი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| უიმბლდონი — ლესტერი | 1,8 | 2,8 | 4,4 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **6 მარტი** | | | |
| ბირმინგემი — პორტსმუთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ბერი — კრისტალ პალასი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ქრიუ — გრიმსბი | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| ჰადერსფილდი — სტოკპორტი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| იფსვიჩი — ტრანმერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| პორტ ვეილი — ბრედფორდი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| ქუინზ პარკი — ვულვერჰემპტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| შეფილდი — უოტფორდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| სანდერლენდი — ნორვიჩი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| სვინდონი — ბოლტონი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ვესტ ბრომვიჩი — ოქსფორდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **7 მარტი** | | | |
| პერუჯა — ემპოლი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბარი — ინტერი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| სამპდორია — იუვენტუსი | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| ფიორენტინა — პარმა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| მილანი — პიაჩენცა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| უდინეზე — რომა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლაციო — სალერნიტანა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| ბოლონია — ვენეცია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| კალიარი — ვიჩენცა | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **6 მარტი** | | | |
| ლეჩე — რეჯანა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| **7 მარტი** | | | |
| რავენა — ატალანტა | 2,2 | 2,7 | 3,1 |
| კოზენცა — ბრეშა | 3,6 | 2,7 | 2,0 |
| ნაპოლი — ჩეზენა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 2,8 | 2,5 |
| ლუკეზე — ფ. ანდრია | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| პესკარა — ჯენოა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| მონცა — ტერნანა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| კიევო — ტორინო | 3,0 | 2,7 | 2,3 |
| კრემონეზე — ტრევიზო | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| რეჯინა — ვერონა | 2,4 | 2,7 | 2,8 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **6 მარტი** | | | |
| ოვიედო — დეპორტივო | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| **7 მარტი** | | | |
| ალავესი — მალიორკა | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| ტენერიფე — ატლეტიკო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| სოსიედადი — ვილიარეალი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ესპანიოლი — ვალიადოლიდი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| სალამანკა — ბარსელონა | 5,3 | 3,1 | 1,5 |
| ვალენსია — ბილბაო | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| სელტა — ბეტისი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| რეალი — სარაგოსა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ესტრემადურა — რასინგი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **6 მარტი** | | | |
| მალაგა — მერიდა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| კომპოსტელა — ერკულესი | 1,35 | 4,0 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 2,8 | 2,5 |
| ნუმანსია — ბარსელონა B | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| მალიორკა B — ლას პალმასი | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| **7 მარტი** | | | |
| რეკრეატივო — ლეგანესი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ორენსე — ბადახოსი ($15^{00}$) | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| სევილია — ოსასუნა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლეიდა — ალბასეტე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლოგრონიესი — ტოლედო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| რაიო — ეიბარი ($15^{00}$) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ატლეტიკო B — სპორტინგი ($15^{00}$) | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი

| | | | |
|---|---|---|---|
| **5 მარტი** | | | |
| როდა — ეინდჰოვენი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| **6 მარტი** | | | |
| ბრედა — ჰერენვენი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| ალკმაარი — კამბური | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| ვიტესი — სიტარდი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| მაასტრიხტი — ტვენტე | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| **7 მარტი** | | | |
| გრააფსხაპი — ფეიენოორდი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| ვალვაიკი — ტილბურგი | 3,5 | 3,0 | 1,9 |
| სპარტა — ნაიმეგენი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| აიაქსი — უტრეხტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XXV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **5 მარტი** | | | |
| სტანდარდი — მუსკრონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| **6 მარტი** | | | |
| ლოკერენი — ეკერენი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ანდერლეხტი — ლომელი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| გენკი — შარლერუა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| გენტი — ბევერენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| ოსტენდე — ვესტერლო | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| **7 მარტი** | | | |
| ლიერსი — ბრიუგე | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ჰარელბეკი — სტ. ტრუიდენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| აალსტი — კორტრაიკი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### პოლონეთის ჩემპიონტი. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **7 მარტი** | | | |
| გურნიკი — ვიძევი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ლკს — პოგონი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| რუხი — ოდრა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ვისლა — პოლონია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| ბელხატოვი — ზაგლებე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ლეგია — სტომილი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| კატოვიცე — ლეხი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ამიცა — რაძიონკოვი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XXIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **5 მარტი** | | | |
| ტრაბზონი — ერზურუმი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| **6 მარტი** | | | |
| დარდანელი — გაზიანთეფი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| საქარია — ისთანბული | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ბეშიქთაში — ქოჯაელი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| ანკარაგიუჯიუ — ბურსა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| **7 მარტი** | | | |
| ანთალია — ალთაი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| გალათასარაი — ფენერბაჰჩე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| სამსუნი — ადანა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ქარაბუქი — გენჩლერბირლიგი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| **7 მარტი** | | | |
| კილმარნოკი — დანფერმლაინი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **5 მარტი** | | | |
| ლინცერი — გრაცერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| **6 მარტი** | | | |
| აუსტრია — ზალცბურგი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლუსტენაუ — შტაირი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| შტურმი — რიდი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| ტიროლი — რაპიდი | 4,0 | 3,0 | 1,8 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **6 მარტი** | | | |
| სტ. გალენი — სერვეტი | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| **7 მარტი** | | | |
| ბაზელი — ქსამაქსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| გრასჰოპერი — ლუცერნი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| ლოზანა — ციურიხი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### ინგლისის თასის მეოთხედფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| **6 მარტი** | | | |
| ნიუკასლი — ევერტონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| ბარნსლი — ტოტენჰემი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| არსენალი — დერბი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| **7 მარტი** | | | |
| მანჩესტერი — ჩელსი | 1,8 | 2,8 | 4,4 |

### საფრანგეთის ლიგის თასის მეოთხედფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| **5 მარტი** | | | |
| ოსერი — სოშო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| **6 მარტი** | | | |
| პსჟ — მონპელიე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| **7 მარტი** | | | |
| მეცი — ტულუზი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| რენი — ლანსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### პორტუგალია. თასის მე-[illegible]

| | | | |
|---|---|---|---|
| **7 მარტი** | | | |
| ალვერკა — კამპომაიორენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბეირა მარი — ლეირია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სეტუბალი — ფერეირა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| მარიტიმუ — პევიდიმი | 1,15 | 5,6 | 10,0 |

### შოტლანდიის თასი.ს მეოთხედფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| **6 მარტი** | | | |
| მოზერველი — სენტ ჯონსტონი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| **7 მარტი** | | | |
| რეინჯერსი — ფალკირკი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| **8 მარტი** | | | |
| მორტონი — სელტიკი | 8,0 | 4,4 | 1,25 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გერმანია (მე-21) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| იტალია (24-ე) | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი (25-ე) | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| ბელგია (25-ე) | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| პოლონეთი (მე-17) | 20 და ნაკლები | 1,9 | 22 და მეტი | 1,9 |
| თურქეთი (23-ე) | 24 და ნაკლები | 1,9 | 26 და მეტი | 1,9 |

### ჰოკეი. NHL

| | | | |
|---|---|---|---|
| **4 მარტი** | | | |
| აილენდერსი — დალასი | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| ფილადელფია — ოტავა | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ვაშინგტონი — რეინჯერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ტამპა ბეი — კოლორადო | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| სენტ ლუისი — ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ლოს ანჯელესი — ნეშვილი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| **5 მარტი** | | | |
| ბუფალო — დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ნიუ ჯერსი — ბოსტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| პიტსბურგი — ედმონტონი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ვანკუვერი — კალგარი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ფინიქსი — დეტროიტი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ანაჰაიმი — ნეშვილი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| **6 მარტი** | | | |
| მონრეალი — ტამპა ბეი | 1,1 | 4,4 | 6,5 |
| ოტავა — ტორონტო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ფილადელფია — აილენდერსი | 1,1 | 4,4 | 6,5 |
| ვაშინგტონი — ედმონტონი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ფლორიდა — კაროლინა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ლოს ანჯელესი — კალგარი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| სან ხოსე — ჩიკაგო | 1,35 | 4,4 | 3,6 |
| **7 მარტი** | | | |
| ბოსტონი — რეინჯერსი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ბუფალო — ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| აილენდერსი — ნიუ ჯერსი | 3,0 | 4,4 | 1,5 |
| პიტსბურგი — კოლორადო | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ვანკუვერი — ჩიკაგო | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| დალასი — სტ. ლუისი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ფინიქსი — ნეშვილი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ანაჰაიმი — დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| **8 მარტი** | | | |
| მონრეალი — ფლორიდა | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ოტავა — ტამპა ბეი | 1,1 | 4,4 | 6,5 |
| რეინჯერსი — ტორონტო | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| კაროლინა — ბუფალო | 2,0 | 4,4 | 2,0 |

### კალათბურთი. NBA

| | | | |
|---|---|---|---|
| **4 მარტი** | | | |
| ნიუ ჯერსი — შარლოტი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| მაიამი — დენვერი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| ატლანტა — ტორონტო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| კლივლენდი — დეტროიტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| დალასი — სან ანტონიო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| ჰიუსტონი — კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| სიეტლი — ფინიქსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| ვანკუვერი — მინესოტა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| **5 მარტი** | | | |
| ბოსტონი — დენვერი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| ფილადელფია — მაიამი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| ვაშინგტონი — შარლოტი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| ინდიანა — გოლდენ სტეიტი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| ტორონტო — ორლანდო | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| მილუოკი — ნიუ იორკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| იუტა — დალასი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| პორტლენდი — მინესოტა | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| ლეიკერსი — სიეტლი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| **6 მარტი** | | | |
| ორლანდო — დეტროიტი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| კლივლენდი — გოლდენ სტეიტი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| სან ანტონიო — კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| ფინიქსი — საკრამენტო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| ვანკუვერი — ჰიუსტონი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| **7 მარტი** | | | |
| ნიუ იორკი — ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| ინდიანა — მაიამი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| ფილადელფია — ვაშინგტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| ტორონტო — ბოსტონი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| იუტა — ლეიკერსი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| დენვერი — სან ანტონიო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| საკრამენტო — დალასი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| პორტლენდი — ჰიუსტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| სიეტლი — მინესოტა | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| **8 მარტი** | | | |
| ორლანდო — ატლანტა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| მაიამი — ფილადელფია | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| დეტროიტი — ვაშინგტონი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| მილუოკი — ჩიკაგო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| ვანკუვერი — პორტლენდი | 2,3 | 12,0 | 1,4 |

### EUROLEAGUE

| | | | |
|---|---|---|---|
| ულკერი — ჟალგირისი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| რეალი — ფენერბაჰჩე | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| ციბონია — ვილერბანი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| პო ორტეზი — ოლიმპია | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| ტიმსისტემი — პანათინაიკოსი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| ცსკა — ეფეს პილსენი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| მაკაბი — კინდერი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| ვარეზე — ოლიმპიაკოსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

### რაგბი. ხუთი ერის თასი III ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **6 მარტი** | | | |
| საფრანგეთი — უელსი | 1,1 | 6,0 | 6,0 |
| ირლანდია — ინგლისი | 3,5 | 6,0 | 1,25 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## ქართველები საბჭოთა ნაკრებში

# გიორგი სიჭინავა

25

ეს ამბავი კარგა თხუთმეტი წლის წინ მოხდა გაგრაში. შავიზღვისპირეთში წინასასეზონო სამზადისისთვის ჩასული მოსკოვის „დინამო“ გაგრის ნაკრებთან ამხანაგურ თამაშს მართავდა. ადგილობრივ გუნდში ახალგაზრდებთან ერთად სამი თმაშეთხელებული, ჭარმაგი კაცი თამაშობდა და არც თუ ურიგოდ.

ტრიბუნები განსაკუთრებით ერთ-ერთ ძიაკაცს ქომაგობდნენ.

მერე სწორედ ეს ძიაკაცი მოსკოველ მცველთან ორთაბრძოლაში ჩაება. საკმარისი იყო მოეტყუებინა მცველი და მეკარე პილგუისთან ერთი-ერთზე დარჩებოდა. ამაოდ იბრძოლა ძიაკაცმა, ბურთიც დაკარგა, ვერც სირბილში აჯობა შვილისტოლ მოსკოველს და სხვა რომ ვერა გააწყო, სიცილით მაისურზე დაეკიდა.

აქ ისევ ტრიბუნებმა გამოილეს ხელი და „გოგა, გოგაო“ შესძახეს. გოგა ანუ გიორგი სიჭინავა. უცნაური კაცი, უცნაური ფეხბურთელი, რომელიც ისე ჩაირიცხა თბილისის „დინამოში“ ერთი მწვრთნელი რაა, ისიც კი არ ჰყოლია ხეირიანი.

# მთავარი თემა



სარბიელის არქივიდან

გიორგი სიჭინავა და პელე. ეთამაშა ფეხბურთის მეფის წინააღმდეგ, ამაზე დიდხანს ოცნებობდა ქართველი ფეხბურთელი და აი, ოცნებაც აუხდა.

მერე, გვიან, როცა გიორგი სიჭინავას საკეთებელიც მოლეული აქვს და სიმღერაც ნამღერი ფეხბურთში, დიდი ანდრო ჟორდანია იტყვის — „დიავოლ“, ასეთი ნიჭის ფეხბურთელი იშვიათად შემხვედრია, მაგრამ არც ის მსმენია, თავისი ნიჭი ასე გაეფლანგოს ვინმეს.

ჰმ. საქმე? როგორ შეიძლება ქართველისთვის ფეხბურთი საქმე იყოს? პროფესიონალიზმი, უნივერსალიზმი და სხვა ამგვარი, სულ „ახალ-უხლების“ მოგონილია, ფეხბურთს, პირველ ყოვლისა, სიამოვნება უნდა მიენიჭებინა ქართველისთვის და განა მარტო გულშემატკივრისთვის. არა, ქართველი ფეხბურთელიც სიამოვნებას ეძებდა ამ ინგლისურ თამაშში. განსაკუთრებით კი 60-იანი წლების ქართველი ფეხბურთელი — მესხი, მეტრეველი, ბარქაია, სიჭინავა — ვინც გინდა სხვა.

მოსწონთ ჩვენში ლამაზი ბურთაობა. რომანტიკული, სამხრეთულიო — მაშინ ასე ეძახდნენ და თუ ვარდნაში იყო დასარტყმელი, ქართველი მობურთალი ვარდნაში დაარტყამდა უთუოდ. „მაკრატელა“? შეიძლოს და ვინ ოხერი იტყვის „მაკრატელაზე“ უარს. ჰოდა, ამ სილამაზისმოყვარეობიდან — პაიჭაძის „ხეტიალი“, „მესხის ფინტი“, „შენგელიას რიტუალი“ და „სიჭის დრიბლინგიც“ აქედან.

„სიჭი“, გიორგი სიჭინავა — რთული ფეხბურთელი და უფრო რთული პიროვნება, მეტიც, ურთიერთგამომრიცხველი თვისებებით შემკულიც კი და მაინც, გიორგი სიჭინავა — ერთ-ერთი საინტერესო და ეპოქალური ქართველი მობურთალი.

ახლა ლეგენდასავით მოარული ამბები?! ზოგი მართალი, ზოგიც გაბუქული — „დინამო“ რომ ილლებოდა, ბურთს სიჭინავა მოიგდებდა და მანამ ატარებდა, სანამ თანაგუნდელები სულს არ მოითქვამდნენო... ერთხელ სიჭინავამ ათ მეტოქესთან ერთად ყველა თანაგუნდელი მოატყუა, მერე მოწინააღმდეგის მეკარეც დააწვინა და... ბურთიანად უკან, ცენტრისკენ დაბრუნდაო... მოკლედ, თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდან მოვა, კაცი გამოირჩეს და მასზე ლეგენდის შექმნას რა უდგას წინ.

გიორგი სიჭინავას მთელი ცხოვრება ბურთთან და ფეხბურთთან იყო დაკავშირებული. აი, რომ იტყვიან, ბურთთან ერთდა დაიბადაო, ზუსტად ისე. სტადიონიც სახლიდან ორ ნაბიჯზე ჰქონდა, ერთი ღობე ჰყოფდათ გიორგი სიჭინავას ეზოს და სტადიონს. ამიტომაც სტადიონზე ათენ-ალამებდა და თუ მინდორზე არა, პლაჟზე იყო, თუ პლაჟზე არა — ზღვაში და ასე განუწყვეტლივ.

მას არ ჰყოლია მწვრთნელი. იგი ტალანტი იყო, გულიანი ტალანტი, ერთიანად თვითნაბადი ნიჭი და თუ აღმოაჩინეს, იმიტომ, რომ არსებობდა. არარსებულს ვერ აღმოაჩენ, გინდაც ანდრო ჟორდანია იყო.

ეე, სხვა დრო იდგა მაშინ. ეტყობა, იმ ნეტარსახსოვარ 60-იან წლებში ჯერაც ბევრი რამე აკლდა ფეხბურთს — ტაქტიკაო, სათამაშო სქემაო. ათასი სხვა რაღაც. საკითხავი და მთავარი ის არის, ამ სიახლეებით თუ დამშვენდა „მილიონების სიხარული“, ეგებ ის დაუხვეწაობა და გაუმართაობა სჯობდა ახლანდელ ლამის მეცნიერულ დონეზე „გათვლილ“ ფეხბურთს? ვინ იცის...

გიორგი სიჭინავას არავითარი სპეციალური სკოლა და მომზადება არ გაუვლია, ისე მოვიდა დიდ ფეხბურთში. მოვარდაო, უფრო მართალი ნათქვამი იქნება. ფარიკაობაში გატარებულმა რამდენიმე წელიწადმა გააკაჟა და გამოაწრთო მისი სხეული, თანაც სწრაფ აზროვნებას მიაჩვია. არავინ იცის, როგორი მოფარიკავე იქნებოდა იგი, ბოლომდე რომ გაჰყოლოდა სპორტის ამ სახეობას, მაგრამ იმთავითვე ჩანდა, ფარიკაობა არ იყო მისი გატაცება, ბოლომდე ვერ იხარჯებოდა მასში და ყველაზე დიდი შეჯიბრებების წინაც კი გაგრაში გაიპარებოდა-ხოლმე, რათა იქაურ სტადიონზე რომელიღაც რიგითი შეხვედრა ეთამაშა. ვერც გაამტყუნებდა კაცი — ფეხბურთი გიორგი სიჭინავასთვის იგივე იყო, რაც ჰაერი. გიორგი სიჭინავას უფეხბურთობა არ შეეძლო.

ჰოდა, თამაშ-თამაშით ჩამოყალიბდა დიდ ფეხბურთელად. როდესაც სიომა ბარქაიამ ანდრო ჟორდანია მის სანახავად ჩაიყვანა გაგრაში, უებრო სელექციონერის წინ უკვე იდგა ფეხბურთელი.

ამ ფეხბურთელს კი ღირსებებთან ერთად უცნაურობანიც მრავლად სჭირდა. თუნდაც სიჯიუტემდე უტეხი, თავნება ხასიათი. იგი არასდიდებით არ აკეთებდა იმას, რაც არ სურდა (მანამდე), მაგრამ ჟორდანია რის ჟორდანია იქნებოდა, „გაგრელი ფენომენი“ ვერ მოეთოკა — ჯერ წყნარად, მეთოდურად, საქმის ცოდნით შეაჩვია რეჟიმს. ბოლოს კი დინამოელთაგან ყველაზე მეტად მას ტუქსავდა-ხოლმე. და რაოდენ გასაკვირია, გიორგი სიჭინავა მორჩილად იტანდა მწვრთნელის რისხვას და ჩვეული თავგამეტებით ცდილობდა, მინდორზე დავალება შეესრულებინა.

დიდი მწვრთნელები დიდი ფსიქოლოგებიც ბრძანდებიან. იცოდა ანდრო ჟორდანიამ, ვისთან როგორ უნდა გაეტანა თავისი. თუკი მესხთან ყვირილით არაფერი გამოდიოდა, თუკი ბარქაიას ელვარე ტალანტის ჩარჩოებში მოქცევა შედეგს არ იძლეოდა, გიორგი სიჭინავას პირიქით — ყვირილისა და ბოლო ნიუანსამდე გათვლილი დავალების გარეშე ვერაფერს გამორჩებოდა კაცი. ჰოდა, უყვიროდა, მოძღვრავდა, ეფხუკიანებოდა მწვრთნელი სიჭინავას. ისიც ამის მერეღა ირჯებოდა ჩვეულად.

სიჭინავა თბილისის „დინამოში“ 1960 წელს ჩარიცხეს. 1961-ში კი იგი „33 საუკეთესოს“ შორის დაასახელეს. ითამაშა სსრკ ნაკრებშიც, გახდა სსრკ ჩემპიონიც, მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატზე — ერთი სიტყვით, არავითარი საფეხბურთო სიამოვნება არ დაუკლია. თამაშობდა და ტკბებოდა თამაშით.

ალბათ, მთავარი თემაც ეს არის, მთავარი ჩვენებური მობურთალებისთვის საკუთარი თამაშით სიამოვნების მინიჭება სხვებისთვის და სიამოვნების მინიჭება საკუთარი თავისთვის. ამიტომ თუ იყო, ითამაშებდნენ ქართველები ერთ, ორ, სამ, ხუთ წელიწადს და მერე ამაგდარი ბუცების ლურსმანზე დაკიდებას ამჯობინებდნენ. სიჭაბუკესთან ერთად ხალისი, აზარტი, ფეხბურთით ტკბობა ქრებოდა და როცა ბურთაობა დამღლელ, საქმიან ხარისხებში გადადიოდა, ქართველები თამაშს წყვეტდნენ.

გიორგი სიჭინავას კარიერაც უდავო დასტურია ამისა — მან ითამაშა მანამ, სანამ ფეხბურთისგან სიამოვნებას იღებდა, მერე კი, ბურთის გორება საქმედ და სამუშაოდ რომ ექცა, ადგა და წავიდა. წავიდა მეტად ადრე. წავიდა ისე, როგორც უამრავი ქართველი დიდოსტატი წასულა — ზედმეტი დავიდარაბისა და ხმაურის გარეშე.

ბევრი რამ „ჩორნას“ თავნება ხასიათმაც განსაზღვრა. ვინ იცის, იქნებ მისივე საფეხბურთო კარიერის სიმოკლეც. მაგრამ ახლა ამეებზე ლაპარაკი ზედმეტია. ფეხბურთელის სიდიდეს უპირველესად მაინც მისი საფეხბურთო ტალანტი და ოსტატობა განსაზღვრავს. სიჭინავას დარები კი არათუ ქართულ, მსოფლიო ფეხბურთშიც ცოტანი იყვნენ.

აქ უპრიანია, ზემოთქმულის დასტურად ერთ-ერთი ინგლისელი მიმომხილველის სიტყვები მოვიტანოთ — გყავდეს სიჭინავა და არ ათამაშებდე, ძალიან დიდ ფუფუნებაა. არა მგონია, ამის უფლებას რომელიმე მწვრთნელი აძლევდეს თავს, მოროზოვის გარდაო.

1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი პირველიც იყო სიჭინავასთვის და უკანასკნელიც. ბოლომდე კი ვერ გამოავლინა თავის შესაძლებლობები გაგრელმა ფენომენმა ინგლისში, მაგრამ არც ისე იყო საქმე, ნაცრისფერი მასიდან ვერ გამოერჩიათ. ის კი არა, ეუსებიოს და კოლუნას წინააღმდეგ მოუწია თამაშმა... ნაცრისფერი მასა რას გვიქვია, პელესაც ეთამაშა ერთხელ პერსონალურად...

ამგვარ რაღაცეებს კი თვითონ დიდ მნიშვნელობას აძლევდა. ფეხბურთი სწორედ ამგვარი რაღაცეებისთვის უნდოდა — იქ პელე, ეუსებიო, აქ ივანოვი, სტრელცოვი — თამაშობდა მათთან და ჰყვებოდა მათზე. თამაშობდა და ჰყვებოდა.

მოყოლაც კი ფეხბურთივით ფერადოვანი იცოდა. ერთგვარად ბიჭურმამლაყინწური. წვრილად ხატავდა-ხოლმე ცნობილ ფეხბურთელთა პორტრეტებს, თან ფსიქოლოგიური ნიუანსებითაც ამდიდრებდა მონაყოლს. თავსაც იწონებდა ვინმესთან ნაცნობობით — ერთი სიტყვით, თავისებური იყო.

ერთი მოარული ამბავიც უნდა გავიხსენოთ. ამბობდნენ, თითქოს სსრკ-ბრაზილიის მოსკოვური თამაშის დროს თავდავიწყებით მოთამაშე გიორგი სიჭინავასთვის ბარქაიას ეთქვას, ჩორნა, ნუ დარბიხარ, გეყო, გაჩერდი და ფეხბურთს უყურეო. სიტყვამახვილი და ქართულად ლამაზი ფეხბურთის მოყვარული სიომა ბარქაია ბრაზილიელთა ფეხბურთს გულისხმობდა. ფეხბურთის ჯადოქრების თამაშმა იმდენად დიდი შთაბეჭდილება დატოვა სიომაზე, მერე ისიც უთქვამს — მეგონა, ფეხბურთს ვთამაშობდიო და წავიდა.

გიორგი სიჭინავა კი ამეებს არად დაგიდევდათ. იგი მინდორზე სხვების მაყურებლად ქცევას ვერც იფიქრებდა. მას ისეთი თამაში მოსწონდა, სადაც თვითონ იქნებოდა პირველი ვიოლინო. ყოველ შემთხვევაში, მუდამ ამას ცდილობდა. ასე იყო ზღვაზე, როცა სხვებზე შორს იწევდა ნაპირიდან, ასე იყო ფარიკაობაში, როცა „ოთხკუთხა“ მოძრაობების დროსაც კი ჩემპიონობაზე ფიქრობდა, ფეხბურთშიც ასე იყო.

მაგრამ თავნება და ჯიუტმა ხასიათმა თავისი გააკეთა. სხვანაირმა, რომანტიკულმა მიდგომამაც საქმისადმი.

ჰმ. საქმეო? და მერე ვინ თქვა, რომ ფეხბურთი საქმეა?

გვიან კი ანდრო ჟორდანია იტყვის — „დიავოლ“, ასეთი ნიჭის ფეხბურთელი იშვიათად შემხვედრია, მაგრამ არც ის მსმენია, თავისი ნიჭი ასე გაეფლანგოს ვინმეს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მაღლა, მაღლა რომ დაფრინავ...

[illegible] კეთილაძის ფოტო




აზოტი — ვითა. ვითელი ნუგზარ კოკოლიშვილის (ბურთით) გარღვევები დროული და შედეგიანი იყო

3 მარტი თბილისი ვერის ბაღი **16 ტური**

**აზოტი 71:82 ვითა**

I ტაიმი 33:34

აზოტი: ჟლენტი (27), გაბისონია (6), გოგობერიშვილი (15), ბაბიაშვილი (20), ბერუაშვილი (1); გოგოლაძე, ჯაფარიძე (2), ჯიმშელეიშვილი

ვითა: უსტიაშვილი (12), აბრამიძე (18), კოკოლიშვილი (16), ორმოცაძე (13), ჩუბინიძე (10); ტურაშვილი (3), კორძაძე (2), ახალკაცი (8)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

**საბედისწერო** გამოდგა მეთექვსმეტე ტური ვიცე-ჩემპიონ „აზოტისთვის". აქამდე დაუმარცხებელ რუსთაველებს ხასიათი „ვითამ" წაუხდინა, რითაც წარმატებათა სერიაც შეაწყვეტინა და აგრძნობინა, გულში ჩემპიონობა რომ ამოგიჭრია და ღრუბლებში ფრენა დაიწყე, მიწაზე ჩამოდი, თორემ შარშანდელი მონაგონი იქნებაო.

შარშანდელი კი ის იყო, რომ ეს გუნდები ფინალში შეეტოქნენ ერთმანეთს. მაშინ ხუთი მატჩის ჯამში „ვითამ" იმარჯვა, როცა ბოლო წამებზეღა გამოსტაცა ხელიდან „აზოტს" ჩემპიონობა, რუსთაველებმა კი თავის მხრივ პირველად გაჩემპიონების ურეალურესი შანსი დაკარგეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რა გასაკვირია, რომ ამ კლუბებს ერთმანეთი გულზე არ ეხატებათ. მათი ურთიერთ შეხვედრებიც მუდამ სიმძაფრით გამოირჩევა და არც გულშემატკივართა ხალვათობა შეინიშნება-ხოლმე ვერის ბაღში. ასე იყო ამჯერადაც — აქეთ ყელში ბოლმამობჯენილი „აზოტი" იდგა, იქით კიდევ მშვიდად და სოლიდურად მოთამაშე ექვსგზის ჩემპიონი „ვითა", რომელსაც წინა ტურში თსუ-სთან მოულოდნელი დამარცხება თუ ჰქონდა გულში ხინჯად.

თავიდანვე გეტყვით, რომ მატჩი მოლოდინისამებრ საინტერესო გამოდგა. მოთამაშეები თავიდანვე თავდაუზოგავად იბრძოდნენ მოედნის თითოეულ მტკაველზე და ბოლომდეც ასე გასტანა. თუმცა როგორც მსგავს შეხვედრებში ხშირად ხდება ხოლმე, უსიამოვნება ვერც გუშინ ავიცილეთ თავიდან. მსაჯებმა სამჯერ მოიშველიეს ტექნიკური ჯარიმა, აქედან ორჯერ „აზოტისა" და საქართველოს ნაკრების ცენტრი ირაკლი ჯაფარიძე დასაჯეს, რომელმაც ავტომატურად მოედანიც დატოვა და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მას მანამდეც პირობითი სასჯელი ჰქონდა, შესაძლოა, ფედერაციამ მხოლოდ სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია არ აკმაროს. აქვე ბარემ მსაჯებზეც გეტყვით: მათი კვალიფიკაცია სასურველიდან ჯერაც ძალიან შორსაა, რაშიც ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუმცა მათ მიკერძოებას ვერაფრით დავაბრალებთ და თუ ბოლოხანს შეძენილ პრინციპულობასთან ერთად ცოდნასაც გაიღრმავებენ, ეს საერთო საქმისთვისაც გაცილებით უკეთესი იქნება.

ერთიც ვთქვათ და შემდეგ ისევ თამაშს დავუბრუნდეთ. სანაკრებო ორკვირიანი შესვენებისას „ვითამ" ჩინებული შევსება მიიღო დავით უსტიაშვილის სახით, თუმცა ტრავმის გამო ალეკო დავითულიანი მოისაკლისა. „აზოტში" კი ჯაფარიძე იტკიებდა ხელს, მწვრთნელი ხმელიძეც ერიდებოდა ირაკლის მოედანზე შეყვანას და მხოლოდ მაშინ ჩართო თამაშში, როცა გუნდს ძალიან გაუჭირდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ნაკრებში თამაშებისას ჯაფარიძე სერიოზულად დაშავებულიყო და ამიტომაც თავისიანებს ვერაფრით დაეხმარა.

მატჩის დებიუტში აბრამიძემ გაიბრწყინა და ჯერ სამიანით, შემდეგ კი ზუსტი გარღვევით „ვითა" დააწინაურა 5:0. „აზოტი" არ დაიბნა, აბრამიძეს გაბისონია „აეკიდა" და გუნდს შეტევაშიც აეწყო საქმე. განსაკუთრებით არჩილ ჟლენტი აქტიურობდა — ზედიზედ ორი გარღვევის შემდეგ რამაზ გოგობერიშვილი გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციაზე, ბაბიაშვილმაც იმარჯვა და ის მონაკვეთი „აზოტმა" 11:0 მოიგო. ტომარაძის წუთშესვენება დროული იყო, ჩემპიონებმა თამაში დაამშვიდეს და ბურთის ხანგრძლივი გათამაშება იწყეს, რის შედეგადაც ორჯერ უმეთვალყურეოდ დარჩენილმა უსტიაშვილმა ისარგებლა და მეტოქე ზუსტი სამიანებით დასაჯა. ტაიმის შუაგულისთვის თამაში გათანაბრდა, მაგრამ შემდეგ ისევ „აზოტმა" იმძლავრა და ჟლენტისა და გოგობერიშვილის მცდელობით შვიდი ქულით წინ გავიდა — 28:21.

აქ რუსთაველებს დაღლა დაეტყოთ, ამასობაში კი „ვითამ" ოპტიმალურ ხუთეულს მიაგნო და გააზრებულ შეტევებს ხისტი ზონური დაცვაც დაურთო. ორმოცაძემ ხანგრძლივი ჩამორჩენის შემდეგ წინაც გაიყვანა თავისიანები — 32:31, რასაც თითო შედეგიანი შეტევაღა მოჰყვა ორივე მხრიდან.

მეორე ნახევარი არანაკლებ დაძაბული გამოდგა, თუმცა „ვითა" უფრო ადვილად აღწევდა მიზანს. გამოირჩა ნუგზარ კოკოლიშვილი — მისი გარღვევები და შორეული სროლები მუდამ დროული იყო, რაც „აზოტს" რვაქულიან ჩამორჩენად დაუჯდა. რუსთაველებმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს და არჩილ ჟლენტის და რამაზ გოგობერიშვილის წინამძღოლობით მეტოქეს გაათრებით შეუტიეს. მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე „აზოტი" ქულასღა აგებდა — 65:64, მაგრამ ტომარაძემ ფასდაუდებელი მნიშვნელობის წუთშესვენება აიღო, თავისიანთა თამაშში კორექტივები შეიტანა და მოედანზე დაბრუნებულმა ვითელებმა კვლავაც რვა ქულით გადაასწრეს მეტოქეს — 72:64.

აშკარა იყო, რომ „ვითა" ამ თამაშს აღარ დათმობდა. თან არც „აზოტს" შესწევდა ძალა, მატჩის ბედი შემოებრუნებინა, რადგან მოთამაშეებს არაქათი გამოცლოდათ, მთელი მატჩის სიმძიმემ ხომ, ფაქტობრივად, ექვსი კაცის მხრებზე გადაიარა.

**გიორგი გიძაშვილი**

# ცოტა ფული ცოტა მოთამაშეა

3 მარტი თბილისი ვერის ბაღი **16 ტური**

**სდასუ 82:61 კოლხა**

I ტაიმი 41:43

სდასუ: თორთლაძე (17), უძილაური (17), გიგაური (12), გიგაშვილი, მაჭარაძე (2); ხარაძე, ორჯონიკიძე (19), არჩვაძე (6), ქევხიშვილი (9)

კოლხა: ბერიშვილი (20), თოდუა (6), ქარუმიძე (2), ძიძიგური (4), უგრეხელიძე (25); არველაძე (4); ჟღენტი, პირველი

მსაჯები: როლანდ ხომერიკი, ზურაბ აბაშიძე

დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

**მართალია,** ეს შეხვედრა სდასუ-ს გამარჯვებით დასრულდა, თანაც ოცდაერთქულიანი უპირატესობით, მაგრამ ანგარიშში სხვაობა სრულიად არ მეტყველებს იმაზე, რომ ერთმა გუნდმა მეორე დაჩაგრა და გაანადგურა. შეხვედრის პირველ ტაიმში და მეორის ნახევარში მოედანზე უშელავათო ბრძოლა მიმდინარეობდა. იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულმა სდასუ-მ მეტოქე შესაბამისად არ შეაფასა და კინაღამ დაისაჯა, „კოლხა" მხოლოდ მეორე ტაიმის მე-12 წუთზე გატეხა.

შეხვედრა კი ახალგაზრდა კოლხების უპირატესობით დაიწყო. მეტოქეებმა უშედეგო შეტევები გაცვალეს და ანგარიში სოხუმელმა ბერიშვილმა გახსნა, სდასუ-მ უხეიროდ უპასუხა, უგრეხელიძემ ორჯერ ჩააგდო და საკუთარი გუნდი კიდევ უფრო დააწინაურა — 6:0. სდასუ ასეთ დაპირისპირებას არ ელოდა, გააქტიურდა მათი ლიდერი დავით თორთლაძე და სამქულიანით ანგარიში შეამცირა. სოხუმელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პირველ ტაიმში მათ მეტოქეს დალაგებული და კარგად გააზრებული დაცვა შესთავაზეს, რასაც, ბუნებრივია, სდასუ-ს შეტევების გაცუდება მოჰყვა. მე-6 წუთზე, დავით უგრეხელიძის მონდომების შემდეგ, „კოლხა" 7 ქულითაც გავიდა წინ 10:3.

სოხუმელთა შეტევებს ბერიშვილი მართავდა და თითქმის ყველა პასი მათი ცენტრის, დავით უგრეხელიძის მისამართით მიდიოდა, ეს უკანასკნელი კი შეტევას ან შედეგიანად აგვირგვინებდა, ანაც ყველაფერი სდასუელი მეტოქეების ჯარიმებით მთავრდებოდა.

პირველი ტაიმის შუაში სდასუელ ხარაძეს უკვე ოთხი ჯარიმა ჰქონდა, ქევხიშვილსა და მაჭარაძეს კი — სამ-სამი. „კოლხა" 6-ქულიან უპირატესობას ინარჩუნებდა და თავსაც კარგად იცავდა.

სდასუ-ს თამაში არ გამოსდიოდა. მათ ლიდერს, დავით თორთლაძეს, სროლა არ წაუვიდა და მისმა კოლეგამ — დუდუ ორჯონიკიძემ ითავა ლიდერობა. რამდენჯერმე ლამაზი შესვლით ანგარიში მინიმუმამდე დაიყვანა, მას უძილაურმაც მიბაძა და მე-17 წუთზე გიგაურის სამქულიანით, სდასუ ამ მატჩში პირველად დაწინაურდა — 29:28, თუმცა დროებით, ბერიშვილმა ორქულიანიც ჩააგდო, უძილაურიც დაჯარიმდა და ერთი ქულაც მიამატა, 31:29. წინ კვლავ „კოლხაა".

ყველა სდასუს გააქტიურებას მოელოდა, მაგრამ პირიქით მოხდა, სდასუ-მ პირველ ტაიმში ვერაფერი დაუპირისპირა მეტოქეს, „კოლხას" მეტი მონდომება ეტყობოდა და ტაიმიც ორქულიანი უპირატესობით მოიგო.

მეორე ტაიმის პირველი 10 წუთი დაძაბული და საინტერესო გამოდგა. მაყურებელი ახალგაზრდა კოლხებს ქომაგობდა, მაგრამ გამოცდილებამ თავისი გაიტანა. სდასუ-მ თამაში დაალაგა, თორთლაძის შეჩერებაც გაუძნელდათ კოლხებს, ორჯონიკიძე კი ფარქვეშ შესვლებს შედეგიანად აგვირგვინებდა. მიუხედავად ამისა, სოხუმელები არაფრის დათმობას არ აპირებდნენ და ბრძოლას განაგრძობდნენ. მეორე ტაიმის დასაწყისში ისინი წამოეწივნენ სდასუ-ს, შემდეგ დაცვაშიც კარგად ითამაშეს და ისევ უგრეხელიძის წყალობით კვლავ დაწინაურდნენ, თუმცა უკანასკნელად. ამის შემდეგ სდასუ გააქტიურდა, მატჩის სადავეები ხელთ იგდო და გვარიანადაც დაწინაურდა. სოხუმელთა მწვრთნელი, ვაჟა კვარაცხელია ხშირად ცვლიდა მოთამაშეებს, მაგრამ ამაოდ.

თამაში აირია, დაახლოებით ოთხი წუთის მანძილზე მეტოქეებს ბურთი არ ჩაუგდიათ. მათი შეტევები ან არაზუსტი სროლით, ან ელემენტარული შეცდომებით მთავრდებოდა. შემდეგ ნავსი სდასუელმა დავით თორთლაძემ გატეხა და კიდევ უფრო დააწინაურა სტუდენტები. მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე სდასუ უკვე 26 ქულას იგებდა. კოლხებმა მხოლოდ სხვაობის შემცირება მოახერხეს.

გუშინდელ მატჩში კოლხებს ოთხი წამყვანი მოთამაშე აკლდათ — ირაკლი კეიდია, დავით კვაჭაძე, ვახტანგ და ბეჟან ქვილითაიები. სოხუმელთა მთავარმა მწვრთნელმა ვაჟა კვარაცხელიამ ეს უსახსრობით ახსნა.

**ზურაბ გონაშვილი**

3 მარტი თბილისი ვერის ბაღი **16 ტური**

**ასკ — მაკაბი**

„მაკაბი" ისრაელშია, ამიტომ ჩემპიონატის მე-16 ტურის მატჩი ასკ — „მაკაბი" და მე-17 ტურის სდასუ — „მაკაბი", შესაბამისად, 9 და 13 მარტს გაიმართება.

[illegible] კეთილაძის ფოტო




სდასუ — კოლხა. ამ მატჩში სდასუ-ს ლიდერობა დუდუ ორჯონიკიძემ (ბურთით) იტვირთა

რეგულარული ჩემპიონატი

# ვიფიქროთ პლეი ოფზე




REUTERS მაიამიდან

მაიამი — ნიუ იორკი. მაიამელი ალონზო მურნინგისა (მარცხნივ) და ნიუიორკელი პატრიკ იუინგის დუელი

2 მარტი

**პორტლენდი 102:100 იუტა**

ძირითადი დრო 90:90

პირველი დამატებითი დრო 94:94

**პორტლენდი:** სტუდემაიერი (13), რაიდერი (18), ვილიამსი (11), გრანტი (13 ქულა, 12 მოხსნა), საბონისი (12); უოლესი (22), ჯეკსონი (10), ოგმანი (2), კატო (1), ენტონი, ონილი

**იუტა:** სტოქტონი (15), ჰორნაჩეკი (23), რასელი (14), მელოუნი (20), ოსტერტაგი (6); ეისლი (6), ბეილი (6), ანდერსონი (5), ფოსტერი (2), კიფი (2), ფალერი (1)

ეტყობა, „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსს" მოსწყინდა წლების განმავლობაში საშუალო გუნდად ყოფნა და ახალ სეზონს სერიოზული მიზნებით შეხვდა. გუნდში საკმაოდ კარგი მწვრთნელი მაიკ დანლივი მოვიდა. ამავე დროს გუნდმა გოლდენ სტეიტის წინა სეზონის ლიდერი ჯიმ ჯეკსონი დაიმატა და სათადარიგოთა სკამზე გაამწესა, თუმც იგი ბედს შეურიგდა. რადგან მშვენივრად შეეგუა გუნდს და შეცვლაზეც კარგად გრძნობს თავს. სათადარიგოთა სკამზე გადაბარგდა აგრეთვე წინა სეზონში პორტლენდის სასტარტო ხუთეულის წევრი რაშიდ ვოლესი, მაგრამ რას იზამს, როგორც ჩანს, გუნდის ინტერესები მოითხოვს. გუნდი კი მართლაც მშვენივრად ირჯება და წყნარი ოკეანის დივიზიონის ცხრილის თავში წამოსკუპებულა, თვით ლეიკერსსა და სიეტლზე მაღლა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ პორტლენდი შინ მშვენივრად ირჯება. მშობლიურ „როუზ გარდენში" „ბლეიზერსმა" ექვსი თამაშიდან ყველა მოიგო და ახლა ამ ექვსს იუტას ძლევაც მიაყოლა. რა თქმა უნდა, იუტა ის გუნდი არაა, ვინმეს რაიმე იოლად რომ დაუთმოს. ამიტომაც 20 ათასმა კაცმა დაძაბული ბრძოლა და ორი ოვერტაიმი იხილა. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ მთელი ძირითადი დროს 48 წუთის განმავლობაში მეტოქეთაგან ვერც ერთმა მოახერხა რვა ქულაზე მეტით დაწინაურება. გუნდებს დიდი შანსი ჰქონდათ, პირველ ოვერტაიმში, ანაც ძირითად დროშივე დაემთავრებინათ თამაში, ორივე გუნდს შეეძლო მოგება, მაგრამ ხან სტუმრები სცოდავდნენ, ხანაც — მასპინძლები. საბოლოოდ მეორე ოვერტაიმის მეორე წუთზე აიზია რაიდერმა სამქულიანით 99:96 გაიყვანა წინ პორტლენდი. ამას იუტელთაგან ფოსტერის ორქულიანი და რასელის ორი ჯარიმა მოჰყვა და წინ იუტაა — 100:99. აქ 17 წამით ადრე რაშიდ ლუისმა ორი საჯარიმო ჩააგდო. ორიოდე წამის შემდეგ ერთი საჯარიმოთი მატჩს წერტილი დეიმონ სტუდემაიერმა დაუსვა. იუტას კი ჰქონდა შეტევისთვის საკმარისი დრო, მაგრამ ჩააფლავა და ამდენი წვალების შემდეგ მარცხსლა გამორჩა პორტლენდს, რომელმაც ცხრა თამაშში მერვედ მოიგო.

მატჩის შემდეგ მაიკ დანლივიმ შეაქო თავისი დამაშვრალი შეგირდები და ისიც დაამატა, კარგია, რომ ამდენ თამაშს ვიგებთ, მაგრამ მთავარი ფლეიოფია.

**ვანკუვერი 101:111 საკრამენტო**

**ვანკუვერი:** აბდერ-რაჰიმი (29 ქულა, 12 მოხსნა)

**საკრამენტო:** ვებერი (36 ქულა, 17 მოხსნა)

კრის ვებერმა მორიგი ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა და სეზონში მისთვის ყველაზე მეტ, 36 ქულას მოუყარა თავი. ამასთან თამაშში 21 სროლიდან 17 ჩააგდო და 17 მოხსნაც შემატა თავის საამმატჩო მონაგარს. ეს კი მისთვის მე-14 დუბლი იყო 15 თამაშიდან.

**ჩიკაგო 78:108 დეტროიტი**

**ჩიკაგო:** ბენჯამინი (15)

**დეტროიტი:** ჰილი (17 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა)

დაჩაჩანაკებული ჩიკაგო რომ შინაც არ იყო დეტროიტის მომგები, ეს ყველამ იცოდა, მაგრამ მას თუ ასე იოლად ჩაბარდებოდა, ამას არავინ ელოდა. ჩიკაგოს ტონი კუკოჩის გარდა ხეირიანი მოთამაშე არცა ჰყავს. „პისტონზთან" შეხვედრაში კუკოჩიც თავის თანაგუნდელებს დაემსგავსა და მხოლოდ 7 ქულით დაკმაყოფილდა. დეტროიტს კი თავი არ მოუკლავს, ისე მოუგო ჩემპიონ გუნდს 30 ქულა. ისე, ეს მარცხი ერთგვარად ისტორიულიც იყო. ჩიკაგოს დარბაზს „იუნაიტედ სენთერს" დაარსების დღიდან (1994 წელს დაარსდა) არ ახსოვს ამგვარი შერცხვენა, არადა, დარბაზი ბევრი დიდი გამარჯვების მომსწრე ყოფილა.

**დალასი 112:99 კლიპერსი**

**დალასი:** ფინლი (20)

**კლიპერსი:** ტეილორი (18 ქულა, 14 მოხსნა)

**ჰიუსტონი 82:99 სან ანტონიო**

**ჰიუსტონი:** პიპენი (21)

**სან ანტონიო:** დანკანი (23 ქულა, 14 მოხსნა), ჯონსონი (18 ქულა, 13 პასი)

ის დრო კარგა ხანია, წარსულს ჩაბარდა, ამ გუნდების შერკინებაში გამარჯვებას ორი დიდი ცენტრის — სანანტონიოელი დევიდ რობინსონისა და ჰიუსტონელი ჰაკიმ ოლაჯუონის დუელი რომ წყვეტდა. დღესდღეობით ეს ორივე მოთამაშე ლამის საპენსიო ასაკშია და ცალკეულ მატჩებში თუ ირჯებიან ისე, ადრე რომ სჩვეოდათ. ამ შეხვედრაში სულ სხვამ გამოიჩინა თავი. იგი სანანტონიოელი ტიმ დანანი გახლავთ, ახალგაზრდა სუპერვარსკვლავი და თავისი გუნდის იმედი. მისმა მშვენიერმა გარჯამ თანაგუნდელებიც აიყოლია და სტუმარმა გუნდმა ჰიუსტონი იოლად დასცა. ტრავმამოშუშებულმა ჩარლზ ბარკლიმ ბოლო სამ კვირაში პირველად ითამაშა, მაგრამ ვერც მისმა 16-მა ქულამ ვერ მოუტანა გამარჯვება მასპინძელ გუნდს.

**მინესოტა 89:78 გოლდენ სტეიტი**

**მინესოტა:** გარნეტი (27 ქულა, 14 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი:** მილზი (21)

გოლდენ სტეიტს ერთობ გაუჭირდა მინესოტას მალალი, მაგრამ ლვედივით მოქნილი კევინ გარნეტის შეკავება და მისმა მოთამაშეებმა ჯარიმებით სცადეს ფონს გასვლა. გარნეტმაც კარიერაში პირველად ესროლა 18 საჯარიმო და ყველაზე მეტი — 11 ჩააგდო. მას კარგად წაეხმარა თავისი მეგობარი სტივენ მარბერი, რომელმაც 19 ქულა შეჰმატა თავის გუნდს, აქედან 13 ბოლო 12 წუთში და წამოწეულ მეტოქეს მოგების ყოველგვარი იმედი გადაუწურა.

**კლივლენდი 116:99 ბოსტონი**

**კლივლენდი:** კემპი (22 ქულა, 10 მოხსნა)

**ბოსტონი:** მერსერი (22)

ბოსტონის ამგვარი მარცხის მიზეზი ლიგის ჯერჯერობით ყველაზე საუკეთესო ახალბედა პოლ პირსი შეიქნა. პირსმა, ვინც წლეულს თამაშებში საშუალოდ 20,3 ქულას იხვეჭს, თამაშში 11 სროლიდან ყველა ააცილა და მხოლოდ ორი საჯარიმოს ჩაგდება მოახერხა.

**ატლანტა 77:97 ვაშინგტონი**

**ატლანტა:** ლონგი (17 ქულა, 10 მოხსნა)

**ვაშინგტონი:** რიჩმონდი (28), ჰოვარდი (20)

„ვაშინგტონ ვიზარდსი" ატლანტას ზედიზედ ოთხი წაგებით ეწვია, მაგრამ მას შავი დღე აყარა. მასპინძლებს ორი ლიდერი — სტივ სმიტი და ალან ჰენდერსონი აკლდა. დედაქალაქური გუნდის ლიდერთა ტრიომ — მიჩ რიჩმონდმა, ჯუონ ჰოვარდმა და როდ სტრიკლენდმა (18 ქულა, 11 პასი) — კი ამ სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

**ნიუ ჯერსი 86:94 მილუოკი**

**ნიუ ჯერსი:** ვან ჰორნი (27)

**მილუოკი:** ალენი (19 ქულა, 10 მოხსნა)

**ინდიანა 88:81 დენვერი**

**ინდიანა:** მილერი (21), მულინი (18)

**დენვერი:** ვან ექსელი (28)

შარშანდელი სეზონის ყველაზე სუსტი, მაგრამ შარშანდელს აქეთ გაცილებით მოძლიერებული დენვერი თვით ინდიანასაც არ შეეპუა და თითქმის ტოლ-სწორადაც ეთამაშა, მაგრამ ინდიანამ და მისმა ლიდერებმა — რეჯი მილერმა და კრის მულინმა ბოლო მეოთხედში ერთი მონაკვეთის 11:0 მოგებით აჩვენეს, ვინ ვინ არის.

**მაიამი 85:84 ნიუ იორკი**

ძირითადი დრო 78:78

**მაიამი:** მურნინგი (28 ქულა, 11 მოხსნა, 7 დაფარება)

**ნიუ იორკი:** იუინგი (31 ქულა, 16 მოხსნა, 6 დაფარება

ბოლო წლებში ეს გუნდები განსაკუთრებულად ქიშპობდნენ და მათი ბრძოლებიც ყოველთვის გამორჩეულად დაძაბული იყო. ეს შეიძლება იმიტომაც ხდებოდა, რომ მაიამის მთავარ მწვრთნელ პატ რაილის იქ მისვლამდე ნიუ იორკში გაუტარებია ოთხი სეზონი. მატჩი დაამშვენა ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის აღზრდილი ორი ცენტრის — ალონზო მურნინგისა და პატრიკ იუინგის შერკინებამ. ორივემ სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა, გამარჯვება კი უფრო ახალგაზრდა მურნინგს დარჩა, ვინც ოვერტაიმის დამთავრებამდე 37 წამით ადრე გამარჯვების მომტანი ბურთი ჩააგდო.

**ირაკლი ფირაშვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| | მ | წ | % |
| ორლანდო | 11 | 4 | 73,3 |
| მაიამი | 10 | 4 | 71,4 |
| ფილადელფია | 9 | 5 | 64,3 |
| ნიუ იორკი | 9 | 6 | 60,0 |
| ბოსტონი | 6 | 7 | 46,2 |
| ვაშინგტონი | 5 | 8 | 38,5 |
| ნიუ ჯერსი | 3 | 11 | 21,4 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 10 | 4 | 71,4 |
| დეტროიტი | 9 | 6 | 60,0 |
| მილუოკი | 7 | 5 | 58,3 |
| ატლანტა | 8 | 7 | 53,3 |
| კლივლენდი | 6 | 7 | 46,2 |
| ტორონტო | 4 | 9 | 30,8 |
| ჩიკაგო | 4 | 11 | 26,7 |
| შარლოტი | 3 | 9 | 25,0 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 11 | 3 | 78,6 |
| მინესოტა | 9 | 5 | 64,3 |
| ჰიუსტონი | 8 | 7 | 53,3 |
| სან ანტონიო | 7 | 8 | 46,7 |
| დალასი | 6 | 10 | 37,5 |
| დენვერი | 5 | 10 | 33,3 |
| ვანკუვერი | 4 | 10 | 28,6 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 10 | 3 | 76,9 |
| სიეტლი | 9 | 4 | 69,2 |
| ლეიკერსი | 10 | 6 | 62,5 |
| ფინიქსი | 8 | 6 | 57,1 |
| საკრამენტო | 7 | 8 | 46,7 |
| გოლდენ სტეიტი | 6 | 8 | 42,9 |
| კლიპერსი | 0 | 13 | 0 |

## ევროლიგა. მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები. 2 მარტი

**ფენერბაჰჩე (თურქეთი) — რეალი (ესპანეთი) 81:89**

**ფენერბაჰჩე:** აბი, აპაიდინი (14), ენდენი (ენდელაძე), გილმორი (10), კალამიზა (3), ქურთოღლუ, ქუთლუაი (34), როხმანჩუკი (2), მაკრეი (9), ტაბაკი (9)

**რეალი:** ანგულო (23), ბერდი (27), ბელგადო, ერეროსი (16), მარტინესი, ლასა (4), ლიუკი, მარტინი (10), სანტოსი, სტრიულენსი (9)

**ჟალგირისი (ლიტვა) — ულქერი (თურქეთი) 76:62**

**ჟალგირისი:** ადომაიტისი, ბოუი (21), იდნი (11), მასუილისი (4), მასკოლიუნასი, შესტოკასი, შტომბერგასი (15), ზიდეკი (19), ე. ჟუკაუსკასი (2), მ. ჟუკაუსკასი (4)

**ულქერი:** ალიჰოჯიჩი (2), ანდერსონი (10), ერდენაი (21), ფირინჩიოღლუ (6), კოტუროვიჩი (12), რენკინი (5), ტეკინალპი, თუნქერი, ილდირიმი (6)

**ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ვარეზე (იტალია) 78:66**

**ოლიმპიაკოსი:** ადემანსა (4), ფასულასი, გოლდვირი (11), კომაზეცი (19), ობერტო (6), პაპანიკოლაუ (15), როჯერსი, ტარლაკი (11), ტომიჩი (12), ცალიკისი

**ვარეზე:** კალამია, დე პოლი (11), გალანდა (2), ჯადინი (3), მენეგინი (9), მრსიჩი (23), სანტიაგო (10), ვან ვილსენი, ვესკოვი (8), ზანუსი

**პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ტიმსისტემი (იტალია) 58:63**

**პანათინაიკოსი:** ალვერტისი (4), ბოდიროგა (13), ბუდურისი (7), ბურკე, ეკონომუ, ჯენტილე (15), კოხი, პატავოუკასი, რაჯა (19)

**ტიმსისტემი:** დეტსი, დამიო, ფუჩკა (14), გაი, კარნიშოვასი (16), ლაცისი (10), მულაომეროვიჩი (3), მაიერსი (20), პილუტი

**ვილერბანი (საფრანგეთი) — ციბონა (ხორვატია) 95:63**

**ვილერბანი:** ადამსი (15), ბილბა (7), ბლომი (6), დიგბო (12), ჰენრი (32), პალმერი (4), პერსეო (2), პლუვი (9), რადი (8), სემი

**ციბონა:** ატკინსი (4), ბაგარიჩი (7), გირიჩეკი (4), გრგატი (12), კრსტიჩი (6), მარცელიჩი (13), ნიჩევიჩი, კრკაჩინი (6), ვრანკოვიჩი (2), სარლია (9)

**ოლიმპია (სლოვენია) — პო ორტეზი (საფრანგეთი) 72:63**

**ოლიმპია:** დანეუ (2), დუშჩაკი, იურკოვიჩი (16), კოტნიკი (7), კრალევიჩი (12), მაკდონალდი (13), მუტავჯიჩი, ნოვაკი, ტეილორი (3), ზდოვცი (19)

**პო ორტეზი:** აიშა (6), დევისი (11), ოვოდუ, ფუარე (5), ფორესტი (12), დ. გადუ (4), ტ. გადუ (6), გრანტი (5), შოლტენი (2), სმიტი (12)

**კინდერი (იტალია) — მაკაბი (ისრაელი) 78:57**

**კინდერი:** აბიო (7), ბინელი (1), კრიპა, დანილოვიჩი (15), ფროსინი (9), მაკრისი (ნესტეროვიჩი) (12), სალივანი (2), პანიჩი (2), რიგოდო (19), სკონოჩინი (11)

**მაკაბი:** ალექსანდერი (18), ბენოიტი (7), გუდესი (9), ჰენფილდი (2), კატაში (6), პოპა, რადულოვიჩი (1), შარფი, შეფერი (11), შელეფი (3)

**ეფესი (თურქეთი) — ცსკა (რუსეთი) 73:58**

**ეფესი:** აიდინი, ბეშოქი (4), დალი, დრობნიაკი (10), ევლიაოღლუ, ნაუმოსკი (12), სარიჯა (23), სავიჩი (10), თურქჯანი (12), თურქოღლუ (2)

**ცსკა:** დაინეკო (9), დომანი (3), კარასიოვი (7), კირილენკო, კისურინი (4), კუდელინი (11), ნოსოვი (4), პანოვი (14), ტიხონენკო (6), ვეტრა

*მეორე მატჩები დღეს გაიმართება*

## საპორტას თასი. მერვედფინალი. პირველი მატჩები. 2 მარტი

**არისი (საბერძნეთი) — პივოვარნა (სლოვენია) 95:72**

**არისი:** ანგელიდისი (21), ხრიზანტოპულოსი (5), გალაკტეროსი, ფლოროსი, ლიადელისი (25), მიხაილოვი (18), ნეესი, სიგალასი (11), სიოუტისი (15)

**პივოვარნა:** ბეკიროვიჩი (9), კოპი, დონკიჩი (6), დრაგსიჩი (8), გოლიოვიჩი (22), ჰაფნარი (4), იურაკი, კუნცი (6), ლისიჩა (17)

**ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) — თოფაში (თურქეთი) 67:65**

**ბუდუჩნოსტი:** ბოშკოვიჩი (8), ბულატოვიჩი (15), სერანიჩი, ოსტოჯიჩი, პაიოვიჩი (4), რადონჯიჩი (3), რადუნოვიჩი (16), ცეპანოვიჩი (10), ტოპალოვიჩი (6), ვუკევიჩი (5)

**თოფაში:** ბაში, გრიფითი (11), ქონუქი (4), ოქური, პარსი (3), რიმასი (10), რივერსი (23), როჯერსი (11), ილმაზი (3)

**ბენეტონი (იტალია) — პარტიზანი (იუგოსლავია) 90:77**

**ბენეტონი:** ბანორა (9), დისპალატრო, მარკონატო (8), ნარი, ვირჯინიო (14), პიტისი (8), რებრაჩა (13), შმიდტი (5), სეკუნდა (4), ვილიამსი (29)

**პარტიზანი:** ბრიკიჩი (14), კუბრილო (7), ჯუკიჩი (8), გილიჩი (4), ლუკოვსკი (12), რადოსევიჩი (6), ტომაშევიჩი (9), ვარდა (9), ვიდაჩიჩი (8)

**პამესა (ესპანეთი) — ხუვენტუდი (ესპანეთი) 57:50**

**პამესა:** ა. გარსია (10), ბერნარდო (6), ლოპესი, ფერნანდესი, ჰოპკინსი (10), ცისკარი (2), ბენედი (8), როდილა (2), სელერსი (19)

**ხუვენტუდი:** პერესი (3), კორალესი, დრამე, გუტიერესი, გრაგერა (2), ლოპესი, მიდლტონი (20), მურჩია (2), სანჩესი (7), სვინსონი (16)

*საპასუხო მატჩები გაიმართება 9 მარტს*

REUTERS სტამბოლიდან



რა შარი და ხათაბალაა თურქეთში თამაში, სტამბოლში „ფენერბაჰჩეს" ნასტუმრებმა მადრიდის „რეალის" კალათბურთელებმაც იწვნიეს. თურქმა მაყურებლებმა რაც ხელში მოხვდათ, ყველაფერი დაუშინეს სტუმრებს, რომლებმაც პირსახოცებსღა შეაფარეს თავი

# დიადი დიქტატორი

სარბიელის არქივიდან



პიტ სამპრასი ისევ პირველია

პიტ სამპრასს რისკმა ისევ გაუმართლა — მიუხედავად იმისა, რომ სეზონის პირველი ორი თვე თითქმის მთლიანად გამოტოვა და კლასიფიკაციაში მდევრებთან უპირატესობა მინიმუმამდე შეუმცირდა, პირველი ადგილი მაინც ხაზვივით შერჩა.

ის კი არა, ორშაბათიდან ამერიკელი პრესტიჟული ნუსხის სათავეში ყოფნის 261-ე კვირას ითვლის და მორიგი რეკორდის დამხობამდე ხელებს იფშვნეტს — ივან ლენდლის მიღწევის გაუმჯობესებამდე ხომ მხოლოდ 10 კვირაა დარჩენილი და თუ პიტი თავის ადგილს კიდევ ცოტა ხანსაც არავის დაუთმობს, 10 მაისს ჩოგბურთის ყველაზე დღეგრძელი დიქტატორიც შეიქნება.

გასულ კვირაში საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე სამპრასმა თავისი ხანგრძლივი შვებულების ჭეშმარიტი საბაბიც გაანდო ყველას: „ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ავსტრალიის ღია პირველობა გამოვტოვე, ის იყო, რომ საკუთარი თავისთვის კარგად დასვენების და ვარჯიშის დრო მიმეცა. მინდა, როლან გაროსის დასაწყისისთვის საუკეთესო შესაძლებელ ფორმაში ვიყო“.

დიახ, მსოფლიოს პირველი ჩოგნის შთამბეჭდავ ჯილდო-მიღწევათა კოლექციას ერთი თეთრი ლაქა გასდევს — საფრანგეთის ღია პირველობის ტიტული. სწრაფი კორტებისთვის ზედგამოჭრილი სამპრასის თამაშის სტილი წითელ მიწაზე ძალასა და ეფექტურობას კარგავს და ერთადერთი, რითაც მას თავის მოწონება შეუძლია, 1996 წელს ნახევარფინალში ასპარეზობაა. არადა, განდიდების მანიით შეპყრობილ პიტს სწამს, რომ პარიზში გამარჯვება ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელის ესოდენ სასურველ სახელს მოუტანს.

„კარიერაში ყველაფერი მოვიგე როლან გაროსის გარდა. ეს ალბათ, ერთადერთი ტურნირია, რომელიც მომავალ სეზონებშიც დიდ სტიმულად დარჩება ჩემთვის. ვფიქრობ, მთავარია, თავად მჯეროდეს, რომ იქ გამარჯვება შემიძლია, თუმცა ამისთვის ცოტაოდენი იღბალი კი არა, ალბათ, ღმერთის უშუალო შეწევნა დამჭირდება“ — მიაჩნია პისტოლ პიტს.

ამერიკელს ცოტაოდენი იღბალი არც თავისი ადგილის შენარჩუნებაში აწყენდა. მარტი სეზონის მერსედეს სუპერ 9-ის სერიის პირველი ორი ტურნირის თვეა და ამ მეტად მნიშვნელოვან პირველობებზე წარმატებით ასპარეზობის შემთხვევაში სამპრასის გასწრების შესაძლებლობა ერთბაშად რამდენიმე ჩოგბურთელს — პატრიკ რაფტერს, კარლოს მოიას, ალექს კორეტხას, ევგენი კაფელნიკოვს ექნება.

სწორედ კი ბისკეინისა და ინდიან უელსის პირველობებზე იხეირა შარშან მარსელო რიოსმა, როდესაც სამპრასი შეცვალა კლასიფიკაციის სათავეში. თუმცა მას შემდეგ კიკინიან ჩილელს ტრავმები დაებედა და გამორიცხული არც ის იქნება, ჩვენი მომდევნო ნუსხის ჩამოწერისას იგი საუკეთესო ათეულს მიღმა ვიხილოთ.

ამასობაში კი ქალების კლასიფიკაციაში ორი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა — ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ ერთადერთ ტურნირზე და ისიც წარუმატებლად გამოსულმა ლინდსი დევენპორტმა პირველობა შვეიცარიელ კოლეგა მარტინა ჰინგისს გადაულოცა, მონიკა სელეშმა კი ერთი საფეხურით წინ წაიწია და 1997 წლის შემდეგ თავის საუკეთესო — მესამე პოზიციაზე დამკვიდრდა.

ავთანდილ სვანიძე

## კლასიფიკაცია

| კაცების | | ქალების | |
|---|---|---|---|
| 1.1. პიტ სამპრასი (აშშ) | 3449 | 1.1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 5774 |
| 2.2. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 3382 | 2.2. ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 5547 |
| 3.3. ალექს კორეტხა (ესპანეთი) | 3250 | 3.4. მონიკა სელეში (აშშ) | 3823 |
| 4.4. კარლოს მოია (ესპანეთი) | 3234 | 4.3. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) | 3677 |
| 5.5. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) | 3138 | 5.5. ვინუს უილიამსი (აშშ) | 3177 |
| 6.6. მარსელო რიოსი (ჩილე) | 2880 | 6.6. არანჩა სანჩეს ვიკარიო (ესპანეთი) | 3067 |
| 7.7. ტიმ ჰენმანი (ინგლისი) | 2764 | 7.7. შტეფი გრაფი (გერმანია) | 2810 |
| 8.9. რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) | 2702 | 8.8. მარი პირსი (საფრანგეთი) | 2248 |
| 9.8. ანდრე აგასი (აშშ) | 2583 | 9.10. ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) | 2105 |
| 10.10. გრეგ რუზეცკი (ინგლისი) | 2439 | 10.9. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) | 2070 |
| 11.12. ტოდ მარტინი (აშშ) | 2201 | 11.13. ანა კურნიკოვა (რუსეთი) | 1941 |
| 12.11. კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) | 2160 | 12.12. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1922 |
| 13.13. ტომას ენკვისტი (შვედეთი) | 1930 | 13.11. დომინიკ ვან რუსტი (ბელგია) | 1874 |
| 14.14. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) | 1916 | 14.14. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) | 1865 |
| 15.15. ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 1817 | 15.18. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1861 |
| 16.18. ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 1784 | 16.15. ირინა სპირლეა (რუმინეთი) | 1844 |
| 17.17. მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 1719 | 17.16. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) | 1749 |
| 18.16. ტომი ჰაასი (გერმანია) | 1696 | 18.17. ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) | 1693 |
| 19.20. ფელიქს მანტია (ესპანეთი) | 1522 | 19.19. ბარბარა შეტი (ავსტრია) | 1487 |
| 20.19. სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) | 1501 | 20.21. ჟული ალარი (საფრანგეთი) | 1437 |
| 21.21. იან სიმერინკი (ჰოლანდია) | 1474 | 21.24. სერენა უილიამსი (აშშ) | 1348 |
| 22.23. ტომას მუსტერი (ავსტრია) | 1468 | 22.20. სილვია ფარინა (იტალია) | 1287 |
| 23.22. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 1461 | 23.22. ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) | 1285 |
| 24.26. ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) | 1272 | 24.23. მაუი სერნა (ესპანეთი) | 1222 |
| 25.24. უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) | 1247 | 25.25. აი სუგიამა (იაპონია) | 1046 |
| 26.25. მარკ როსე (შვეიცარია) | 1197 | 26.28. ჩანდა რუბინი (აშშ) | 1002 |
| 27.27. ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) | 1194 | 27.26. ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) | 988 |
| 28.28. ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი) | 1167 | 28.27. ლაიზა რეიმონდი (აშშ) | 921 |
| 29.30. ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) | 1158 | 29.29. ანკე ჰუბერი (გერმანია) | 971 |
| 30.29. მარატ საფინი (რუსეთი) | 1148 | 30.31. ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) | 962 |
| 37.32. მაიკლ ჩანგი (აშშ) | 1040 | 31.30. ივა მაიოლი (ხორვატია) | 763 |
| 46.47. ჯიმ კურიე (აშშ) | 897 | 36.40. კარა ბლექი (ზიმბაბვე) | 695 |
| 91.90. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 552 | 52.51. მარიანა ლუჩიჩი (ხორვატია) | 488 |
| 128.130. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 268 | 87.86. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 316 |

## ვინ რამდენი $ მოიხვეჭა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ევგენი კაფელნიკოვი | 669 025 | 1. მარტინა ჰინგისი | 651 571 |
| 2. ტომას ენკვისტი | 300 488 | 2. ამელი მორესმო | 237 542 |
| 3. ტომი ჰაასი | 262 176 | 3. ლინდსი დევენპორტი | 236 627 |
| 4. ტიმ ჰენმანი | 233 409 | 4. ვინუს უილიამსი | 157 186 |
| 5. ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) | 184 906 | 5. იანა ნოვოტნა | 153 481 |
| 6. გრეგ რუზეცკი | 174 816 | 6. სერენა უილიამსი | 151 425 |
| 7. რიჩარდ კრაიჩეკი | 161 809 | 7. ანა კურნიკოვა | 139 129 |
| 8. ფაბრის სანტორო | 158 222 | 8. მონიკა სელეში | 138 460 |
| 9. რაინერ შუტლერი (გერმანია) | 157 967 | 9. ამანდა კუტცერი | 126 318 |
| 10. მარკ როსე | 147 852 | 10. შტეფი გრაფი | 106 999 |
| 11. ტოდ მარტინი | 137 902 | 11. ნატაშა ზვერევა | 100 111 |
| 12. ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) | 137 486 | 12. დომინიკ ვან რუსტი | 98 226 |
| 13. ნიკოლას კიფერი (გერმანია) | 136 494 | 13. ელენა ლიხოვცევა | 91 570 |
| 14. კაროლ კუჩერა | 130 052 | 14. მარიან დე შვარდტი (სამხრეთ აფრიკა) | 71 980 |
| 15. პატრიკ რაფტერი | 124 332 | 15. აი სუგიამა | 67 962 |



# ვინც ირლანდიას მოუგო, უელსიც იმან დაამარცხოს

ხუთი ერის პირველობა

წლევანდელი პირველობის საწყის ორ მატჩში დამარცხების შემდეგ უელსელთა მწვრთნელმა გრეჰემ ჰენრიმ შაბათს ფრანგებთან შესარკინებლად ნაკრების შემადგენლობა რამდენადმე გადაახალისა. ბარი უილიამსის, დევიდ იონგის და დარენ მორისის ნაცვლად ჰენრიმ გარინ ჯენკინსს, ბენ ევანსს და პიტერ როჯერსს უხმო გუნდში. როჯერსი, რომელსაც პირველად უწევს უელსელთა რიგებში თამაში, სამხრეთ აფრიკაში ბურთაობდა და ნატალის ღირსებას იცავდა ზე-12-ში. ჰენრის ზე-12-ში მონაწილე კიდევ ერთი მორაგბის, ყოფილი ჰამილტონელი ბრეტ სინკინსონის ხილვაც სურს თავის გუნდში. ზელანდიელ სინკინსონს, როგორც აღმოჩნდა, უელსელი ბაბუა ჰყოლია და ამადაც დართეს უელსელთა რიგებში თამაშის ნება, აფრიკაში მობურთალ ალბიონელ როჯერს კი — მამა. ფრანგებთან დასაპირისპირებელი შემადგენლობა კი ასე გამოიყურება: შეინ ჰოვარტი, მეთიუ რობინსონი, მარკ ტეილორი, რობერტ ჰოული, პიტერ როჯერსი, სკოტ გიბსი, დეფიდ ჯეიმსი, ნილ ჯენკინსი, გარინ ჯენკინსი, ბენ ევანსი, კრეგ ქვინელი, კრის უაიტი, კოლინ ჩარვისი, ბრეტ სინკინსონი, სკოტ ქვინელი.

უელსელებს არც ირლანდიელები ჩამორჩნენ და კვირის დასაწყისშივე გამოაქვეყნეს იმ მობურთალთა სია, რომელთაც შაბათს ინგლისელების წინააღმდეგ მოუწევთ თამაში. ესენი არიან: პიტერ კლოჰესი, კეიტ ვუდი, პოლ უოლესი, პედი ჯონსი, ჯერემი დევიდსონი, დიონ ოკუინიგენი, ენდი უორდი, ვიქტორ კოსტელო, კონორ მაკგინესი, დევიდ ჰამფრიზი, ჟირვან დემფსი, ჯონათან ბელი, კევინ მეგსი, ჯასტინ ბიშოპი, კონორ ოში. ილანდიელთა თავკაცმა უორენ გეტლანდმა, წინა მატჩისგან განსხვავებით, რომელშიც ირლანდიამ 29:23 დაამარცხა უელსი, გუნდში ჟირვან დემფსი და ვიქტორ კოსტელო მიიწვია. ის მატჩი ორივემ პირველ ტურში ფრანგების წინააღმდეგ თამაშისას მიღებული ტრავმის გამო გამოტოვა. დემფსი მარცხენა ფრთაზე ითამაშებს ნილ ვუდსის ნაცვლად, კოსტელო კი მერვე ნომერ ერიკ მილერის მაგივრობას გასწევს.

პირველ მატჩში მიღწეული წარმატების მიუხედავად, ინგლისელთა მწვრთნელი კლაივ ვუდვორდი შეგირდთა თამაშით უკმაყოფილო დარჩა და გულშემატკივრებს აღუთქვა, მომავალში უკეთესად ვიბურთავებთო. შეასრულებს თუ არა დანაპირებს ვუდვორდი, ორ დღეში გაირკვევა, ისე კი, საამისოდ მან გუნდში ბასელი ვიქტორ აბოგუ მიიწვია. აბოგუ, რომელსაც აქამდე ნაკრებში 21 მატჩი უთამაშია, გრემ როუნთრის შეცვლის. ამ უკანასკნელის გარჯა ვუდვორდს არადამაკმაყოფილებლად მიუჩნევია და ამადაც დაუტოვებია გუნდს მიღმა. აბოგუს თამაშით კი მწვრთნელი ფრიად მოხიბლულა: „ის მშვენივრად თამაშობს კლუბში და იმედი მაქვს, რომ ნაკრებშიც არ შეირცხვენს თავს“. შაბათს ირლანდიელებს „ლენზდაუნ როუდზე“ კი ეს მორაგბეები შეერკინებიან: ნიკ ბელი, კირან ბრექენი, მაიკ კეთი, მეტ დოუსონი, პოლ გრეისონი, ჯერემი გასკოტი, დან ლაგერი, მეტ პერი, დევიდ რისი, ჯონი ვილკინსონი, ნილ ბექი, რიჩარდ კოკერილი, მარტინ კორი, ლოურენს დალალიო, დარენ გერფორსი, დენი გრიუკოკი, რიჩარდ ჰილი, მარტინ ჯონსონი, ჯეისონ ლეონარდი, ნილ მაკარტი, ტიმ როდბერი, ვიქტორ აბოგუ.

სხვა მონაწილეებისაგან განსხვავებით, ფრანგები უელსელებთან მატჩისთვის არავის შეცვლას არ აპირებენ. ნაკრების მენეჯერის, ჟო მასოს თქმით, უსამართლობა იქნებოდა, გუნდიდან დაეთხოვათ მობურთალები, რომლებმაც შეიძლება კარგი თამაში ვერ აჩვენეს, მაგრამ ბოლომდე იბრძოლეს. მას სწამს, რომ შაბათს ნაკრები გაცილებით უკეთეს შედეგს აჩვენებს პირველ მატჩთან შედარებით, სადაც ფრანგებმა ირლანდიელებს სძლიეს — 10:9. თუმცა მასო აღნიშნავს, რომ შეხვედრა ძალიან დაძაბული იქნება: „ორი მარცხის შემდეგ უელსელებმა ნაკრებში ოთხი ახალი მორაგბე აიყვანეს. ბუნებრივია, წაგებას ვერავინ ეგუება, მით უმეტეს, გუნდი, რომელსაც მსოფლიო თასის მოგება სურს. ამიტომაც დარწმუნებული ვარ, მეტოქე მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს. თუმცა, არა მგონია, ეს განხორციელდეს. იმ ბიჭებს, რომლებმაც დუბლინში ირლანდიას მოუგეს, არც უელსელთა ძლევა უნდა გაუჭირდეთ“.

ასე რომ, 6 მარტს ფრანგები უელსელებს იმ შემადგენლობით დაუხვდებიან, როგორითაც ერთი თვის წინ ირლანდიას აჯობეს: კრისტიან კალიფანუ, რაფაელ იბანესი, ფრანკ ტურნერი, ოლივიე ბრუზე, ფაბიენ პელუ, ფილიპ ბენეტონი, ოლივიე მანი, ტომა ლიევრემონი, ფილიპ კარბონო, ტომა კასტანიედი, ტომა ლამბარი, ფრანკ კომბა, რიშარ დურთი, ფილიპ ბერნასალი, ემილ ნტამაკი.

პაატა თოთაძე

სარბიელის არქივიდან



ინგლისელ მორაგბეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს კლაივ ვუდვორდს ახალწვეული ვიქტორ აბოგუსი (ბურთით) დიდად ეიმედება




კასპაროვი - სვიდლერი: შედეგი ნათელია — 1:0

# კასპაროვი უკვე ოცდამეერთე საუკუნეშია

ფლეულს „სარბიელში" გარი კასპაროვის ფოტოები საგრძნობლად მომრავლდა და მიზეზიც გასაგებია. 1998 წელი მსოფლიოს უპირველესმა დიდოსტატმა ფაქტობრივად გამოტოვა (თუ არ ჩავთვლით შარშანდელ ლინარესის ტურნირში დაკავებულ მესამე ადგილს), ხეირიანად დაისვენა და მართალი გითხრათ, ჯერ არ გამიგია, დასვენება ასე ვინმეს შერგებოდეს. ვიიკ-აან-ზეეს მეტად პრესტიჟული ტურნირის დამაჯერებლად მოგების შემდეგ კასპაროვი ახლა ლინარესის უფრო პრესტიჟულ ტურნირში ცდის ძალას და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ძნელად აქაც ვინმე შეეცილოს პირველობას. საერთო აზრით, კასპაროვი 21-ე საუკუნის ჭადრაკს თამაშობს და მისი სტილი ნებისმიერი მეტოქისთვის ურთულესი, მრავალწახნაგა, ძნელადგამოსაცნობი ფენომენია. სტრატეგიული ნოვაცია თითქმის ყოველ პარტიაში, ჩინებული ორიენტაცია რთულ პოზიციებში, პრაქტიკულად უნაკლო სადებიუტო მომზადება, თუნდაც მცირე უპირატესობის საბოლოო გამარჯვებად გარდასახვის უნიკალური უნარი — აი, კასპაროვის თამაშის შემადგენელი ნაწილები. მოკლედ, ამ კაცმა ჭადრაკი თავიდან ბოლომდე იცის და ამას საქმით და, სხვათა შორის, სიტყვითაც ხშირად ამტკიცებს. ლინარესში 6 ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერი რომ იყო, ამაზე უკვე გიამბეთ, VII ტურში კი მისი მეტოქე ტოპალოვი გახლდათ. ბულგარელი ყველა უწინდელ პარტიაში ყაიმს დაყაბულდა და ამჯერადაც იგივე ალბათ სრულებით არ უნდა სწყენოდა, მაგრამ გაწბილებული დარჩა. კასპაროვმა დიდებულად გაითამაშა სიცილიური დაცვა, სოლიდური პოზიციური უპირატესობაც მიიღო და ზედმეტპაიკიანი ენდშპილიც გაშანსა, რის შემდეგაც თეთრი მეფე ერთხანს თოხარიკი ცხენივით არბენინა დაფის გარდიგარდმო, 61-ე სვლაზე კი სულიც ამოხადა. მომდევნო ტურში კასპაროვს სვიდლერიც შემოემარცხა, რამაც მისი ქულათა მარაგი 8 შესაძლებლიდან 6 ქულას გაუტოლა. მე-8 ტურის შემდეგ ყოვლისმცოდნე სტატისტიკამ ერთი ფაქტიც დააფიქსირა: კასპაროვმა 8 პარტიიდან თეთრებით 4 ყაიმი რომ მიითვალა, შავებით ოთხივე პარტია მოიგო!

ახლა დანარჩენებზეც ვიტყვით, რომელთაგან რამდენიმეს ყაიმომანიის აშკარა სიმპტომები აღენიშნება. ტოპალოვს და ანანდს კიდევ არაფერი უჭირთ, მათი ყაიმები მძაფრი შეტაკებების პროდუქტი მაინცაა, კრამნიკის შემხედვარე კი კაცი იფიქრებს, ამას პარტიების დამთავრებამდე ერთი სული აქვსო. კარგახანია, ვოვას პარტიაში 30 სვლაზე მეტი არ გაუკეთებია, მაგრამ, ასეა თუ ისე, ანანდთან ერთად 4,5 ქულით მეორე-მესამე ადგილებს მაინც იყოფს, მთავარი კი, მოგეხსენებათ, შედეგია.

**დავით გულუა**



# სანტანდერმა, აქედან კი, მაგრამ იქიდან არაო!



ჩილეს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის, სოლტლეიკ 2000-ის სამექრთამეო სკანდალის თანამონაწილის, სერხიო სანტანდერის გადადგომის ამბავს უკვე ვიუწყებოდით. ხსენებულმა დიდმოხელემ — ჩემი აქედან წასვლა მუნდირის საქმეაო — ასე თქვა და თავზე ქუდიც დაიხურა. მაგრამ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, სანტანდერს ოლიმპიური საქმისაგან მთლიანად ჩამოშორება მიზანშეწონილად მაინც ვერ მიუჩნევია და ეგრე დაუმატებია: „ჩოკი და სოკი განსხვავებული ამბებია. ესე იგი, ის, რომ პირველის პრეზიდენტი აღარა ვარ, იმას არ ნიშნავს, რომ არც მეორის წევრი აღარ უნდა ვიყო". მოკლედ — აქედან კი, მაგრამ იქიდან აღარაო! ერთი ეგაა, რომ თუკი „აქეთ" პრეზიდენტყოფილის ახალ ინიციატივას მხარს უჭერენ, „იქით" ამ ამბით აღტაცებული არავინაა. ლოზანაში 17-18 მარტს დიდი თავშეყრა გაიმართება და სოკ-ის მამების შეპირებით, ქრთამში გასვრილებს იქ დედებიც ველარ აიყვანენ ხელში.

**ლევან ძელაურაძე**



# ჰოლიცია გამოსწორების გზაზეა

3 მარტი

**მონრეალი — ფილადელფია 4:1**

0:0 1:1 3:0

0:1 ბრინდამორი 29'49 (20); 1:1 კინტალი 31'00 (7); 2:1 კორსონი 40'39 (10); 3:1 ჰოგლუნდი 47'06 (8); 4:1 რუჩინსკი 48'28 (15)

მთელი სამი სეზონი დასჭირდა მონრეალს საიმისოდ, რათა „მოლსონ სენტრში", რომელშიც კანადელები 1996 წელს გადაბარგდნენ, თავი ისე ეგრძნოთ, როგორც შინ. მანამდე, ორი სეზონის განმავლობაში, ლიგის ყველაზე სახელოვანი კლუბი სახლში უფრო აგებდა, ვიდრე სტუმრად. თავიდან ვერც წლეულს იყოჩაღა, მაგრამ ბოლო თამაშებში როგორც იქნა, მასპინძლად იგრძნო თავი. ორი თვის წინ ასეთ თამაშს უეჭველად წავაგებდითო, თქვა მატჩის შემდეგ მონრეალელთა ფორვარდმა საკუ კოივუმ და მართალიც გახლდათ. ასეთ თავგამოდებულ შეტევებს (თუნდაც დარტყმების შეფარდება რად ღირს — 11-31) კანადელები ადრე ვერც გაუძლებდნენ, მაგრამ ქომაგთა მხურვალე მხარდაჭერამ, რომელნიც საყვარელი გუნდისთვის უმძიმეს მომენტებშიც კი არ შეჩერებულან, ნაყოფი გამოიღო და მესამე პერიოდში 82 წამის განმავლობაში ორი შაიბაც კი შეადგეს და „„მოლსონში" ზედიზედ მეხუთედ მოიგეს.

**ბოსტონი — ფინიქსი 3:2**

1:1 2:0 0:1

1:0 მანი 0'53 (5); 1:1 რენიკი 10'31 (20); 2:1 დიმაიო 21'45 (4); 3:1 აქსელსონი 29'48 (7); 3:2 ქუინტი 45'21 (3)

გვეწვია გაზაფხული და „დათვებიც" გამოფხიზლდნენ ზამთრის ძილისგან. მეტი გზა არც ჰქონდათ. წარმატებული სერიის 5 მატჩამდე გაგრძელებაში (+4=1-0) ახლახან გამოჯანმრთელებულმა სერგეი სამსონოვმაც (1 პასი) ძალიან შეუწყოთ ხელი.

ფინიქსმა კი საშინელი შედეგით (+1-6) დაასრულა 7-მატჩიანი სერია სტუმრად.

**ტამპა — ვაშინგტონი 2:8**

1:5 0:3 1:0

0:1 ზედნიკი 1'25 (6); 0:2 ბერუბი 2'39 (4); 1:2 დეიგლი 7'17 (5); 1:3 შვეიკოვსკი 8'51 (6); 1:4 ბონდრა 12'16 (28); 1:5 ჩიკონე 17'52 (2); 1:6 გონჩარი 29'08 (15); 1:7 ბლეკი 30'06 (10); 1:8 ბონდრა 32'06 (29); 2:8 დეიგლი 58'29 (6)

„ელვებთან" ყველა პაემანი ვაშინგტონისთვის იოლი გასეირნებაა. აუტსაიდერთან მარტო ლიდერები — პეტერ ბონდრა (2+1, წინა თამაშში ტამპელებს 4 შაიბა გაუტანა, ხოლო მათთან 28 შეხვედრაში 29 გოლი მიითვალა) და მცველი კალე იუჰანსონი (3 პასი) კი არ გამოირჩეოდნენ, „აგრესორებმაც" გამოიჩინეს თავი — ენრიკო ჩიკონემ და კრეიგ ბერუბიმ, რომელთათვისაც გოლი ერთობ იშვიათი ხილია.




ტერნერ სტივენსონი ისევე მოერია დაინიუს ზუბრუსს, როგორც პირველის მონრეალი მეორის ფილადელფიას

**რეინჯერსი — დალასი 2:2**

1:1 1:1 0:0 0:0

1:0 გრეივსი 1'10 (30); 1:1 ლანგენბრუნერი 16'26 (10); 2:1 ფრეზერი 23'04 (2); 2:2 ნუინდაიკი 39'32 (14)

რეინჯერსი ისე ათამაშდა, თითქოს „დიადი" სულაც აღარ სჭირდებაო და ფილადელფიას ლამის კიდევ ერთი გრანდი — დალასი მიაყოლა. ბოლო წუთებზე ბრაიან ლიჩიმ დაარტყა, მაგრამ სტუმრთა მცველმა დერიან ჰეჩერმა კარის ხაზიდან გამოიტანა შაიბა.

**აილენდერსი — ოტავა 2:4**

2:2 0:0 0:2

1:0 სმოლინსკი 12'35 (11); 2:0 ლოურენსი 14'54 (9); 2:1 არვედსონი 16'22 (14); 2:2 ბერგი 17'24 (2); 2:3 ალფრედსონი 51'00 (8); 2:4 ბონკი 59'57 (13)

თავიდან სტუმრები ერთობ აქტიურობდნენ, მაგრამ ორი კონტრშეტევა გამოეპარათ. ამის მერეც მოვლენები უჩვეულოდ განვითარდა: კარს მიჯაჭვულმა სტუმრებმა ყველა რეალური მომენტი გოლად აქციეს და თავიანთ ისტორიაში პირველად აღზევდნენ კონფერენციის სათავეში.

**ნეშვილი — სენტ ლუისი 1:5**

0:2 0:2 1:1

0:1 ჩეიზი 18'26 (2); 0:2 ჩეიზი 18'59 (3); 0:3 კემპბელი 22'05 (4); 0:4 კონროი 37'58 (3); 0:5 იანგი 45'06 (14); 1:5 იაჩმენევი 50'26 (6)

ეს პირველად მოხდა კელი ჩეიზის ათწლიან კარიერაში — ცნობილმა „პოლიციელმა" ამ თამაშში ქულა უფრო მეტი მიითვალა (2 გოლი და 1 პასი მისი პერსონალური რეკორდია), ვიდრე საჯარიმო წუთები (მხოლოდ ერთი ორწუთიანი ჯარიმა მიიღო). მას ლიგაში უკვე 16 გოლი დაუგროვდა.

**სამველ ლარიბიანი**

### სატურნირო ვითარება

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 60 | 34 | 8 | 18 | 174:130 | 76 |
| ნიუ ჯერსი | 61 | 33 | 8 | 20 | 181:154 | 74 |
| კაროლინა | 62 | 27 | 12 | 23 | 160:154 | 66 |
| ტორონტო | 60 | 34 | 5 | 21 | 194:176 | 73 |
| ფილადელფია | 61 | 30 | 13 | 18 | 188:141 | 73 |
| პიტსბურგი | 59 | 32 | 7 | 20 | 187:163 | 71 |
| ბუფალო | 60 | 28 | 12 | 20 | 163:132 | 68 |
| ბოსტონი | 60 | 26 | 10 | 24 | 157:142 | 62 |
| ფლორიდა | 60 | 22 | 16 | 22 | 153:159 | 60 |
| რეინჯერსი | 61 | 25 | 8 | 28 | 1781:172 | 58 |
| მონრეალი | 62 | 25 | 8 | 29 | 148:159 | 58 |
| ვაშინგტონი | 61 | 26 | 5 | 30 | 161:161 | 57 |
| აილენდერსი | 62 | 19 | 7 | 36 | 145:187 | 45 |
| ტამპა | 60 | 13 | 5 | 42 | 125:219 | 31 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 59 | 38 | 10 | 11 | 173:118 | 86 |
| დეტროიტი | 62 | 31 | 6 | 25 | 183:158 | 68 |
| კოლორადო | 61 | 30 | 8 | 23 | 166:151 | 68 |
| ფინიქსი | 61 | 30 | 10 | 21 | 151:139 | 70 |
| ანაჰაიმი | 61 | 27 | 9 | 25 | 164:150 | 63 |
| სენტ ლუისი | 60 | 26 | 10 | 24 | 170:152 | 62 |
| ედმონტონი | 61 | 24 | 9 | 28 | 168:159 | 57 |
| სან ხოსე | 62 | 21 | 14 | 27 | 138:145 | 56 |
| კალგარი | 61 | 21 | 10 | 30 | 156:176 | 52 |
| ლოს ანჯელესი | 61 | 23 | 5 | 33 | 140:162 | 51 |
| ნეშვილი | 61 | 21 | 6 | 34 | 142:198 | 48 |
| ვანკუვერი | 61 | 19 | 9 | 33 | 148:189 | 47 |
| ჩიკაგო | 62 | 17 | 8 | 37 | 136:196 | 42 |

*კონფერენციების ცხრილებში პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან*

## კვირის და თვის მოთამაშე

### ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი)



ანაჰაიმის „ფინელ მსროლელ" ტეემუ სელიანესთვის თებერვალი ძალიან ნაყოფიერი გამოდგა. წელიწადის ყველაზე ხანმოკლე თვის მისეული რეკორდები და მიღწევები ზოგი ჰოკეისტისთვის მთელი კარიერის მანძილზეა სანატრელი. მან 28 დღეში ჩატარებულ ცამეტივე მატჩში ჩაიწერა ქულა და კლუბის რეკორდი დაამყარა — 25 (მისსავე წინა მიღწევას ერთით აღემატება), ხოლო მის მიერ გატანილი 12 გოლი „იხვების" რეკორდს სულ ერთით ჩამოუვარდება. ფინელმა თვის ბოლოს კარიერაში მე-300 შაიბაც შეაგდო, თანაც საამისოდ 464 თამაში დასჭირდა, რაც ნჰლ-ის ისტორიაში მე-6 შედეგია (მასზე სწრაფნი მხოლოდ გამოჩენილი სნაიპერები — უეინ გრეცკი, მარიო ლემიე, ბრეტ ჰალი, იარი კური და მაიკ ბოსი იყვნენ). რაც მთავარია, ტეემუ სელიანეს ძალისხმევით ანაჰაიმმა თავის ისტორიაში პირველად ერთ თვეში ათჯერ გაიმარჯვა.

სელიანემ უკანასკნელი კვირაც ჩინებულად ჩაატარა, განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა სან ხოსესთან უქმეებზე გამართული ორდღიანი დუელი, რომელშიც 2 გოლი და 5 პასი მიითვალა. ასეთ ბრწყინვალე თამაშს, რა თქმა უნდა, აღიარებაც მოჰყვა და ფინელმა ერთბაშად თვის (სელიანემ პიტსბურგელ იარომირ იაგრს (23(8+15) ქულა 14 თამაშში) და თანაგუნდელ მეკარეგი ებერს გაუსწრო) და კვირის ლაურეატობა მოიპოვა.

**საუკეთესო ექვსეული**

*გარტ სნოუ* (ვანკუვერი, 1); *სანდის ოზოლინში* (კოლორადო, 2) — *ფილ ჰაუსლი* (კალგარი, 1); *ტეემუ სელიანე* (ანაჰაიმი, 2) — *ჯეისონ ელისონი* (ბოსტონი, 2) — *მაიკ მოდანო* (დალასი, 3)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი
პირველი მატჩები. 3 მარტი

CHAMPIONS LEAGUE

**რეალი (ესპანეთი) — დინამო (უკრაინა) 1:1**

0:1 შევჩენკო (54), 1:1 მიატოვიჩი (66)

რეალი: ილგნერი, პანუჩი, იერო, სანჩისი (კამპო 57), რობერტო კარლოსი, რედონდო, გუტი, ზეედორფი (სავიო 57), რაული, მიატოვიჩი, მორიენტესი (შუკერი 76)

დინამო: შოვკოვსკი, ლუჟნი (კირიუხინი 89), ვაშჩუკი, გოლოვკო, კალაძე, ხაცკევიჩი, გუსინი, ბელკევიჩი (კარდაში 80), კოსოვსკი (კორმილცევი 83), შევჩენკო, რებროვი

**მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — ინტერი (იტალია) 2:0**

1:0, 2:0 იორკი (6, 45)

მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, იონსენი (ბერგი 46), სტამი, ირვინი, ბექემი, კინი, სქოულზი (ბათი 69), გიგზი, იორკი, კოული

ინტერი: პალიუკა, გალანტე, ბერგომი, კოლონეზე, ძანეტი, კოე, სიმეონე, ვინტერი, ჯორკაეფი, სამორანო (ვენტოლა 68), ბაჯო (პირლო 79)

**ბაიერნი (გერმანია) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 2:0**

1:0 ელბერი (31), 2:0 ეფენბერგი (35)

ბაიერნი: კანი, მათეუსი (ტარნატი 46), ბაბელი, ლინკე, შტრუნცი (ციკლერი 76), იერემისი, ეფენბერგი, ლიზარაზუ, ბასლერი (სალიჰამიჯიჩი 84), ელბერი, იანკერი

კაიზერსლაუტერნი: რაინკე, რამზი, ჰრუტკა (კოხი 69), ბუკი (რატინიო 56), სფორცა, რიდლი, ბალაკი, ვაგნერი, რაიხი, რიშე (სამირი 73), როსლერი

გაძევება: რამზი (71)

**იუვენტუსი (იტალია) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 2:1**

1:0 ინძაგი (37), 2:0 კონტე (78), 2:1 ნინიადისი (90პ)

იუვენტუსი: პერუცი, მირკოვიჩი, იულიანო, მონტერო, დი ლივიო (ტაკინარდი 90), კონტე, დეშამპი, დავიდსი, ზიდანი, ინძაგი, ფონსეკა (ბირინდელი 81)

ოლიმპიაკოსი: ელეფტეროპულოსი, ამანატიდისი, ანატოლაკისი, კარატაიდისი, გეორგატოსი (ნინიადისი 90), მავროგენიდისი, პურსანიდისი, კარაპიალისი (ალექსანდრისი 73), ჯანაკოპულოსი (ივიჩი 73), ჯორჯევიჩი, გოგიჩი

## ინგლისი

გადადებული მატჩი

**შეფილდი 1:2 უიმბლდონი**

0:1 ეკოკუ (8), 0:2 გეილი (31), 1:2 ტომი (60)

პირველი დივიზიონი

XXXIV ტური

**ბარნსლი 0:1 ბრედფორდი**

0:1 უოტსონი (75)

**ქუინზ პარკი 1:0 ოქსფორდი**

1:0 სტაინერი (46)

**სვინდონი 2:3 ტრანმერი**

1:0 რივსი (44), 1:1 ტეილორი (57), 2:1 რივსი (67), 2:2 კელი (78), 2:3 კუმასი (87)

## შვეიცარია

**ქსამაქსი 1:1 გრასჰოპერი**

1:0 იზაბელა (30), 1:1 დე ნაპოლი (57)



REUTERS მადრიდიდან

რეალი — დინამო 1:1. მადრიდელმა პრედრაგ მიატოვიჩმა კიეველ ვალენტინ ბელკევიჩს უხეშობა ძვირად დაუსვა: ანგარიში ჩინებული საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა



REUTERS ტაივანიდან

# შერეკილები 2

*ბრიტანელი მებუშტეები ენდი ელსონი და კოლინ პრესკოტი ზეცას ამ 25 დღის წინ ესპანეთში გამოეკიდნენ. დღეს კი მათი საჰაერო ხომალდი უკვე ტაილანდის ემხიან ლაჟვარდებში ლივლივებს... როგორც ამ საქმის მცოდნე ხალხი გადმოგვცემს, აგრე დიდხანს მიწაზე დაუშვებლად ჯერ ვერა კაცსა და ვერც თუ რომელსამე ცხოველს გაუძლია. თუკი იღბლიანი ზურგქარი და მოწყალე ამინდი ბრიტანელებს არც მომდევნო 2 კვირის განმავლობაში უმუხთლებთ, ისინი ჩრდილო აფრიკის რომელსამე სტუმართმოყვარე და კეთილი ტომის ბაობაბზე ჩამოსხდებიან.*

# გადარეული მარადონა



REUTERS ციურიხიდან

ციურიხის საფეხბურთო კლუბ „ციურიხს“, რომელშიც ახლა ჩვენებური გოჩა ჯამარაულიც თამაშობს, თილისმად შინაურ ცხოველთა მეფე — ხარი — ჰყოლია. თილისმის ამჟამინდელ განსახიერებას კი, არც მეტი და არც ნაკლები, თურმე მარადონას ეძახიან. როგორც იქაურები ამბობენ, მარადონას სახელი ხარს ბოჩოლობისას გამოვლენილი ავი ზნისა, მომეტებული მძუნაობისა და ჭარბი შლეგიანობის გამო დაუმსახურებია... ავი ზნე და გადარეულობა მარადონამ „ციურიხისა“ და „სენტ გალენის“ ამასწინანდელი მატჩის დროსაც გამოავლინა — მაცდური ძროხა მოელანდა თუ ქორფა მწვანე ბალახმა მოხიბლა, ხარმა ბორკილები აიწყვიტა და მოედანზე ხურუშიანად გაიკუნტრუშა.

# ვივა მოსამართლე!



REUTERS ბუენოს აირესიდან

ვილაცას ოდესღაც უთქვამს დანა საშიში რამ არისო. დანა მხოლოდ და მხოლოდ ნივთია, რომლითაც შეიძლება პურიც გაჭრა და კაციც დაჭრა. საშიში დანა კი არა, ველური ადამიანია. აბა დახეთ ამ არგენტინელ ბედოვლათს ფოტოზე მარცხნივ რომაა. აი, ვინ არის საშიში.

საშიში კიდევ ისაა, რომ „როიტერის“ ფოტოს აწერია ეს კაცი ამოუცნობიაო, რაც იმას ნიშნავს, რომ არგენტინაში მის დასაჭერად მაინცდამაინც არ უზრუნიათ. აი, რა არის საშიში.

სტადიონზე კი „ბოკა“ „ჩიკარიტას“ ამხანაგურ შეხვედრაში ეჯიბრებოდა. სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყანაში ხომ პირველი დივიზიონის გუნდები ქვედა დივიზიონის გუნდების სოლიდარობის ნიშნად გაფიცულნი არიან და ისე თუ ნაუთამაშებენ ხოლმე.

ქვედა დივიზიონელებს კი ჩემპიონატები იმ მოსამართლემ ჩაუშალა, რომელსაც ის, რაც ფოტოზეა მრავალჯერ უნახავს და გაუგონია.

მოდი და თქვი მოსამართლე ცუდი კაციაო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე ინფორმაციის განყოფილება ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კეღელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29